რუდოლფ შტაინერი

ირაკლი ფარჯიანი

ოკულტური ისტორია

ISBN 978-9941-0-6697-9

9 789941 066979

რუდოლფ შტაინერი

ოკულტური ისტორია

ეზოთერული მიმოხილვა

პიროვნებების კარმული ურთიერთკავშირები და მსოფლიო ისტორიის მოვლენები

შტუტგარტში წაკითხული ექვსი ლექცია,
1910 წლის 27 დეკემბრიდან 1911 წლის 1 იანვრის ჩათვლით

GA 126

ასოციაცია „კოგიტო“

თბილისი 2015

RUDOLF STEINER

Okkulte Geschichte

Esoterische Betrachtungen

karmischer Zusammenhänge von Persönlichkeiten und Ereignissen der Weltgeschichte

Ein Zyklus von sechs Vorträgen gehalten in Stuttgart
vom 27. Dezember 1910 bis 1. Januar 1911

Bibliographie-GA 126

Rudolf Steiner Verlag
Dornach/Schweiz-1992

Tbilisi-2015

რუდოლფ შტაინერის წინამდებარე ლექციების ციკლი სახელწოდებით: „ოკულტური ისტორია“, წარმოადგენს ეპოქების მიხედვით ისტორიის მსვლელობის გააზრების მცდელობას. მასში განხილულია ადამიანისა და კაცობრიობის განვითარების ოკულტური საფუძვლები. პიროვნებების ინდივიდუალური კარმა მათი მიწიერი ინკარნაციების ჭრილში. ამ ინდივიდუალობების როლი მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში. იერარქიული არსებების მიზნები ზოგადსაკაცობრიო განვითარებაში და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

მთარგმნელი: **ა. კვარაცხელია**
რედაქტორები: **ლ. მესხია, ხ. ნაჭყებია**

Übersetzt ins Georgisch von: **A. Kvaratskhelia**
Redaktion: **L. Mesxia, X. Natchxebia**

Assoziation “Cogito”
GA 126

თარგმანი შესრულებულია 1992 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

ასოციაცია „კოგიტო“

ბარეკანის პირველ გვერდზე: რუდოლფ შტაინერის „ფარდა“.

ბარეკანის მეორე გვერდზე: ირაკლი ფარჯიანის ნახატი.

შინაარსი

პირველი ლექცია
შტუტგარტი, 1910 წ. 27 დეკემბერი 5

მეორე ლექცია
შტუტგარტი, 1910 წლის 28 დეკემბერი..... 26

მესამე ლექცია
შტუტგარტი, 1910 წლის 29 დეკემბერი..... 52

მეოთხე ლექცია
შტუტგარტი, 1910 წლის 30 დეკემბერი..... 77

მეხუთე ლექცია
შტუტგარტი, 1910 წლის 31 დეკემბერი..... 101

მეექვსე ლექცია
შტუტგარტი, 1911 წლის 1 იანვარი..... 126

შენიშვნები..... 143

მინაწერი მოხსენებებისთვის. 150

პირველი ლექცია

შტუტგარტი, 1910 წ. 27 დეკემბერი

სულისმეცნიერებაში ჭეშმარიტება და შემეცნება მით უფრო რთულად გვეძლევა, რაც უფრო ვუღრმავდებით ჩვენ ზოგადად ცალკეულ კონკრეტულ მოვლენებს. ეს თქვენ შეგეძლოთ შეგემჩნიათ, როცა *ცალკეულ სამუშაო ჯგუფებში** იყო მცდელობა ისტორიაზე ესაუბრათ დეტალურად, მაგ., საუბარი იყო სპარსული რელიგიის დიადი ბელადის ზარატუსტრას გარდასახეულებებზე და მის კავშირზე მოსესთან, ჰერმესთან, ასევე იესო ნაზარეველთან. სხვა შემთხვევებთან დაკავშირებითაც უკვე შეეხნენ კონკრეტულ ისტორიულ საკითხებს. როცა სულიერით სამყაროს განმსჭვალვაზე დიადი ჭეშმარიტებებიდან, დიადი სამყაროული კანონებიდან მიდიხარ ცალკეული ინდივიდუალობის, ცალკეული პიროვნების სულიერ ბუნებამდე, მაშინ იმ მოვლენებისგან, რომელთა უჩვეულობასაც ჯერ კიდევ შედარებით იოლად იღებს ადამიანური გული, გადადიხარ სფეროებში, რომლებიც ამ უჩვეულობითაა აღვსილი. კერძო და ზოგად ჭეშმარიტებებს შორის ამ უფსკრულის წინაშე, არასაკმარისად მომზადებელ ადამიანებს, ჩვეულებრივ, უნდობლობა ეწვევათ.

ამდენად, ამ ლექციებში, რომელიც ეძღვნება ოკულტურ ისტორიას, სადაც საუბარი იქნება ისტორიულ ფაქტებსა და ისტორიულ პიროვნებებზე სულისმეცნიერების ჭრილში, ლექციებში, რომელთა ერთგვარი შესავალიც არის ჩვენი დღევანდელი ლექცია, მე თქვენ ბევრი უჩვეულო რამ უნდა გითხრათ. თქვენ მოისმენთ ბევრ თავისებურ რამეს, ასე რომ, მინდა ვიქონიო თქვენი კეთილი ნების იმედი, იმ კეთილი ნების, რომელიც გამომუშავდა მთელი იმ სულისმეცნიერული შემეცნებებით, რამაც წლების განმავლობაში გაიარა თქვენს სამშვინველებში. ვინაიდან სწორედ ეს არის სპირიტუალური მსოფლმხედველობის ყველაზე

მშვენიერი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფი, რამდენადაც რაოდენ რთულად, რაოდენ დეტალურადაც არ უნდა იყოს გამომუშავებული ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვიძენთ, ბოლოს და ბოლოს ჩვენ მაინც გვაქვს არა დოგმების ჯამი, არამედ თავად ჩვენში, ჩვენს გულებში, ჩვენს სამშვინველებში ამ სულისმეცნიერული მიდგომების მეშვეობით ჩვენ ვფლობთ იმას, რაც აგვამაღლებს იმ თვალსაზრისამდე, რომელიც შეიძლება მოვიპოვოთ სამყაროს ნებისმიერი სხვა განხილვით. ჩვენ ვიძენთ არა დოგმებს, არა დარიგებებს, არა შიშველ ცოდნას, არამედ ჩვენი შემეცნების მეშვეობით ჩვენ სრულიად სხვა ადამიანები ვხდებით. გარკვეული თვალსაზრისით, სულისმეცნიერების ისეთი სფეროებისთვის, რომელთაც ჩვენ დღეს განვიხილავთ, საჭიროა მშვინვიერი გაგება, არა ინტელექტუალური, არამედ მშვინვიერი გაგება, რომელიც, ალბათ, მიდრეკილი უნდა იყოს ბევრ ადგილას მოისმინოს და მიიღოს მინიშნებები, ზოგ შემთხვევაში უხეში, თუ მათ ძალზე მკაფიო კონტურებით მოვხაზავთ. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მე ვისურვებდი, თქვენში გამომეწვია წარმოდგენა, რომ კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში, მთელი ათასწლეულების განმავლობაში, თვით ჩვენს დრომდე, მთელი საკაცობრიო განვითარებისა და საკაცობრიო მოღვაწეობის უკან ხელმძღვანელების, წინამძღოლების სახით დგანან სულიერი არსებები, სულიერი ინდივიდუალობები და ისტორიული პროცესის უდიადეს, უმნიშვნელოვანეს ფაქტებთან მიმართებაში ესა თუ ის ადამიანი მთელი თავისი სამშვინველით, მთელი თავისი არსებით წარმოადგენს იარაღის მსგავსს, რომლის უკანაც დგანან სწორედ გეგმაზომიერად მოქმედი ინდივიდუალობები. თუ ჩვენ გვსურს, გავიგოთ გასაოცარი და იდუმალი კავშირები უფრო ადრინდელ და უფრო გვიანდელ ისტორიულ განვითარებას შორის, მაშინ

საჭიროა ავითვისოთ მთელი რიგი ცნებები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში არ გაგვაჩნია.

თქვენ თუ გაიხსენებთ ბევრ რამეს, რაზეც იყო საუბარი ამ წლებში, მაშინ ჩვენს სამშვინველში შეიძლება წარმოიქმნას წარმოდგენა, რომ უძველეს დროში და თვით ჯერ კიდევ ატლანტიდის შემდგომი კულტურული განვითარების პერიოდში, – ცხადია, თუ მივუბრუნდებით რამდენიმე ათასწლეულის უკან იმ დროებს, რომლებიც წინ უსწრებდა ჩვენს დროს და ჩვეულებრივ ისტორიულს უწოდებენ, – ადამიანებს ჰქონდათ მეტ-ნაკლებად ანომალიური ნათელმხილველური ცნობიერება; და იმათ შორის, რასაც დღეს ჩვენ ვუწოდებთ ფხიზელ, მხოლოდ ფიზიკური სამყაროთი შემოფარგლულ ღვიძილის მდგომარეობას და ძილის არაცნობიერ მდგომარეობას, თავისი სიზმრების საეჭვო სამეფოთი, არსებობდა ცნობიერების სფერო, რომლის გავლითაც ადამიანი ეფლობოდა სულიერ, სპირიტუალურ რეალობაში. ის, რაც დღეს ხალხურ პოეტურ ფანტაზიად არის მიჩნეული იმ სწავლული ბატონების მიერ, რომლებიც იგონებენ ამდენ მითსა და ლეგენდას მეცნიერებაში, სინამდვილეში, როგორც ჩვენ ვიცით, უკავშირდება უძველეს ნათელხილვას, ადამიანური სამშვინველის ნათელმხილველურ მდგომარეობას, რომელიც იმ დროებში ხედავდა ფიზიკური ყოფიერების მიღმა მომხდარს და ასე დანახულს გამოხატავდა მითების სურათ-ხატებში, ასევე ზღაპრებსა და ლეგენდებში. ასე რომ, სინამდვილეში, როცა ჩვენ წინაშეა უძველესი, ამასთან ნამდვილად უძველესი მითები, ზღაპრები და თქმულებები, ჩვენ მათში შეგვიძლია ვიპოვოთ უფრო მეტი ცოდნა, სიბრძნე და სიმართლე, ვიდრე ჩვენს ამჟამინდელ, აბსტრაქტულ განსწავლულობასა და მეცნიერებაში.

ამიტომ, როცა ჩვენს მზერას მივაპყრობთ ძალზე შორეულ დროებს, მზერას მივაპყრობთ, ასე ვთქვათ,

ნათელმხილველ ადამიანზე. ჩვენ ვიცით, როგორ ქრება ეს ნათელხილვა სულ უფრო მეტად და მეტად სხვადასხვა ხალხში, სხვადასხვა დროს. დღეს *შობის დღესასწაულთან დაკავშირებულ ლექციაში** მე ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ ევროპაში შედარებით უფრო გვიან ჯერაც არსებობდა, ძალზე ფართო დიაპაზონით, ძველი ნათელხილვის ნაშთები. ნათელხილვის ჩაქრობა და ცნობიერების წარმოქმნა, რომელიც შემოფარგლულია მხოლოდ ფიზიკური პლანით, სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა დროს ხორციელდება.

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ატლანტიდის უდიდესი კატასტროფის შემდგომ კულტურულ ეპოქებში, – ძველინდურ, ძველსპარსულ, ეგვიპტურ-ქალდეურ, ბერძნულ-რომაულ და ჩვენს კულტურულ ეპოქაში, – ადამიანებს სრულიად განსხვავებული სახით უნდა ემოქმედათ მსოფლიო ისტორიის არენაზე, რამდენადაც ისინი განსხვავებული სახით იყვნენ დაკავშირებულნი სულიერ სამყაროსთან. თუ ჩვენ მივუბრუნდებით სპარსულ, მეტიც, თვით ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქას, მაშინ ის, რასაც ადამიანი თავის სამშვინველში განიცდიდა და გრძნობდა, აღწევდა, ასე ვთქვათ, სულიერ სამყაროებამდე და სულიერი ძალები მოქმედებდნენ მის სამშვინველში. ის, რაც მაშინ წარმოადგენდა ადამიანური სამშვინველის ცოცხალ კავშირს სულიერ სამყაროებთან, ქრება, არსებითად, მხოლოდ მეოთხე, ბერძნულ-ლათინურ პერიოდში და მთლიანად იკარგება მხოლოდ ჩვენს დროში. ჩვენს დროში გარეგანი ისტორიისთვის ის არსებობს მხოლოდ იქ, სადაც დღეს ადამიანისთვის მისაწვდომი საშუალებებით ცნობიერად ეძებენ ხელახალ კავშირს იმათ შორის, რაც ცხოვრობს ადამიანურ სამშვინველში და სულიერ, სპირიტუალურ სამყაროებში. ამდენად, ძველი დროების, როცა ადამიანი იხედებოდა საკუთარ სამშვინველში, ეს სამშვინველი თავის თავში

მალავდა არა მხოლოდ იმას, რაც მან ისწავლა ფიზიკური სამყაროსაგან, რაც მან გადაიფიქრა ფიზიკური სამყაროს საგნებსა და მოვლენებთან მიმართებით, არამედ მასში უშუალოდ ცხოვრობდა ის, რაც ჩვენ აღვწერეთ, მაგ., როგორც სულიერ სამყაროებში ადამიანზე ამაღლებული იერარქიული არსებები. ადამიანური სამშვინველის ბირთვის მეშვეობით ეს მოქმედებდა ძირს ფიზიკურ პლანზე და ადამიანებმა იცოდნენ, რომ ისინი დაკავშირებულნი იყვნენ ამ ზენა იერარქიის არსებებთან. როცა ჩვენ მივუბრუნდებით წარსულს, თუნდაც ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქას, – ცხადია, ჩვენ აქ უნდა ავიღოთ კიდევ უფრო ძველი პერიოდები, – მაშინ იქ დავინახავთ ადამიანებს, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულ პიროვნებებს, მაგრამ ჩვენ მათ ვერ გავიგებთ, თუ მივიჩნევთ ისტორიულ პიროვნებებად ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.

დღეს, როცა ჩვენ როგორც მატერიალისტური ეპოქის ადამიანები ვსაუბრობთ ისტორიულ პიროვნებებზე, დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ აქ ისტორიის მსვლელობაში მოქმედებენ მხოლოდ ამ პიროვნებათა იმპულსები და ზრახვები. არსებითად, ასე ჯერ კიდევ შეგვიძლია ჩვენ გავუგოთ მხოლოდ ბოლო სამი ათასწლეულის ადამიანებს, ანუ შეიძლება ითქვას, იმ ათასწლეულისა, რომელიც მთავრდება ქრისტე იესოს შობით, ხოლო შემდეგ ასევე ადამიანებს პირველი და მეორე ქრისტიანული ათასწლეულებისა, რომელშიც თავად ჩვენც ვიმყოფებით. *პლატონი**, *სოკრატე** და შესაძლოა ასევე *თალესი** და *პერიკლეც**, – ეს ის ადამიანებია, რომელთაც შესაძლოა ჯერ კიდევ გავუგოთ როგორც ჩვენს მსგავსებს. თუ კიდევ უფრო შორს წავალთ წარსულში, ადამიანთა გაგების ეს შესაძლებლობა ქრება, თუ მათ გავუგებთ მხოლოდ ჩვენი დროის ადამიანების ანალოგიურად. ასე შეუძლებელია გავიგოთ, ვთქვათ, ეგვიპტელი ჰერმესი, რომელიც იყო ეგვიპტური კულტურის

დიადი მასწავლებელი, შეუძლებელია გავიგოთ ზარატუსტრა და ვერასდროს გავიგებთ – მოსეს. როცა ჩვენ გავცდებით ქრისტიანული წელთაღრიცხვის წინარე ათასწლეულის ფარგლებს, მაშინ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ყველგან, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიულ პიროვნებებთან, მათ უკან დგანან მაღალი ინდივიდუალობები, უფრო მაღალი იერარქიები; ადამიანური პიროვნებები თითქოსდა შეპყრობილნი არიან მათ მიერ, ცხადია, ამ სიტყვის საუკეთესო აზრით. აქ იხსნება თავისებური მოვლენა, რომლის გარეშეც ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ ისტორიული განვითარების მსვლელობა.

ჩვენს დრომდე ჩვენ განვასხვავებთ ხუთ ეპოქას. ჩვენ გვაქვს ინდური ეპოქა, ატლანტიდის შემდგომი პირველი კულტურული ეპოქა, რომელიც ათასწლეულების სიღრმეებშია განფენილი; შემდეგ – მეორე, ძველსპარსული ეპოქა, მესამე – ეგვიპტურ-ქალდეური, მეოთხე – ბერძნულ-ლათინური და მეხუთე – ჩვენი საკუთარი ეპოქა. თუ გადავალთ ბერძნულ-ლათინური ეპოქის ხასიათიდან ეგვიპტურისკენ, მაშინ ისტორიისადმი მიდგომა უნდა შევცვალოთ ისე, რომ წმინდა ადამიანური მიდგომის ნაცვლად, რომელიც შეიძლება ჯერ კიდევ გვემსახუროს ბერძნული სამყაროს გმირებთან მიმართებით *თვით გმირულ ეპოქამდე**, ჩვენ სრულიად სხვა მასშტაბით უნდა გამოვიყენოთ; ცალკეული პიროვნებების უკან ჩვენ დავიწყებთ იმ სულიერ ძალთა ძიებას, რომლებიც წარმოადგენენ ზეპიროვნულს და რომლებიც მოქმედებენ ადამიანთა პიროვნულობის მეშვეობით, როგორც თავიანთი იარაღის მეშვეობით. ამასთან, ამ სულიერი ინდივიდუალობებისკენ უნდა მივმართოთ ჩვენი სამშვინველის მზერა, ისე, რომ დავინახოთ ადამიანი, რომელიც დგას ფიზიკურ სამყაროში, ხოლო მის უკან მოქმედებს ზენა იერარქიების არსება, რომელსაც თითქოს უკნიდან უჭირავს ეს ადამიანი

და მას აყენებს იმ ადგილას, რომელზეც ის უნდა იდგეს კაცობრიობის განვითარებაში.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო იქნება გაირკვეს ეგვიპტურ-ქალდეურ და ბერძნულ-ლათინურ ეპოქებს შორის ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიულად განმსაზღვრელი მოვლენების ურთიერთმიმართება. ეს ორი კულტურული ეპოქა ერთმანეთს მისდევს და თავიდან ჩვენ გადავხედოთ, ვთქვათ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2800, 3100, 3500 წლებს, რომელიც არც ისე შორეული წარსულია. ამის მიუხედავად, – ახლა ამას უკვე ძველი ისტორიაც ამჩნევს, – ჩვენ არ გვესმის, მაშინ რა ხდებოდა; ჩვენ ამას გავიგებთ მხოლოდ მაშინ, თუ ისტორიული პიროვნებების უკან დავინახავთ უფრო მაღალ ინდივიდუალობებს. შემდეგ აღმოჩნდება, რომ მეოთხე, ბერძნულ-ლათინურ პერიოდში, ჩვენ გვაქვს თითქოსდა გამეორება ყველა იმ მნიშვნელოვანი მოვლენის, რომელიც ხდებოდა მესამე პერიოდში. ეს ჰგავს იმას, რომ ის, რაც წინარე პერიოდისთვის უზენაესი კანონებით აიხსნებოდა, მომდევნო პერიოდისთვის ახსნადი გახდეს ფიზიკური სამყაროს კანონებით; თითქოსდა ის დაეშვა ერთი საფეხურით დაბლა, გაუხეშდა, გახდა უფრო ფიზიკური; ჩვენ წინაშე ვლინდება ფიზიკურ სამყაროში ასახული წინარე პერიოდების დიადი მოვლენების რაღაც სახე.

დღეს მე მსურს გავაკეთო ერთგვარი შესავალი და ამიტომ მიგითითებთ, ერთ შესანიშნავ მითში როგორ არის მოცემული ეგვიპტურ-ქალდეური ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი და ეს ფაქტი როგორ არის შემდეგ ასახული ბერძნულ-ლათინურ ეპოქაში, ოღონდ ერთი საფეხურით დაბლა. მე მინდა, ერთმანეთს შევადარო ორი პარალელური ფაქტი, რომლებიც ერთმანეთს ეკუთვნის ოკულტური მიმართებით; ერთი მათგანი თითქოსდა ნახევარი პლანით მაღლა დგას, მეორე კი მთლიანად ფიზიკურ დედამიწაზე, თუმცა გადაიქცა უფრო ადრინდელი ეპოქის სულიერი მოვლენის თავისებურ ფიზიკურ ჩრდილად. ასეთი მოვლენები, რომლის უკანაც ზენა იერარქიის არსებები დგანან, კაცობრიობას შეეძლო გარეგნულად ყოველთვის გამოეხატა მხოლოდ მითების მეშვეობით. მაგრამ ჩვენ ვნახავთ, მაინც რა დგას მითის უკან, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის სახით აღწერს იმას, რაც ქალდეური ეპოქიდან გამოდის. შევჩერდეთ მითის მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე.

მითში საუბარია შემდეგზე. ოდესღაც ცხოვრობდა უდიდესი მეფე გილგამეში. ვისაც მსგავს სახელებზე განსჯა შეუძლია, სახელითაც მიხვდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ფიზიკურ მეფესთან, არამედ მის უკან მდგომ ღვთაებასთან, მის უკან მდგომ სულიერ ინდივიდუალობასთან, რომლითაც შეპყრობილი იყო ქალაქ *ერეკის** მეფე და რომელიც მოქმედებდა მისი მეშვეობით. ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს იმასთან, რასაც რეალური აზრით შეიძლება ეწოდოს ღმერთი-ადამიანი. იქ მოთხრობილია, რომ იგი ავიწროებს ქალაქ ერეკს. ქალაქი ერეკი მიმართავს თავის ღვთაებას არურუს და ეს ღვთაება ქმნის თანაშემწეს. ეს გმირი ამოიზრდება მიწიდან. ასეთია ამ მითის სურათ-ხატები; ჩვენ ვნახავთ, ისტორიული მოვლენების როგორი სიღრმეებია ამ მითის უკან. ღვთაება შესაძლებლობას აძლევს მიწიდან წარმოიქმნას *ეაბანი**, თავისებური სახის ადამიანური არსება, რომელიც გილგამეშთან შედარებით მდაბიოდ გამოიყურება, ვინაიდან იქ მოთხრობილია, რომ მას ჰქონდა ცხოველის ტყავი, რომ ის დაფარული იყო თმებით და ველურივით გამოიყურებოდა. თუმცა მის ველურობაში ცხოვრობდა ღვთიური შთაგონება, ძველი ნათელხილვა, ნათელცოდნა, უძლეველი ნათელმხილველური ცნობიერება.

ეაბანი გაეცნობა ქალს ერეკიდან და ამის შედეგად ის მოხვდება ქალაქში. ის ხდება გილგამეშის მე-

გობარი და ამის წყალობით ქალაქში მშვიდობა ისადგურებს. და აჰა, გილგამეში და ეაბანი ერთად მართავენ ქალაქს. ამ დროს მეზობელი ქალაქებიდან ერთ-ერთი მოიპარავს ეაბანისა და გილგამეშის ქალაქიდან ქალაქის ღვთაებას იშტარს. მაშინ ორივენი გაილაშქრებენ ქალაქი-მტაცებლის წინააღმდეგ. ისინი ამარცხებენ მის მეფეს და ქალაქის ღვთაებას უკან აბრუნებენ. და აი, ღვთაება კვლავ შედის ერეკში. გილგამეში მის პირდაპირ ცხოვრობს და აქ ჩვენ წინაშე წარმოჩნდება რაღაც სრულიად გასაოცარი; გილგამეშს არ ესმის ქალაქის ღვთაების თავისებური ბუნება. თამაშდება სცენა, რომელიც უშუალოდ გვახსენებს *ბიბლიურ სცენას იონეს სახარებიდან**. გილგამეში დგას იშთარის წინაშე. ცხადია, ის სხვაგვარად დგას, ვიდრე ქრისტე იესო. ის საყვედურს ეუბნება ქალაქის ღვთაებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას, სანამ მის წინაშე წარსდგებოდა, მრავალი მამაკაცი უყვარდა. ის საყვედურობს ღვთაებას განსაკუთრებით მათგან უკანასკნელთან ნაცნობობას. ამის პასუხად იშთარი მას უჩივის იმ ღვთაებასთან, ზენა იერარქიათა იმ არსებასთან, რომელთანაც არის დაკავშირებული თავად იგი, ქალაქის ღვთაება. ის მიდის ანუსთან. ანუსი კი დედამიწაზე აგზავნის ხარს და ამ ხარს უნდა შეებრძოლოს გილგამეში. ვინც გაიხსენებს ხართან მებრძოლ მიტრას, იგი აღმოაჩენს ამ ბრძოლის გამოძახილს იმაში, რომ გილგამეშმა უნდა დაამარცხოს ანუსის მიერ გამოგზავნილი ხარი.

ყველა ამ მოვლენამ, – და მითის ახსნისას ჩვენ ვნახავთ, რა სიღრმეებია მათში დაფარული, – გამოიწვია ის, რომ ამასობაში ეაბანი გარდაიცვალა. ახლა გილგამეში მარტოა. აზრი, რომელიც მას თავში მოსდის, მის სამშვინველს საშინლად ტანჯავს. იმ შთაბეჭდილებისგან, რაც მან განიცადა, მასში მხოლოდ ახლა ჩნდება აზრი, რომ ადამიანი არის მოკვდავი. აზრი, რომელსაც ადრე საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, მისი სამშვინველის წინაშე მთელი საშინელებით წარმოჩნდება. აქ ის გებულობს ერთადერთ მიწიერ ადამიანზე, რომელიც უკვდავი დარჩა, მაშინ, როცა ატლანტიდის შემდგომი ეპოქის ყველა დანარჩენი ადამიანი მივიდა საკუთარი მოკვდაობის ცნობიერებამდე. მას ესმის *ქსისუტროსის** უკვდავებაზე, რომელიც ცხოვრობს შორს, დასავლეთში. და აი, იმისათვის, რომ ჩასწვდეს სიცოცხლისა და სიკვდილის გამოცანას, იგი დაადგება დასავლეთის რთულ გზას.

ახლა მე შემიძლია გითხრათ, რომ ეს გზა დასავლეთისკენ სხვა არაფერია, თუ არა მოგზაურობა ძველი ატლანტიდის საიდუმლოებებისკენ, იმ მოვლენების ცოდნისკენ, რომლებიც ძევს ატლანტიდის უდიდეს კატასტროფამდელ პერიოდში. ძალზე საინტერესოა, რომ მან უნდა განვლოს კარიბჭე, რომელსაც იცავენ უზარმაზარი მორიელები, რომ სულს ის შეჰყავს სიკვდილის სამეფოში, რომ ის შედის ქსისუტროსის სამეფოში, სადაც იგებს, რომ ატლანტიდის შემდგომ ეპოქაში ყველა ადამიანი სულ უფრო მეტად უნდა განიმსჭვალოს სიკვდილის ცნობიერებით.

მაშინ ის ეკითხება ქსისუტროსს, მაინც საიდან აქვს მას ცოდნა საკუთარ მარადიულ საფუძველზე, რატომ არის იგი განმსჭვალული უკვდავების ცნობიერებით? ქსისუტროსი მას პასუხობს: „შენც შეგიძლია ასეთად იქცე, მაგრამ ამ შემთხვევაში შენ ჩემთან ერთად უნდა განიცადო ყველაფერი, რაც მე განვიცადე შიშის, საშინელებისა და მარტოობის გადალახვის გზით, რომლებიც მე უნდა გამევლო. როცა ღმერთმა ეამ გადაწყვიტა, კაცობრიობაში დაღუპულიყო, – ამას ჩვენ ვუწოდებთ ატლანტიდის კატასტროფას, – ყველაფერი ის, რასაც მომავალში არ უნდა ეცოცხლა, მან მიბრძანა მე ავსულიყავი თავისებური სახის ხომალდზე და თან წამეყვანა ცხოველები, რომლებიც უნდა გადარჩენილიყვნენ და ის ინდივიდუალობები, რომლებიც ჭეშმარიტად მასწავლებლებად იწოდებიან.

ამ ხომალდში დაველოდე მე უდიდეს კატასტროფას“. ასე ესაუბრებოდა ქსისუტროსი გილგამეშს: „ის, რაც განცდილი იქნა მაშინ, ამის განცდა შენ მხოლოდ შინაგანად შეგიძლია. ამით შენ შეძლებ მიაღწიო უკვდავების ცნობიერებას, თუ არ დაიძინებ შვიდი ღამე და ექვსი დღე“.

გილგამეშს სურს ამ გამოცდის გავლა, მაგრამ ძალიან მალე ჩაეძინება. მაშინ ქსისუტროსის ცოლი აცხობს შვიდ მისტიკურ პურს, რომელმაც მიღების შემდეგ უნდა შეცვალოს ის, რაც მოპოვებული უნდა ყოფილიყო შვიდ ღამესა და ექვს დღეში. და აი, ამ თავისებური სახის სიცოცხლის ელექსირით გილგამეში გზას აგრძელებს, იგი გაივლის რაღაც ახალგაზრდობის ჭაში ჩაფლობის მსგავსს და კვლავ აღწევს თავისი სამშობლოს ნაპირებს, რომელიც მდებარეობს ევფრატისა და ტიგროსის გასწვრივ. აქ მას გველი წარსტაცებს სიცოცხლის ელექსირის ძალას და იგი სიცოცხლის ელექსირის გარეშე ბრუნდება თავის ქვეყანაში, მაგრამ იმ ცნობიერებით, რომ არსებობს უკვდავება და ღრმა სევდით უყურებს თუნდაც ეაბანის სულს. იგი მართლაც ეცხადება მას და იმ საუბრიდან, რომელიც მაშინ შედგა, ჩვენ ვიგებთ, რა მეთოდით შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ცნობიერება სულიერ სამყაროსთან დაკავშირებით ეგვიპტურ-ქალდეური ეპოქის კულტურისთვის. გილგამეშისა და ეაბანის ეს ურთიერთობა ძალზე მნიშვნელოვანია.

გარეგნულად ეაბანი დახატულია როგორც ცხოველის ტყავში გახვეული. ამით მიანიშნებენ მის ველურობას, მაგრამ სწორედ ამ ველურობის წყალობით, ერთი მხრივ, იგი ჯერ კიდევ დაჯილდოებულია უძველესი ნათელხილვით, ხოლო, მეორე მხრივ, ის არის ახალგაზრდა სამშვინველი, რომელმაც განვლო გაცილებით ნაკლები ინკარნაციები, ვიდრე სხვებმა, რომლებიც სამშვინველის განვითარების მწვერვალზე იდგნენ. ამდენად, გილგამეში წარმოგვიდგება როგორც

არსება, რომელიც მომწიფდა ხელდასხმისთვის, ოღონდ მან ვერ შეძლო მიეღწია ამ ხელდასხმისთვის, რამდენადაც დასავლეთის გზა არის სწორედ გზა ხელდასხმისკენ, რომელიც ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ერთი მხრივ, ჩვენ გილგამეშში ვხედავთ ქალდეურ-ბაბილონური კულტურის ნამდვილ დამაარსებელს და მის უკან მდგომ ღვთაებრივ სულიერ არსს, ცეცხლის სულის სახესხვაობას, შემდეგ კი მის გვერდით სხვა ინდივიდუალობას, ახალგაზრდა სამშვინველს, ეაბანს, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით დაეშვა მიწიერი განსხეულებისკენ. თუ თქვენ თვალს გადაავლებთ ჩემს „*იდუმალთმეტყველების ნარკვევს*“*, მაშინ დაინახავთ, რომ ინდივიდუალობები მხოლოდ თანდათანობით დაეშვნენ პლანეტებიდან. ამ ორთა ცოდნის ურთიერთგაცვლაზეა დამოკიდებული ბაბილონურ-ქალდეური კულტურა და ჩვენ დავინახავთ, რომ მთელი ბაბილონ-ქალდეური კულტურა წარმოქმნილია იმისგან, რაც მოდის გილგამეშისა და ეაბანისაგან. ბაბილონურ-ქალდეურ კულტურაში ერთვება ღმერთ-ადამიანის გილგამეშის ნათელხილვა და ახალგაზრდა სამშვინველის ეაბანის ნათელხილვა. ეს პროცესი, რომელშიც მოქმედებს ერთმანეთისთვის აუცილებელი ეს ორი არსება, უშუალოდ აისახება შედარებით გვიანდელ, ბერძნულ-ლათინურ კულტურულ პერიოდში, ამასთან ფიზიკურ პლანზე. ასეთი ასახვის სრულ გაგებას ჩვენ მხოლოდ თანდათანობით მივაღწევთ. ამდენად, უფრო მაღალი სულიერი პროცესი ფიზიკურ პლანზე აისახა, როცა კაცობრიობა ძალზე ღრმად დაეშვა ძირს, როცა იგი უკვე ვეღარ გრძნობდა ადამიანური პიროვნებისა და სულიერ-ღვთაებრივი სამყაროს თანაკუთვნილებას.

ღვთაებრივ-სულიერი სამყაროს ეს საიდუმლოებანი ინახებოდა მისტერიათა ცენტრებში. ასე, მაგალითად, მრავალი უძველესი წმინდა საიდუმლო, რომლებიც აუწყებდნენ ადამიანური სამშვინველის კავ-

შირზე ღვთაებრივ-სულიერ სამყაროებთან, ინახებოდა დიანა ეფესელის მისტერიებში და ეფესოს ტაძარში. იქ იყო ბევრი ისეთი რამ, რაც უკვე გაუგებარი გახდა ეპოქისთვის, რომელმაც ყურადღება გადაიტანა ადამიანის პიროვნებაზე. და როგორც ნიშანი იმისა, რომ წმინდა გარეგნული პიროვნების მიერ ვერ იქნა გაგებული ყოველივე ის, რაც სულიერი რჩებოდა, ჩვენ წინაშე ნახევრად მითიური სახით დგას ჰეროსტრატეს ფიგურა, რომელიც პიროვნებაში ხედავს მხოლოდ ყველაზე გარეგნულს. აქ ჩვენ წინაშეა ჰეროსტრატე, რომელიც ეფესოს წმინდა ტაძარში აგდებს ანთებულ ჩირაღდანს. ეს ქცევა ჩვენ გვაუწყებს პიროვნების შეჯახებას იმასთან, რაც დარჩა უძველესი სულიერი დროებიდან. სწორედ იმ დღეს, როცა ერთი ადამიანი, მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი სახელი გადასცეს შთამომავლობას, ეფესოს წმინდა ტაძარში აგდებს ჩირაღდანს, დაიბადება მეორე ადამიანი, რომელმაც იმავე მიწაზე, რომელზეც გადალახული უნდა იქნეს წმინდა პიროვნული კულტურა, გააკეთა ყველაზე მეტი იმ კულტურისთვის, რომელიც ეფუძნება პიროვნებას. ჰეროსტრატე ჩირაღდანს შეაგდებს სწორედ იმ დღეს, როცა იბადება *ალექსანდრე დიდი**, ადამიანი, რომელიც *მთლიანად პიროვნებაა**. ასე დგას ალექსანდრე დიდი როგორც გილგამეშის სილუეტი (ჩრდილი).

ამის უკან იმალება უდიდესი ჭეშმარიტება. ასე დგას ალექსანდრე დიდი როგორც გილგამეშის ჩრდილი მეოთხე, ბერძნულ-ლათინურ პერიოდში, როგორც სულიერის პროექცია ფიზიკურ პლანზე. ხოლო ეაბანი, პროეცირებული ფიზიკურ პლანზე, არის *არისტოტელე**, ალექსანდრე დიდის მოწაფე. როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, ალექსანდრე და არისტოტელე გვერდიგვერდ დგანან, გილგამეშისა და ეაბანის მსგავსად. ჩვენ ვხედავთ, ასე ვთქვათ, როგორ გადაქცეულ ატლანტიდის შემდგომ მეოთხე პერიოდის პირველ მესამედში ალექსანდრე დიდს, – ოღონდ ფიზიკურ კანონებში გადატანილი, – გილგამეშის მიერ ქალდეურ-ბაბილონურ კულტურაში ბოძებული. როგორი გასაოცარი სახით აისახება ალექსანდრე დიდის ქმედებათა შედეგები იმაში, რომ ეგვიპტურ-ქალდეური კულტურის არენის ადგილას ფუძნდება ალექსანდრია, რათა განთავსებულიყო, როგორც ცენტრი, სწორედ იქ, სადაც ასე მძლავრად იყო წარმოდგენილი მესამე, ეგვიპტურ-ბაბილონურ-ქალდეური პერიოდი. და ყველაფერი ერთმანეთს უნდა შეხვედროდა ალექსანდრიის კულტურის ამ ცენტრში. იქ თანდათანობით ნამდვილად შეერწყა ერთმანეთს ატლანტიდის შემდგომი ეპოქის ყველა კულტურული ნაკადი, რომლებიც უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ეს შეხვედრა მოხდა სწორედ ცენტრში – ალექსანდრიაში, იმ ადგილას, რომელიც წარმოდგენილ იქნა მესამე კულტურული პერიოდის არენაზე მეოთხე პერიოდის ხასიათით. ალექსანდრიამ გამოიარა ქრისტიანობის წარმოქმნა. თავად მეოთხე კულტურული პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ალექსანდრიაში განვითარდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქრისტიანობა უკვე იყო. იქ მოქმედებდნენ უდიდესი მოძღვრები, იქ ერთმანეთს ერწყმოდა, უპირველეს ყოვლისა, სამი უმნიშვნელოვანესი კულტურული ნაკადი; უძველესი წარმართულ-ბერძნული, ქრისტიანული და მოსესეულ-ებრაული. ისინი ალექსანდრიაში ერთად მოქმედებდნენ, ისინი მოქმედებდნენ ერთიერთმანეთში. წარმოუდგენელი იყო, რომ მთლიანად პიროვნებაზე აგებული ალექსანდრიის კულტურა ამოქმედებულიყო სხვაგვარად, თუ არა იმ არსების მიერ, რომელიც შეპყრობილი იყო პიროვნული საწყისით, როგორიც იყო ალექსანდრე დიდი. ვინაიდან სწორედ ალექსანდრიის, ამ კულტურული ცენტრის მეშვეობით მიიღო პიროვნული ხასიათი ყოველივე იმან, რაც ადრე იყო ზეპიროვნული, რაც ადრე ყველგან ადამიანური პიროვნებიდან ადიოდა ზენა

სულიერ სამყაროებში; პიროვნებებს, რომლებიც აქ იმყოფებიან ჩვენ წინაშე, ყველაფერი, ასე ვთქვათ, თავის თავში გააჩნიათ; ამიერიდან ჩვენ უკვე ნაკლებად ვხედავთ ძალებს, რომლებიც ზენა იერარქიებიდან წარმართავენ მათ და მიუჩენენ თავიანთ ადგილს. ალექსანდრიაში მოღვაწე ბრძენები და ფილოსოფოსები, წარმოაჩენენ უძველეს სიბრძნეს, რომელიც მთლიანად გადატანილია ადამიანურ-პიროვნულში; მათგან ყველგან ღაღადებს პიროვნული. ამაშია თავისებურება; ალექსანდრიაში ადამიანის პიროვნულ აქტივობაში იქნა გადატანილი ყველაფერი, რისი ახსნაც უძველეს წარმართობაში შეიძლებოდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ყოველთვის მიუთითებდნენ, თუ როგორ ეშვებოდნენ ღმერთები ძირს და უკავშირდებოდნენ ქალწულებს, რათა ეშვათ გმირები. თუ როგორი ფორმები მიიღო ალექსანდრიაში იუდეველობამ, მოსეს კულტურამ, ამის დანახვა ჩვენ შეგვიძლია იქიდან, რასაც გვაჩვენებს სწორედ ის ეპოქა, როცა ქრისტიანობა უკვე არსებობდა. სულიერ სამყაროსთან ადამიანთა სამყაროს იმ ღრმა წვდომისაგან უკვე აღარაფერი დარჩა, როგორც ეს იყო წინასწარმეტყველების პერიოდში, როგორც ეს შეიძლებოდა, ჯერ კიდევ გვეპოვა თვით უკანასკნელ ორ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იუდეველობაშიც ყველაფერი ასევე გახდა პიროვნული. ესენი ყველანი იყვნენ საფუძვლიანი ადამიანები თავიანთი უჩვეულო ძალით; მათ შეეძლოთ შეეღწიათ უძველეს იდუმალ სწავლებათა საიდუმლოებებში, მაგრამ ყველაფერი იქცა პიროვნულად, შესაბამისად ალექსანდრიაში მოქმედებენ პიროვნებები. ამიტომ, თავდაპირველად ქრისტიანობაც ალექსანდრიაში თავს იჩენს, შეიძლება ითქვას, თითქოსდა დამახინჯებულად, ბავშვურ საფეხურზე.

ქრისტიანობა, რომელიც მოწოდებული იყო, რომ პიროვნული ადამიანში წარემართა სულ უფრო მაღლა ზეპიროვნულისკენ, განსაკუთრებით ძალუმად

სწორედ ალექსანდრიაში გამოვლინდა. სწორედ ქრისტიანები მოქმედებდნენ ისე, რომ ჩვენ ხშირად გვექმნება შთაბეჭდილება: მათ ქმედებებში ჩვენ ვხედავთ გვიანდელი ეპისკოპოსებისა და მთავარეპისკოპოსების წინამორბედებს, რომლებიც წმინდა პიროვნულად მოქმედებდნენ. ასე მოქმედებდა მეოთხე ასწლეულში მთავარეპისკოპოსი *თეოფილოსი**, ასე მოქმედებდა მისი მემკვიდრე და ნათესავი, წმინდა *კირილოსი**. მათ შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ასე ვთქვათ, მხოლოდ მათი ადამიანური სისუსტეებიდან გამომდინარე. ქრისტიანობა რომელმაც კაცობრიობას უნდა მისცეს ყველაზე დიადი, თავიდან თავს ავლენს თავის უდიდეს სისუსტეებში და მისი პიროვნული მხრიდან. ალექსანდრიაში კი ნიშანი უნდა მიეცათ კაცობრიობის მთელი განვითარებისთვის.

აქ ჩვენ კვლავ გვაქვს გარეგნულ ფიზიკურ პლანზე ადრინდელი, უფრო სულიერის ასეთივე პროექცია. უძველეს ორფიულ(orphischen) მისტერიებში იყო ერთი გასაოცარი პიროვნება, რომელმაც განვლო ამ მისტერიათა საიდუმლოებები. ეს ქალი მიეკუთვნებოდა უძველესი ბერძნული ორფიული მისტერიების ყველაზე სანდომიან, ყველაზე საინტერესო მოწაფეებს. ის კარგად იყო მომზადებული კელტური საიდუმლო განსწავლის წყალობით, რომელიც მან უფრო ადრინდელ განსხეულებებში გაიარა. უდიდესი მონდომებით ეძებდა ეს ინდივიდუალობა ორფიული მისტერიების საიდუმლოებებს. ორფიულ საიდუმლოებათა მოწაფეებს თავიანთი სამშვინველით უნდა განეცადათ ის, რაც არის ჩადებული მითში დიონისოს ცაგრეუსზე (Dionysos Zagreus), რომელიც ტიტანებმა ნაწილებად დაგლიჯეს, მაგრამ რომლის სხეულიც ზევსმა აღამაღლა უზენაესი სიცოცხლისკენ. ინდივიდუალური ადამიანური განცდის სახით უნდა განეცადათ ორფიელებს ის, თუ როგორ გადალახავს ადამიანი გარკვეუ-

ლი მისტერიალური გზის გავლით, ასე ვთქვათ, თავის თავს გარეგნულ სამყაროში, როგორ ძვრება მთელი თავისი არსებით კანში და ვეღარ პოულობს საკუთარ თავს თავის თავში.

მაშინ, როცა ცხოველების, მცენარეებისა და მინერალების ჩვეულებრივი ცნობიერება არის მხოლოდ აბსტრაქტული ცნობიერება, ამიტომ მან, ვისაც სურს ოკულტური თვალსაზრისით მიაღწიოს ნამდვილ შემეცნებას, უნდა ივარჯიშოს იმაში, რომ იყოს თითქოსდა ცხოველების, მცენარეების, მინერალების, ჰაერისა და წყლის, წყაროებისა და მთების, ქვებისა და ვარსკვლავების, სხვა ადამიანების შიგნით, თითქოს ის წარმოადგენს მათთან ერთიანობას. ამის მიუხედავად მან როგორც ორფიელმა თავის თავში უნდა განავითაროს შინაგანი მშვინვიერი ძალა, რათა, არის რა კვლავ აღდგენილი როგორც თავის თავში ჩაკეტილი ინდივიდუალობა, იზეიმოს გამარჯვება გარე სამყაროს გახლეჩილობაზე. ჩემ მიერ ახლახან მითითებული თუ ადამიანური განცდა იქნებოდა, მაშინ ის იქნებოდა გარკვეული თვალსაზრისით კუთვნილება უმაღლესისა, რაც შეიძლებოდა განეცადათ როგორც ხელდასხმის საიდუმლოებანი. ორფიული მისტერიების მრავალმა მოწაფემ განვლო მსგავსი განცდები, შესაბამისად განიცადეს თავიანთი ტანჯვა სამყაროში და ამით განვლეს ის უმაღლესი, რაც ქრისტიანობამდელ დროში შეიძლებოდა განეცადათ როგორც თავისებური სახის მომზადება ქრისტიანობისთვის.

ორფიული მისტერიების მოწაფეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ის მომხიბვლელი პიროვნება, რომლის გარეგნულმა სახელმაც შთამომავლებამდე ვერ მოაღწია, თუმცა ის აშკარად ვლინდება ორფიული მისტერიების მოწაფის სახით და სწორედ მასზე მიგითითებთ მე ახლა. უკვე ქალიშვილობისას და შემდეგ ზედიზედ მრავალი წლის განმავლობაში ეს პიროვნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ ბერძნულ

ორფიუმთან(Orphien); ის მოქმედებდა იმ დროს, რომელიც წინ უსწრებდა ბერძნული ფილოსოფიის წარმოქმნას და რომელსაც ფილოსოფიის ისტორიაზე წიგნებში უკვე აღარ აღნიშნავენ. ვინაიდან ის, რაც აღინიშნება თალესისა და ჰერაკლიტეს სახელებით, არის გამოძახილი იმისა, რასაც ადრე მისტერიის მოწაფეები თავის ყაიდაზე აკეთებდნენ. მისტერიათა ამ მოწაფეებს მიეკუთვნება ის, ვისზეც მე ახლა ვსაუბრობ როგორც ორფიული მისტერიების მოწაფეზე, რომელსაც შემდეგ ასევე თავის მოწაფედ ჰყავდა *ფერეკიდე სიროსიდან**, რომელზეც მივუთითებდი რამდენიმე წლის წინ მიუნხენში გამართულ ლექციების ციკლში: „აღმოსავლეთი დასავლეთის ჭრილში“.

თქვენ ხედავთ, რომ ინდივიდუალობას, რომელიც იყო ორფიული მისტერიების იმ მოწაფეში, ჩვენ ვპოულობთ, აკაშა-ქრონიკაში კვლევით, კვლავ განსხეულებულს ქრისტიანული წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში. ჩვენ მას ვპოულობთ მის ახალ ინკარნაციაში, ალექსანდრიის ცხოვრებაში, ამასთან ორფიული საიდუმლოებები გადატანილია, ცხადია, უმაღლესი დონის პიროვნულ განცდებში. აღსანიშნავია, როგორ არის გადატანილი ეს ყოველივე ახალი ინკარნაციისას პიროვნულ განცდებში. ჩვენ ვხედავთ ამ ინდივიდუალობას ხელახლა დაბადებულს ქრისტიანული ერის მეოთხე საუკუნის ბოლოს როგორც უდიდესი მათემატიკოსის *თეონის** ქალიშვილს. ჩვენ ვხედავთ, როგორ ცოცხლდება მის სამშვინველში ყოველივე ის, რისი განცდაც შეიძლებოდა ორფიული მისტერიებიდან უდიდესი მათემატიკური, ნათელი სამყაროსეული მიმართებების ჭვრეტისას. ახლა ეს ყოველივე იყო პიროვნული ტალანტი, პიროვნული უნარი. ახლა კი თვით ამ ინდივიდუალობასაც სჭირდებოდა მათემატიკოსი მამა, რათა რაღაც მემკვიდრული მიეღო; იმდენად პიროვნული უნდა ყოფილიყო ეს უნარები.

ასე ვუმზერთ ჩვენ წარსულის იმ დროებს, როცა ადამიანი ჯერ კიდევ დაკავშირებული იყო სულიერ სამყაროებთან, როგორც ეს იყო ამ ორფიელ ინდივიდუალობასთან. ასე ვხედავთ ჩვენ მის სილუეტს მათ შორის, რომლებიც ასწავლიდნენ ალექსანდრიაში მეოთხე-მეხუთე საუკუნეების მიჯნაზე. ამ ინდივიდუალობამ ჯერაც ვერ აღიქვა ვერაფერი იქიდან, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევდა, ასე ვთქვათ, არ შეემჩნიათ ქრისტიანობის საწყისი პერიოდის ჩრდილოვანი მხარეები; ვინაიდან ამ სამშვინველში ჯერ კიდევ ძალზე დიდი იყო გავლენა ყოველივე იმისა, რაც იყო ორფიული მისტერიების გამოძახილი, ძალზე დიდი, რომ მას შეძლებოდა გასხივოსნება იმ სხვა სინათლით, რომელიც მომდინარეობს ქრისტეს მოვლენისაგან. ის, რაც გარშემო ვლინდებოდა ქრისტიანობის სახით, მაგალითად, თეოფილოსში და კირილოსში, ეს ჭეშმარიტად იყო ისეთი, რომ ამ ორფიელ ინდივიდუალობას, რომელმაც ახლა მიიღო პიროვნული ხასიათი, შეეძლო ეთქვა და მოეცა უფრო დიადი და ბრძნული, ვიდრე მათ, რომლებიც წარმოადგენდნენ იმ დროის ქრისტიანობას ალექსანდრიაში.

როგორც თეოფილოსი, ისე კირილოსი აღვსილნი იყვნენ ღრმა სიძულვილით იმ ყველაფრისადმი, რაც არ იყო ეკლესიურ-ქრისტიანული ვიწრო გაგებით, სწორედ ამ ორი ეპისკოპოსის გაგებაში. ქრისტიანობამ მიიღო მთლიანად პიროვნული ხასიათი, ისეთი პიროვნული ხასიათი, რომ ამ ეპისკოპოსებმა შემოიკრიბეს პირადი დაქირავებული ჯარისკაცები. ყველგან აგროვებდნენ ხალხს, რომელთაც უნდა შეედგინათ, ასე ვთქვათ, არქიეპისკოპოსების დაცვა. ძალაუფლება პირადი თვალსაზრისით მათთვის მნიშვნელოვანი იყო. მათ ამოძრავებდათ სიძულვილი იმ ყველაფრისადმი, რაც მოდიოდა უძველესი დროიდან და რომელიც შედარებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე დამახინჯებული სახით წარმოდგენილი ახალი. ღრმა სიძულვილი, – განსაკუთრებით ხელახლა განსხეულებული ორფიელი ინდივიდუალობის მიმართ, – ცოცხლობდა მათში, ვინც ალექსანდრიაში მაღალ ქრისტიანულ წოდებას ატარებდა. ამიტომ, ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ხელახლა დაბადებულ ორფიელ ინდივიდს ცილი დასწამეს შავი მაგიის მიმდევრობაში. ეს საკმარისი იყო, რომ ბრბო, რომელიც მათ დაცვაში ჰყავდათ აყვანილი, აემხედრებინათ უდიდესი, ერთადერთი პიროვნების, ორფიული მისტერიის ხელახლა განსხეულებული მოწაფის წინააღმდეგ. ის იყო სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი, მაგრამ მისი ახალგაზრდობის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ მას უნდა გაევლო ყოველივე, რაც იმ დროებშიც ხანგრძლივი სწავლების მანძილზე ქალისთვის დიდ სირთულეებს წარმოადგენდა, ის ამაღლდა იმ სინათლისკენ, რომელიც იმ დროის ყველა სიბრძნეზე, ყველა შემეცნებაზე მაღლა იდგა. გასაოცარია, რომ დარბაზებში, სადაც ასწავლიდა *ჰიპათია**, – ასე უწოდებდნენ ხელახლა განსხეულებულ ორფიელს, – იქ, ალექსანდრიაში როგორ იღვრებოდა აღფრთოვანებულ მსმენელებზე ყველაზე წმინდა, ყველაზე ნათელი სიბრძნე. მის წინაშე პირქვე ემხობოდნენ არა მარტო ძველი წარმართები, არამედ ისეთი წმინდა, ღრმა ქრისტიანიც, როგორიცაა *სინეზიუსი**. ალექსანდრიაში ის დიდი გავლენით სარგებლობდა; ჰიპათიაში მას შეიძლებოდა განეცადა პიროვნებაში გადატანილი ორფიული ძველი წარმართული სიბრძნის აღორძინება.

ჭეშმარიტად სიმბოლურად მოქმედებდა მსოფლიო კარმა. ის, რაც შეადგენდა მისი ხელდასხმის საიდუმლოს, ნამდვილად პროეცირებული იყო, როგორც ჩრდილი, ფიზიკურ პლანზე. ამით ჩვენ ვეხებით მოვლენას, რომელიც მოქმედებდა სიმბოლურად და მნიშვნელოვანი იყო ბევრი რამისთვის, რაც ისტორიულ დროებში ხორციელდება. ჩვენ ვეხებით ერთ ისეთ მოვლენას, რომელიც მხოლოდ გარეგნულად

წარმოადგენს მოწამეობრივ სიკვდილს, მაგრამ ის არის სიმბოლო, რომელშიც აისახება სულიერი ძალები და აზრები.

ალექსანდრიაში ჰიპათიას თავს დაატყდა ეპისკოპოსის გარემომცველი ხალხის რისხვა, ეს იყო 415 წლის მარტის დღეებში. გადაწყვიტეს, თავი დაეღწიათ მისი ძალაუფლებისგან, მისი სულიერი ძალაუფლებისგან. ალექსანდრიის გარეუბნებიდან ყველაზე უვიცი, ველური ბრბო წააქეზეს და მოტყუებით ჩაიგდეს ხელში ეს ბრძენი გოგონა. ის ოთხთვალაში ჯდებოდა, როცა ნიშნის მიცემისთანავე, აგულიანებული ბრბო მას თავს დაესხა, ტანსაცმელი შემოახიეს, წაათრიეს ეკლესიაში, აწამეს და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ხორცები ააგლიჯეს სხეულიდან. და სრულიად ადამიანის სახედაკარგულმა მძვინვარე ბრბომ მისი სხეულის ნაწილები ქალაქში ათრია. ასეთია უდიდესი ფილოსოფოსის ჰიპათიის ბედისწერა.

შეიძლება ითქვას, აქ სიმბოლურად არის მითითებული რაღაცაზე, რაც ღრმად უკავშირდება ალექსანდრე დიდის მიერ ალექსანდრიის დაარსებას, თუმცა ეს მოხდა ალექსანდრიის დაფუძნებიდან დიდი ხნის შემდეგ. ამ მოვლენაში ასახულია მნიშვნელოვანი საიდუმლოებები ატლანტიდის შემდგომი მეოთხე პერიოდისა, რომელიც თავის თავში მოიცავდა ბევრ სიდიადეს, ბევრ მნიშვნელოვანს და რომელმაც ასევე ის, რაც მას უნდა წარმოეჩინა, როგორც მოშორება ძველისა, მიწის პირისაგან აღგვა ძველისა, სამყაროს წინაშე წარმოადგინა პარადოქსულად დიადი სახით ისეთ მნიშვნელოვან სიმბოლოში, როგორიცაა ჰიპათიის, მეოთხე-მეხუთე საუკუნეების მიჯნაზე ყველაზე გამოჩენილი ქალის სამსხვერპლოდ მიტანა; სხვაგვარად ამას ვერ უწოდებ.

მეორე ლექცია

შტუტგარტი, 1910 წლის 28 დეკემბერი

გუშინდელ შესავალ ლექციაში ვისაუბრე იმაზე, რომ კაცობრიობის ისტორიაში ზოგიერთი ძალზე შორეული მოვლენის გაგება ჩვენ შეგვიძლია, თუ ყურადღებას მივაპყრობთ თავად პიროვნებების არა მარტო ძალასა და უნარებს, არამედ დავუშვებთ, რომ შესაბამისი პიროვნებების მეშვეობით, თითქოსდა ინსტრუმენტების მეშვეობით, მოქმედებენ არსებები, რომლებიც ასე ვთქვათ, თავიანთ მოქმედებებს უზენაესი სამყაროებიდან მიმართავენ ჩვენი სამყაროსკენ. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ არსებებს არ შეუძლიათ უშუალო ზემოქმედება ჩვენს ფიზიკურ პროცესებზე, ჩვენი ფიზიკური სინამდვილის ფაქტებზე, რამდენადაც თავიანთი განვითარების თანამედროვე საფეხურზე მათ არ შეუძლიათ განსხეულება ფიზიკურ სხეულში, რომელიც თავის შემადგენელ ელემენტებს იღებს ჩვენი ფიზიკური სამყაროდან. ამიტომ, თუ მათ სურთ ჩვენს ფიზიკურ სამყაროში მოქმედება, საჭიროა ისარგებლონ ფიზიკური ადამიანით, მისი ხელებით, ასევე მისი განსჯითა და მისი გაგების უნარით. რაც უფრო შორს წავალთ საკაცობრიო განვითარების შორეულ დროებში, მით უფრო მკაფიოდ გამოხატულს ვიპოვით ჩვენ უზენაესი სამყაროების ამ არსებათა ზეგავლენასა და ზემოქმედებას. თუმცა არ შეიძლება იფიქროთ, რომ უზენაესი სამყაროებიდან ძალთა და ზემოქმედებათა ეს გამოვლინება (წარმართვა) ადამიანების მეშვეობით ფიზიკურ სამყაროში ოდესმე შემწყდარა, ჩვენი დროის ჩათვლით.

სულისმეცნიერთათვის, ვინც, როგორც ეს ჩვენ შეგვეძლო, აგერ უკვე რამდენიმე წელია, გვეკეთებინა, მიიღო თავის თავში ის, რაც ჩვენს შეგრძნებებსა და წარმოდგენებს წარმართავს იმისკენ, რომ დაუშვას უზენაესი სამყაროების არსებობა, მისთვის ხომ ახლა-

ხან მითითებული ასეთი ფაქტი, ცხადია, მაშინვე გასაგები იქნება, ვინაიდან ის მიეჩვია მუდმივად გააბას ძაფები ჩვენს შემეცნებას, ჩვენს აზროვნებას, ჩვენს ნებელობასა და ზენა იერარქიების არსებებს შორის. თუმცა სულისმეცნიერების მომხრე ზოგჯერ ხვდება ისეთ მდგომარეობაში, როცა მან თავი უნდა დაიცვას ჩვენს დროში არსებული მატერიალისტური წარმოდგენებისაგან, ასევე იმ წარმოდგენებისაგან, რომლებიც სულიერი განვითარებისგან შორს მდგომ ადამიანებს ართმევენ შესაძლებლობას რამდენადმე მაინც ჩასწვდნენ იმას, რაც უნდა ითქვას ზენა სამყაროების ზემოქმედებაზე ჩვენს ფიზიკურ სამყაროზე.

ჩვენს დროში, არსებითად, მოძველებულ შეხედულებებს მიაკუთვნებენ იმასაც, როცა საუბარია თუნდაც აბსტრაქტული იდეების გაბატონებაზე ადამიანურ მოვლენებში, ისტორიაში. მრავალი ადამიანისთვის სრულიად დაუშვებელია ნამდვილი მეცნიერულობის წინაშე ითქვას, რომ ერთმანეთის მომდევნო ისტორიულ ეპოქებში ვლინდებიან გარკვეული იდეები, აბსტრაქტული იდეები, რომლებიც, არსებითად, შეიძლება ცხოვრობდნენ მხოლოდ ჩვენს განსჯაში. მსგავსი აბსტრაქტული იდეებისადმი რწმენის უკანასკნელ გამოძახილს, – ამ იდეებთან მიმართებით, ცხადია, შეუძლებელია გავიგოთ, როგორ შეუძლიათ მათ მოქმედება, თუ ეს მხოლოდ აბსტრაქტული იდეებია, – ჯერ კიდევ შეიცავდა XIX საუკუნეში *რანკეს** ისტორიული შრომები. ისტორიის მამოძრავებელი იდეებისადმი ამ რწმენასაც თანდათან მოისვრიან ჩვენი მზარდი მატერიალისტური განვითარების მიღმა და ამჟამადაც, თვით ისტორიასთან მიმართებით, ნათელი გონების ნიშნად მიიჩნევა, როცა ჰგონიათ, რომ ყველაფერი, რაც ახასიათებს ეპოქას და რაც ვლინდება ეპოქაში, არსებითად, წარმოიქმნება მხოლოდ ფიზიკურად ხილული გარეგნული მოქმედებების, გარეგნული მოთხოვნილებების, გარეგნული ინტერესებისა და

თვით ფიზიკური ადამიანების იდეების თავმოყრით. ახლა დადგა ის დრო, როცა თითქოსდა ინსპირაციის მეშვეობით ისეთი მოაზროვნეები, როგორიცაა მაგალითად *ჰერდერი**, კაცობრიობის ისტორიის განვითარებას გამოხატავდნენ ისე, რომ ყველგან ჩანს: აქ, ამას საფუძვლად უდევს სულ მცირე ვარაუდი, რომ არსებობს ცოცხალი ძალები, ცოცხალი ზეგრძნობადი ძალები, რომლებიც ვლინდებიან ადამიანთა ქმედებების, ადამიანთა ცხოვრების მეშვეობით. ხოლო ვისაც დღეს სურს, იყოს ჭკვიანი, იტყვის: მართალია, ისეთ ადამიანს, როგორიცაა *ლესინგი**, ჰქონდა ბევრი ჭკვიანური იდეა, მაგრამ თავისი სიცოცხლის ბოლოს იგი მივიდა ისეთ სისულელემდე, როგორიცაა მის მიერ თავის „ადამიანთა მოდგმის აღზრდა“-ში დაწერილი, სადაც მან არ იცოდა, რითი დახმარებოდა თავის თავს სხვაგვარად, და მკაცრი კანონზომიერება ისტორიული განვითარების მსვლელობაში დააკავშირა გარდასხეულების იდეასთან. „ადამიანთა მოდგმის აღზრდის“ უკანასკნელ დებულებებში ლესინგმა, ნამდვილად გამოხატა ის, რასაც ოკულტური ფაქტებიდან გამომდინარე აღწერს სულისმეცნიერება; კერძოდ ის, რომ უძველეს დროებში მცხოვრებ სამშვინველებს, რომლებმაც მაშინ ცოცხალი ქმედითი ძალები აღიქვეს, ეს ძალები გადააქვთ თავიანთ ახალ განსხეულებებში, ისე რომ, არსებობს არა აბსტრაქტული, მხოლოდ იდეურად უწყვეტი ნაკადი, არამედ ნამდვილი, რეალურად უწყვეტი ნაკადი სულისა მატერიალურ პროცესებს მიღმა. როგორც უკვე ითქვა, ჭკვიანი ადამიანი იტყვის: სიბერეში ლესინგი მივიდა ისეთ აბდაუბდა იდეამდე, როგორიცაა გარდასხეულება, მაგრამ ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. – ეს გვახსენებს ასევე, ესოდენ მწარე, ირონიულ და მაინც ჭკვიანურ ჩანაწერს, რომელიც გააკეთა *ჰებბელმა** თავის დღიურში. ის ამბობს, რომ მშვენიერი სიუჟეტი იქნებოდა შემდეგი: გიმნაზიის მასწავლებელი

თავის სკოლაში გადის პლატონს, ხოლო გარდასხეულებული პლატონი იმყოფება მის მოწაფეებს შორის და იგი იმდენად ცუდად იგებს პლატონს გიმნაზიის მასწავლებლის მიერ ახსნილს, რომ ამ მასწავლებელს უწევს მისი მკაცრად დასჯა.

ადრინდელი სულიერი გაგებიდან ბევრი რამ დაიკარგა იმაში, რაც ეხება კაცობრიობის განვითარების ისტორიულ აღქმას და სულისმეცნიერებამ ნამდვილად უნდა დაიცვას თავი მატერიალისტური აზროვნების შემოტევისაგან, რომელიც იჭრება ყველა მხრიდან და რომელსაც სრულ სისულელედ მიაჩნია ის, რაც შეიძლება სულიერი ფაქტების საფუძველზე გვეუწყოს. ამაში ჩვენ, არსებითად, ძალზე შორს წავედით; მაგალითად, ყველა ის მძლავრი სურათ-ხატი, ყველა ის სიმბოლური წარმოდგენა, რომლებიც მომდინარეობდნენ ადამიანთა უძველესი ნათელმხილველური ცნობიერებიდან და აისახებოდა მითოლოგიაში, გმირების სახეში, ლეგენდებისა და ზღაპრების სურათ-ხატებში, დღეს პოულობენ ყველაზე უცნაური სახის განმმარტებლებს. ამ სფეროში ყველაზე კურიოზულია, ალბათ, *სალომონ რეინახის** (Salomon Reinach) ბროშურა „ორფეოსი“, რომელმაც ჩვენს დროში გარკვეული ყურადღება მიიპყრო საფრანგეთის სხვადასხვა წრეში. ყველაფერი, რისგანაც მომდინარეობდა დემეტრას, ორფეოსის სურათ-ხატები, სხვა მითოლოგიური წრის სურათ-ხატები, იქ დაყვანილია წმინდა მატერიალურ მოვლენებამდე, ამასთან, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ასკვნიან ამა თუ იმ ფიგურის ისტორიულ არსებობას, რომელიც იმალება, ვთქვათ, ჰერმესის ან მოსეს უკან, და როგორ ტრივიალურად ცდილობენ, ახსნან ეს ფიგურები წმინდა ადამიანური თხზვითა და ფანტაზიით. სალომონ რეინახის მეთოდით 60-70 წლის შემდეგ, ანუ როცა მის შესახებ გარეგნული მოგონება რამდენადმე გაქრება, ადვილი იქნება იმის დამტკიცება, რომ რეინახის მსგავსი არასდროს ყოფილა, რომ ეს არის ხალხური შემოქმედება, რომელმაც რაინიკე მელაზე უძველესი იდეა გადაიტანა სალომონ რეინახზე. მისი მეთოდით ეს სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. ეს ყოველივე ისეთივე სისულელეა, როგორც ის, რომ, – როგორც ეს განმარტებულია წინათქმაში, - „ეს ბროშურა „ორფეოსი“ დაწერილია თანამედროვე განათლებული ადამიანების ფართო წრისთვის, აგრეთვე ახალგაზრდებისთვის!“ „ახალგაზრდობისთვის, ვინაიდან რეინახი ხაზს უსვამს, რომ იგი თავს არიდებდა ყველაფერს, – თუმცა ვერ შეძლო გაქცეოდა იმას, რომ დემეტრას იდეა დაეყვანა ღორისკენ, – რასაც შეეძლო შეურაცხყოფა მიეყენებინა ახალგაზრდა ქალიშვილების ზნეობრივი გრძნობებისთვის! თუმცა იგი პირობას იძლევა, რომ, თუ მისი წიგნი გავლენას მოიპოვებს, რისი იმედიც მას აქვს, მაშინ მოამზადებს თავისი წიგნის განსაკუთრებულ გამოცემას დედებისთვის. მასში შევა ის ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ დამალული უნდა იყოს ქალიშვილებისაგან. აი ასე შორს წავედით ჩვენ.

მსურს, სწორედ სულისმეცნიერების მიმდევართა ყურადღება მუდმივად მივაპყრო იმაზე, რომ სულიერ უფლებათა(მეორე იერარქია - Exusiai), სულიერ ძალთა(მეორე იერარქია - Dynameis) მოქმედება ადამიანების მეშვეობით თვით ჩვენს ასწლეულამდე შეიძლება დადასტურდეს წმინდა გარეგნულ გონივრულ საფუძველზე, სრულიად დამოუკიდებლად წმინდა ოკულტურ-ეზოთერული კვლევისაგან, რომლითაც ჩვენ აქ ძირითადად დავკავდებით. ჩვენ რომ მივაღწიოთ ურთიერთგაგებას იმაში, რა სახით შეუძლია სულისმეცნიერებას, მიიღოს გარკვეული შესაძლებლობა წმინდა გარეგნულად დაიცვას ისტო-

რიაში ზეგრძნობად ძალთა ქმედება, ნება მომეცით მიგითითოთ შემდეგზე.

ვისაც აქვს გარკვეული წარმოდგენა თანამედროვე კაცობრიობის განვითარებაზე, რომელიც ხორციელდებოდა, ვთქვათ, XIV, XV საუკუნეებში, თვით XVI საუკუნემდე, მან იცის, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ამ გარეგნული განვითარებისას ახალ დროში გარკვეული პიროვნების ისტორიულ გამოჩენას, რომელთან დაკავშირებითაც ნამდვილად შეიძლება, წმინდად გარეგნულად დამტკიცდეს, რომ მისი მეშვეობით მოქმედებდნენ სულიერ-ზეგრძნობადი ძალები. ისტორიის ოკულტურ გაგებას რომ მცირედი ნათელი მოვფინოთ, შეიძლება დაისვას კითხვა: რა მოხდებოდა ახალი ევროპის განვითარებაში, თუ XV საუკუნის დასაწყისში განვითარებაში არ ჩაერთვებოდა გოგონა ორლეანიდან, *ორლეანელი ქალწული**? ის, ვინც თუნდაც წმინდად გარეგნულად განიხილავს ამ პერიოდის განვითარებას, მან უნდა თქვას: თუ ამოვაგდებთ ორლეანელი ქალწულის ქმედებებს ისტორიული პროცესიდან, მაშინ მარტოოდენ იქიდან, რისი გაგებაც შეიძლება წმინდად გარეგნული ისტორიული კვლევებიდან, ცხადი იქნება: ორლეანელი ქალწულის მეშვეობით მაღალი ზეგრძნობადი ძალების მოქმედების გარეშე საფრანგეთი და ფაქტობრივად მთელი ევროპა, XV საუკუნეში სრულიად სხვა სახეს მიიღებდა. ვინაიდან იმ დროს, რაც ხდებოდა ნებელობის იმპულსებში, ფიზიკური თავების ტვინებში, ეს მიდიოდა იმისკენ, რომ ევროპა გადასულიყო, ასე ვთქვათ, სახალხო ინდივიდუალობების ამოძირკვისა და ჩახშობის მეშვეობით სახელმწიფოს საყოველთაო წარმოდგენამდე. ამ ზეგავლენით, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ბევრი რამის განხორციელება იქიდან, რაც უკანასკნელ საუკუნეებში ევროპაში გამომუშავდა ევროპელი სახალხო ინდივიდუალობების ურთიერთქმედების წყალობით.

დაე, წარმოიდგინონ, რომ ისტორიიდან ამოიშალა ორლეანელი ქალწულის ქმედებები; დაე, წარმოიდგინონ საფრანგეთი, მინდობილი თავის ბედისწერას ორლეანელი ქალწულის გამოჩენის გარეშე; დაე, საკუთარ თავს დაუსვან კითხვა; რა მოუვიდოდა საფრანგეთს ამ ქმედების გარეშე? ხოლო შემდეგ დაფიქრდნენ, რა როლს თამაშობდა საფრანგეთი მომდევნო საუკუნეებში კაცობრიობის მთელი სულიერი ცხოვრებისთვის! ამის შემდეგ, დაე, შეადარონ ეს გარეგნული დოკუმენტებით დასაბუთებულ უდაო ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ ორლეანელი ქალწულის მისიას, – უნდა ჩავწვდეთ იმას, რომ ეს გოგონა, თვით იმ დროისთვისაც არცთუ განათლებული, არასრული 20 წლის ასაკში, 1428 წლის შემოდგომაზე, როგორ გრძნობს, რომ მას მიმართავენ ზეგრძნობადი სამყაროს სულიერი ძალნი; ძალნი, რომელთაც იგი მოსავს, ცხადია, თავისთვის ჩვეული ფორმებით, ისე რომ, ის მათ ხედავს მისი წარმოდგენების ჭრილში, თუმცა ეს არ არის რაიმე დასტური ამ ძალთა რეალობის საპირისპიროდ. წარმოიდგინეთ, რომ მან იცის: ზეგრძნობადი ძალნი მისი ნებელობის ძალას წარმართავენ სრულიად განსაზღვრული პუნქტისკენ. მე ამ ფაქტებს გიყვებით, უპირველეს ყოვლისა, არა იქიდან, რაც შეიძლება მოვიპოვოთ აკაშა-ქრონიკის თანახმად, არამედ მხოლოდ იქიდან, რაც დადგენილია დოკუმენტებით, წმინდა ისტორიულად.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ორლეანელი გოგონა თავიდან გაეხსნა მხოლოდ ერთ თავის ახლობელს, რომელშიც მან, შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა თანაგრძნობა. ის, რომ იგი რთული გზისა და დიდი წინააღმდეგობების გავლის შემდეგ მიყვანილ იქნა ბანაკში, სადაც განლაგებული იყო სამეფო კარი *მეფე კარლისა**, რომელმაც მთელი ფრანგული არმიით მიაღწია, ასე ვთქვათ, ბოლო მიჯნას; და ჩვენ ვიცით, რომ საბოლოოდ, მას შემ-

დეგ, რაც ამ გოგონას გზაზე შექმნეს უამრავი ბარიერი, გარშემოჯარული უამრავი ხალხით, სადაც მეფე კარლი იდგა ისე, რომ გარეგნულად მისი გამორჩევა შეუძლებელი ყოფილიყო, მან მაინც ზუსტად იპოვა იგი და მაშინვე მისკენ გაეშურა. ასევე ცნობილია, რომ აქ მან ისეთი რამ გაუხსნა მეფეს, რის შესახებაც, შეიძლება ითქვას, იცოდნენ მხოლოდ ზეგრძნობადმა სამყარომ და თავად მეფემ; ამით მეფეს სურდა ამ გოგონას გამოცდა. თქვენ, შესაძლოა, გარეგნული ისტორიიდან იცით, თუ როგორ მიიყვანა მან უდიდესი სირთულეების გავლის შემდეგ არმია გამარჯვებამდე, ხოლო მეფე – გვირგვინის დადგმამდე; ამ პერიოდში ის მუდმივად მოქმედებდა ძლიერი იმპულსითა და საკუთარი მტკიცე რწმენის გავლენით, უმჯობესია ითქვას, თავისი უშუალო ხილვით.

მაშინ ისტორიული განვითარების მსვლელობაში ვინ ჩაერია? არც მეტი, არც ნაკლები, ესენი იყვნენ არსებები ზენა იერარქიებიდან! გოგონა ორლეანიდან იყო ამ არსებათა გარეგნული იარაღი და ისინი, ზედა იერარქიათა ეს არსებები, წარმართავდნენ ისტორიის მოვლენებს. შესაძლებელია მავანი გონივრულად შეგვეპასუხოს: მე რომ ის წარმემართა, მე მას უფრო ჭკვიანურად წარვმართავდი, ვინაიდან, ესა თუ ის, რაც ორლეანელი ქალწულის გამოჩენით მოხდა, მავანის გონებაში არ ჯდება. მაგრამ ისინი, ვინც იღებს სულისმეცნიერებას, არ უნდა შეეცადონ ღმერთების ქმედებათა გამოსწორებას ადამიანური გონებით, როგორც ეს ხდება დღეს ჩვენს ე.წ. ცივილიზაციაში. თქვენ ხედავთ, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ჩვენი დროის სულისკვეთებით მოისურვეს, ასე ვთქვათ, თანამედროვე ისტორია გაეთავისუფლებინათ ორლეანელი ქალწულის საგმირო ქმედებათაგან. ამ მატერიალისტური სულისკვეთებით დაწერა *ანატოლი ფრანსმა** ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი ნაწარმოები. საჭირო იყო თუნდაც იმის ცოდნა, როგორ ეკიდება მატერიალისტური აზროვნება

უწყებებს, რომლებიც ნამდვილად, – მე ვსაუბრობ ჯერ ისევ გარეგნული ისტორიის დოკუმენტებზე, – ძალზე კარგად არის დასაბუთებული.

ცხადია, შტუტგარტელებმა იციან, რომ აქ, ამ ადგილას, ოდესღაც ცხოვრობდა სახარების გამოჩენილი მკვლევარი. ჩვენ როგორც სულისმეცნიერების წარმომადგენლებს, სრულებითაც არ გვმართებს დავეთანხმოთ *გიფრიორერის**, – ასე უწოდებდნენ სახარებების ამ მკვლევარს, – მიერ შემოთავაზებულ უამრავ მახვილგონივრულ გამონათქვამს და შეგვიძლია სრულიად დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ გიფრიორერი, თუ ის მოისმენდა იმას, რაც ახლა გვეუწყება სულისმეცნიერების სფეროში, გამოიყენებდა იგივე გამონათქვამს, რომელსაც იყენებდა თავის მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელთაც იგი თავისი დაჟინებულობითა და სიჯიუტით არც ისე წყალობდა: გამონათქვამი, რომ ეს თეოსოფებიც ისეთივე ადამიანები არიან, რომლებსაც „ქუდის ქვეშ ყველაფერი არა აქვთ წესრიგში“. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი ის დრო, როცა შეიძლება, როგორც ეს ხდება დღეს, ასე ვთქვათ, წმინდა მატერიალისტური სახით გადააბიჯონ ისტორიულ დოკუმენტებს, როცა ეს დოკუმენტები ეხება მოვლენებს, რომლებიც უხერხულობას ქმნიან, ამასთან აშკარად მიუთითებენ ჩვენს ფიზიკურ სამყაროში უზენაეს ძალთა ცოცხალ ზემოქმედებაზე. ამდენად, მე დღეს ვისურვებდი, კვლავ მომეტანა პატარა დოკუმენტი, წერილი, რომელიც გამოქვეყნდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მე მინდა, წაგიკითხოთ მხოლოდ ზოგიერთი ფრაგმენტი, ისევე, როგორც მაშინ მიუთითებდა გიფრიორერი ამ წერილზე თავისი რწმენის გამართლებისთვის. მე წაგიკითხავთ ფრაგმენტს ორლეანელი ქალწულის ერთი დახასიათებიდან და შემდეგ შეგეკითხებით, რას ნიშნავს ასეთი ცოცხალი აღწერა.

მას შემდეგ, რაც *წერილის** ავტორმა, რომელსაც ეყრდნობოდა გიფრიორერი, ჩამოთვალა ორლეანელი

ქალწულის მიერ განხორციელებული საქმენი, იგი აგრძელებს: „ეს და კიდევ ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა (ორლეანელმა) ქალწულმა და ღმერთის დახმარებით ის კიდევ ბევრ რამეს მოიმოქმედებს. ის არის ბრწყინვალე სილამაზის და ფლობს მამაკაცურ თავდაჭერილობასა და იერს. ის ცოტას ლაპარაკობს და ავლენს გასაოცარ გონიერებას; როცა საუბრობს, მისი ხმა სასიამოვნოა, როგორც ეს შეშვენის ქალებს. ჭამაში არის ზომიერი და კიდევ უფრო ზომიერად სვამს ღვინოს. ლამაზი ცხენები და აბჯარი მას დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ხალხმრავალი შეკრებები და საუბრები ქალწულს არ სიამოვნებს. ის ხშირად ღვრის ცრემლებს, უყვარს მხიარული რამეები, იტანს წარმოუდგენელ შრომას და ისეთ გულმოდგინეობას იჩენს ჯარის წარმართვასა და აბჯრის ტარებაში, რომ მთლიანად აბჯარასხმული რჩება შეუსვენებლად ექვსი დღე და ღამე. ის ამბობს: ინგლისელებს არა აქვთ უფლებები საფრანგეთზე და ამიტომაც, მისი თქმით, ის ღმერთმა გამოგზავნა, რათა მან განდევნოს და დაამარცხოს ისინი, ოღონდ მას შემდეგ, რაც წინასწარ გააფრთხილებს მათ. მეფის მიმართ გამოხატავს უდიდეს პატივისცემას; ის ამბობს, რომ იგი უყვარს ღმერთს და იმყოფება განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ, რის გამოც ის დაცული იქნება. ორლეანის ჰერცოგზე, თქვენს ძმისშვილზე, ის ამბობს, რომ იგი გათავისუფლებული იქნება საოცარი სახით, ოღონდ მას შემდეგ, რაც ინგლისელებს, რომელთაც ის ტყვედ ჰყავთ, გაეგზავნებათ მოწოდება მის გათავისუფლებაზე.

და ბოლოს, ბრწყინვალე პრინცო, ჩემს მოხსენებას მე დავამთავრებ ამით: ხდებოდა და ხდება კიდევ ბევრი საოცარი რამ, ვიდრე მე შემიძლია აღვწერო ან გამოვხატო სიტყვებით. იმ დროს, როცა მე ამას ვწერ, აღნიშნული ქალწული უკვე გაეშურა შამპანში ქალაქ რეიმსის გარეუბნისკენ, სადაც ნაჩქარევად წავიდა მეფე თავისი მირონცხებისა და მეფედ კურთხევისთვის ღმერთის დახმარებით. ბრწყინვალე და უძლიერესო პრინცო და ჩემო მაღალღირსო ბატონო, მორჩილად განდობთ საკუთარ თავს თქვენ, ვთხოვ რა უზენაესს, დაგიცვათ თქვენ და აღასრულოს თქვენი სურვილები.

დაწერილია ბიტერომისში, ივნისის თვის 21 დღეს, თქვენი მონა-მორჩილი პერცივალი, ბონლამიულკის მფლობელი, მრჩეველი და ხაზინადარი ფრანგთა მეფისა და ორლეანელი ჰერცოგის ბატონისა, სენეშალი მეფისა, წარმოშობით ბერრიდან (Berry)“.

ადამიანი, რომელიც იცნობს გოგონას, წერს ამ წერილს და არის მეფის უახლოესი ამალის წევრი. გაოცებას იწვევს, როცა ამ მოვლენებს პოულობ წმინდა ოკულტურ საფუძვლებზე და დასაბუთებებში, – ვინაიდან მათი პოვნა ასევე შესაძლებელია აკაშა-ქრონიკაში, – და შემდეგ ხედავ, რომ ასეთ შემთხვევებში სავსებით შესაძლებელია გარეგნული ისტორიული დოკუმენტების მოტანაც. მოკლედ, სრული სისულელეა ეჭვის შეტანა იმაში, რაც მოქმედებდა ორლეანელი ქალწულის მეშვეობით. ჩვენ თუ შემდეგ ყურადღებას გავამახვილებთ იმაზეც, რომ მისი გმირობის წყალობით ახალი დროის მთელმა ისტორიამ მიიღო სხვა სახე, მაშინ ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აქ ჩვენ ვხედავთ უშუალოდ მოქმედ, გარეგნულ-დოკუმენტურად დასაბუთებულ ზეგრძნობად სამყაროს. თუ სულისმკვლევარი კიდევ უფრო წინ წავა და თავისი საშუალებებით მოიძიებს ნამდვილ ინსპირატორს, რომელიც მოქმედებდა ორლეანელ ქალწულზე, მაშინ ერთმანეთის მომდევნო ეპოქების კვლევისას ის იპოვის რაღაც სრულიად განსაკუთრებულს. ის ნახავს, რომ იგივე სული, რომელიც მოქმედებდა ორლეანელი ქალწულის მეშვეობით, როგორც მისი იარაღის მეშვეობით, ასევე ზემოქმედებდა, ოღონდ სხვა ფორმით და ინსპირირებდა სრულიად განსხვავებული სახით, მეორე პიროვნებაზე, *სკოტ ერიგენზე**, რომე-

ლიც *კარლ მელოტის** კარზე ცხოვრობდა როგორც ფილოსოფოსი და რომლის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ იდეებს ასეთი ღრმა ზეგავლენა ჰქონდა ევროპაზე შედარებით ადრინდელ ეპოქებში. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იგივე ძალები სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული სახით მოქმედებენ ადამიანების, როგორც თავიანთი ინსტრუმენტების მეშვეობით, რომ განხორციელებულის უწყვეტობა მდგომარეობს იმაში, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ისტორიას.

გუშინ მე თქვენ გაჩვენეთ, რა სახით არის ბაბილონურ-ქალდეური ეპოქის მნიშვნელოვან მითში მითითებული ის, თუ როგორ ზემოქმედებს სულიერი სამყაროები ადამიანებზე, რომლებზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული ატლანტიდის შემდგომი მესამე პერიოდის ისტორიის მსვლელობაში; დამოკიდებული იყო ბევრი რამ ძველ ქალდეასა და ძველ ბაბილონში მთელი ისტორიული ჩამოყალიბების განმავლობაში. ცხადია, ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ ასევე ოკულტური მეცნიერების თვალსაზრისიდან ის ორი პიროვნება, რომლებიც იმალება გილგამეშისა და ეაბანის ლეგენდარული სახელების მიღმა. ოკულტურ-ისტორიულად ჩვენ მათში უნდა დავინახოთ პიროვნებები, რომლებიც დგანან ამოსავალ პუნქტთან იმისა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ბაბილონურ-ქალდეურ კულტურას. ის, რაც შეიძლებოდა მათგან მოსულიყო როგორც იმპულსი, ამას ჩვენ კვლავ ვპოულობთ უძველესი ბაბილონისა და ქალდეის სულიერი კულტურის განვითარებაში. გილგამეში იყო პიროვნება, რომელსაც მანამდე გავლილი ჰქონდა ასეთი სახის მრავალი ინკარნაცია, რომ ამ პიროვნებას შეიძლება ვუწოდოთ ძველი სამშვინველი კაცობრიობის განვითარებაში.

„იდუმალთმეტყველების ნარკვევიდან“ თქვენ უკვე იცით, რომ დედამიწის განვითარების ლემურიის პერიოდში მხოლოდ ადამიანთა ძალზე მცირე რაოდენობამ გადაიტანა მისი მოვლენები საკუთრივ დედამიწაზე, მხოლოდ მცირეოდენი დარჩა ლემურიის პერიოდის დროს დედამიწაზე; და რომ, სამშვინველთა უდიდესი ნაწილი მანამ, სანამ დაიწყებოდა საკუთრივ მთელი კაცობრიობის მუმიფიცირება, ამაღლდა დედამიწიდან სხვა პლანეტებისკენ და გააგრძელა ცხოვრება მარსზე, სატურნზე, ვენერაზე, იუპიტერზე და ა.შ., რომ შემდგომ, ლემურიის პერიოდის დასასრულიდან და ატლანტიდის პერიოდში, ეს სამშვინველები თანდათანობით კვლავ ჩამოვიდნენ დედამიწაზე, რათა შეცვლილ მიწიერ პირობებში განსხეულებულიყვნენ მიწიერ სხეულებში და გამოვლენილიყვნენ ახალ და ახალ ინკარნაციებში. ასე რომ, ჩვენ გვაქვს სამშვინველები, რომლებიც შედარებით ადრე დაეშვნენ პლანეტების სამყაროდან, და სხვები, რომლებიც დაეშვნენ მოგვიანებით, ატლანტიდის განვითარების შედარებით გვიანდელ პერიოდებში. პირველებს, მათ, ვინც ადრე დაეშვა, დედამიწაზე უფრო მეტი ინკარნაცია აქვთ გავლილი, ვიდრე მათ, ვინც ეშვებოდა გვიან, ამიტომაც პირველთა საპირისპიროდ ჩვენ შეგვიძლია ამ სამშვინველებს ვუწოდოთ ახალგაზრდა სამშვინველები, რომლებმაც შესაბამისად, ნაკლები აღიქვეს თავის თავში.

ძველი სამშვინველი იყო ის ინდივიდუალობა, რომელიც იმალება გილგამეშის სახელით, ხოლო შედარებით ახალგაზრდა – ის, რომელიც განსხეულებული იყო ეაბანში, ბაბილონის კულტურის საწყის პუნქტში. დიახ, ადამიანური სამშვინველების დიდ და პატარა ასაკთან მიმართებით გვეხსნება, – დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თვით ოკულტისტის გასაოცრად, – რაღაც განსაცვიფრებელი. თუ დღეს ვინმე განვითარდა, მაგალითად, იმდენად, რომ რამდენადმე მაინც უშვებს სულისმეცნიერების ჭეშმარიტებებს, მაგრამ დანარჩენში ჯერ კიდევ ებღაუჭება ცრურწმენებსა და გარეგნული სამყაროს შეფასებებს, მას, შეიძლება, ეგონოს, რომ ჩვენი დროის ფილოსოფოსები-

სა და სწავლულების სამშვინველები უნდა მივაკუთვნოთ უფრო ძველ სამშვინველებს. ოკულტური კვლევა ავლენს სწორედ საპირისპიროს, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს და თვით ოკულტისტებისთვისაც გასაოცარია, რომ, მაგალითად, *კანტში** ცხოვრობდა სრულიად ახალგაზრდა სამშვინველი. დიახ, ამას ვერაფერს მოუხერხებ, ამაზე ფაქტები მეტყველებენ. შეიძლებოდა იმაზეც მიგვეთითებინა, რომ შედარებით ახალგაზრდა სამშვინველები, ცხადია, სხეულდებიან უმრავლეს შემთხვევაში ფერადკანიან რასებში. რომ ფერადკანიან რასებს, კერძოდ შავკანიან რასას, განსხეულებისკენ მიჰყავს, ძირითადად, შედარებით ახალგაზრდა სამშვინველები. ადამიანური აზროვნების თავისებურების იმ სახეს, რომელიც აისახება მეცნიერულობაში, ამჟამინდელ მატერიალისტურ მეცნიერებაში, განაპირობებს შედარებით ახალგაზრდა სამშვინველები. და სავსებით შესაძლებელია იმის დასაბუთება, რომ წინარე ინკარნაცია მრავალი ადამიანისა, რომელთან მიმართებითაც ამის დაშვება შეუძლებელი იქნებოდა, ნამდვილად მიედინებოდა ველურებს შორის. დიახ, ამაზეც მეტყველებენ ისევ და ისევ ფაქტები! ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია, ვინაიდან ეს ასეა. ცხადია, ეს არანაირად არ ამცირებს იმ განსჯის მნიშვნელობას, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩვენს გარემომცველ სამყაროზე, მის ღირებულებაზე; და მაინც, ეს უნდა მივიღოთ იმის ზოგადი გაგებისთვის, რაზეც არის საუბარი. ამ თვალსაზრისით ძველ ბაბილონში ჩვენ ეაბანში საქმე გვაქვს ახალგაზრდა სამშვინველთან, ხოლო გილგამეშში – ძველ სამშვინველთან. მსგავსი ძველი სამშვინველი მთელი თავისი ბუნებით ადრე ითვისებს არა მარტო იმას, რაც წარმოადგენს თითქოსდა ელემენტს, თანამედროვე კულტურის ფაქტორს, არამედ იმასაც, რაც კულტურული შესაძლებლობის სახით

შემოდის აწმყოში და საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ მომავლის შორეულ პერსპექტივებში.

ახსნის პასუხად დაე შემოგვედავონ, რომ ხშირად ესოდენ ნაკლებად დაფასებული თეოსოფები და ანთროპოსოფები უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენენ უფრო ძველ სამშვინველებს, ვიდრე ისინი, ვინც კითხულობს აკადემიურ ლექციებს. მაგრამ ამას აჩვენებს კვლევა და მართალია, სულიერი კვლევა მცდარად არ უნდა იქნეს გამოყენებული შეფასებათა შესაბრუნებლად და დასაცინად, რაც წარმოადგენს ჩვენი კულტურის კუთვნილებას, მაგრამ სიმართლესაც ხომ უნდა შევხედოთ თვალებში. ამდენად, გილგამეში იყო პიროვნება, რომელიც თავისი მშვინვიერი კონსტიტუციის ძალით დაკავშირებული იყო იმასთან, რაც მიეკუთვნებოდა იმ დროის ყველაზე მოწინავე სულიერ ელემენტებსა და სულიერ ფაქტორებს, ასევე იმასთან, რაც იმ დროისთვის ანათებდა შორეულ მომავალში, რაც მაშინაც შეიძლებოდა მოპოვებულიყო იმით, რომ ასეთმა პიროვნებამ განვლო ხელდასხმის გარკვეული სახე. განსაზღვრული ხელდასხმისა და იმის უწყებით მეშვეობით, რისი მიღებაც მხოლოდ ხელდასხმით შეიძლებოდა, გილგამეშს უნდა მისცემოდა ის, რამაც იგი აქცია ისეთი უნარის მქონედ, რომ შეძლო ბაბილონის კულტურისთვის მიეცა ფერმენტი. ამდენად, მას ხელდასხმა უნდა გაევლო გარკვეულ საფეხურამდე.

ახლა ჩვენ განვიხილოთ, ამ ხელდასხმამდე გილგამეში როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ადამიანურ განვითარებაში. ის იყო ატლანტიდის შემდგომი მესამე ეპოქის ადამიანი. ამ ეპოქაში უკვე ჩამობნელდა ბუნებრივი ადამიანური ნათელხილვისთვის, იმისთვის, რაც შეეძლო ადამიანს და თავისი ბუნებრივი ძალების წყალობით რისი უნარიც ჰქონდა მას. ეს ნათელხილვა უკვე აღარ არსებობდა ისეთი სახით, რომ ადამიანთა დიდ ნაწილს შეძლებოდა უკან, თავისი

ადრინდელი ინკარნაციების ჭვრეტა. თუ ჩვენ წავალთ კიდევ უფრო უკან, შორეულ წარსულში, ატლანტიდის შემდგომ მეორე და პირველ ეპოქებში, მაშინ დავინახავთ, რომ ადამიანთა უმრავლესობას დედამიწაზე ჯერ კიდევ შეეძლო თავიანთი წინარე ინკარნაციების ჭვრეტა, იმჟამინდელ შობამდე მიმდინარე თავიანთი მშვინვიერი ცხოვრების ჭვრეტა. თუმცა ეს თანდათანობით დაიკარგა. გილგამეშის შემთხვევაში საქმე იყო ისე, რომ მას ყოველთვის იცავდა არსება, რომელსაც შეეძლო გამოვლენა მისი მეშვეობით, როცა იგი თანდათანობით მიჰყავდა გარკვეული ხელდასხმისკენ. იგი მას აყენებდა იმ ადგილას, სადაც ის სწავლობდა მსოფლიო ისტორიაში საკუთარი მდგომარეობის შეფასებას. ზეგრძნობადი ხასიათის მოვლენების წყალობით, რომელიც გუშინ ჩემ მიერ მოყვანილ მითში ჩვენ წინაშე წარმოჩნდება სურათ-ხატებში, მას დასახმარებლად ეძლევა მეგობარი, რომლის ველურობას, არაცივილიზებულობას მიგვანიშნებენ იმით, რომ ის თავისი გარეგნული იერით წარმოადგენს ნახევრად ცხოველს. ნათქვამია, რომ ეს მეგობარი საკუთარ ტანზე ატარებდა ცხოველების ტყავს. ეს ნიშნავს, რომ იგი, პირველყოფილი ადამიანების მსგავსად, დაფარული იყო თმებით, რომ მისი სამშვინველი იყო ისე ახალგაზრდა, რომ თავისთვის ააგო სხეული, რომელიც ადამიანს ჯერ კიდევ ველური სახით წარმოაჩენდა. ამდენად, შედარებით წინ წასულ გილგამეშს, ეაბანის სახით, გვერდით ჰყავდა ადამიანი, რომელიც თავისი ახალგაზრდა სამშვინველისა და ამით განპირობებული სხეულებრივი ორგანიზაციის წყალობით ჯერ კიდევ ფლობდა უძველეს ნათელხილვას. გილგამეშს იმისთვის მიეცა მეგობარი, რომ თავად შეძლებოდა ორიენტირება. შემდეგ ამ მეგობრის დახმარებით მან მოახერხა განეხორციელებინა გარკვეული ფაქტები, ვთქვათ, იმ სულიერი ძალის დაბრუნება, რომელიც მითში ასევე წარმოდგენილია ქალაქ ერეკის ქალღმერთის, იშტარის სურათ-ხატში. მე თქვენ გითხარით, რომ ქალაქის ქალღმერთი მოიტაცა მეზობელმა ქალაქმა და ამიტომ ორივემ, გილგამეშმა და ეაბანმა, დაიწყეს ომი მეზობელი ქალაქის წინააღმდეგ, დაამარცხეს ამ მეზობელი ქალაქის მეფე და თავიანთი ქალაქის ქალღმერთი უკან დააბრუნეს.

როცა სურთ, უძველეს მითებში ასახული ამგვარი მოვლენების ისტორიულად სწორად გაგება, მაშინ აუცილებელია უკვე მათი ოკულტური საფუძვლების წვდომა. ქალაქის ამ ქალღმერთის მოტაცების მიღმა რაღაც იმის მსგავსია, რაც იმალება ელენეს მოტაცებაში, რომელიც პარისს მიჰყავს ტროაში. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ სრულიად რეალურ საფუძვლებს ეყრდნობა ის, რაც გადმოცემულია ჩემს მცირე ნაშრომში: „*სისხლი-სრულიად განსაკუთრებული წვენი*“*. იქ მითითებულია, რომ უძველეს ხალხებში არსებობდა რაღაც სახის ზოგადი ცნობიერება, რომ ადამიანი თავისი კანის ფარგლებში შეიგრძნობდა თავის პირად „მე“-ს, მაგრამ ამავე დროს იგი თავს გრძნობდა ტომის, ქალაქის, თემის წევრად. ისეთივე სახით, როგორც ცალკეული ადამიანური სამშვინველი განიცდება ცენტრალური ფაქტორის სახით ჩვენი თითების, ხელებისა და ფეხებისთვის, რომლებიც ერთმანეთს ეკუთვნის მთელი ჩვენი ორგანიზმისთვის, ასევე გრძნობდა თავს ადამიანი უძველეს დროში ჯგუფური სამშვინველის წევრად, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. რაღაც მსგავსი არსებობდა უძველეს დროში ჯერ კიდევ ძველ ქალაქურ თემებში, თვით საბერძნეთშიც. თემის საერთო სული, სახალხო „მეობა“, ტომის „მეობა“ ცხოვრობდა და მოქმედებდა თემის ცალკეულ ინდივიდუალობაში. ის, რაც ადამიანურ ცნობიერებამდე უნდა დასულიყო ასეთი საერთო მეობიდან, ეს მართული უნდა ყოფილიყო მისტერიებში, საიდუმლო ტაძარ-ცენტრებში. უძველესი მისტერიის ქურუმები მართავდნენ თემისა თუ ტომის საერთო

სულიერ საქმეებს. არა მარტო ფიგურალურად, არამედ გარკვეული თვალსაზრისით სრულიად რეალურად სწორად ამბობენ, რომ ასეთი ტაძარი ნამდვილად იყო თემის-მეობის, ჯგუფური სამშვინველის სავანე. იქ იყო მისი ცენტრალური ადგილსამყოფელი და ტაძრის ქურუმები იყვნენ მისი მსახურები. ისინი იყვნენ ქურუმები, რომლებიც ინსპირაციების მეშვეობით იღებდნენ მითითებს ამ ჯგუფური სამშვინველისგან, – მას ეწოდებოდა ორაკული, – და გამოჰქონდათ ისინი სამყაროში, რათა მომხდარიყო ესა თუ ის მოვლენა; ვინაიდან ორაკული იმ დროში უნდა გავიგოთ სწორედ იმ თვალსაზრისით, როგორც მე ახლა დავახასიათე.

ასეთი ტაძრების მართვა დაკავშირებული იყო გარკვეულ საიდუმლოებებთან და უძველეს დროებში უამრავი ომი იმართებოდა ისე, რომ ერთი ქალაქის ტაძრის ქურუმები ტყვედ მიჰყავდათ მეზობელი ქალაქის დამპყრობთ, ისე, რომ მეზობელი ქალაქი, ტაძრის ქურუმების მოტაცებით, თითქოსდა იტაცებდა სხვა ქალაქის უმნიშვნელოვანეს საიდუმლოებებს. აქ თქვენ წინაშეა რეალური მოვლენა, რომელიც ემთხვევა იმ სურათ-ხატს, რომ ქალაქის ქალღმერთი იშტარი, ერეკის ტომის სამშვინველი, მოიტაცა მეზობელმა ქალაქმა. ტაძრის ქურუმები, ტაძრის საიდუმლოებათა მმართველები, ტყვედ აიყვანეს, ვინაიდან მეზობლები ვარაუდობდნენ, რომ ამ სახით დაეუფლებოდნენ წმინდა საიდუმლოებებს, ხოლო ამის მეშვეობით მოცემული ქალაქის ძალასაც. ეს არის რეალური უკანა მხარე.

სამშვინველის იმ წყობით, რომელშიც გილგამეში იმყოფებოდა თავიდან, მას თავად არ შეეძლო ასეთი მოვლენების აღქმა, ვინაიდან თავად ვერ ჭვრეტდა ამ მიმართებებს. თუმცა შედარებით ახალგაზრდა სამშვინველს შეეძლო მისთვის სამსახური გაეწია, ასე ვთქვათ, ნათელხილვის ორგანოთი, და ეს დაეხმარა

მას ომით დაებრუნებინა მშობლიური ქალაქისთვის ტაძრის საგანძური. მაშინ გილგამეშის ცნობიერებამდე მკაფიოდ დავიდა ის, რომ სწორედ გარდამავალ დროს ადამიანურ ცხოვრებაში არსებობს რაღაც, რაც ასახულია ლეგენდაში ბრმასა და კოჭლზე, ისინი ცალ-ცალკე ორივე უმწეოა, მაგრამ წინ მიიწევენ ერთად იმის წყალობით, რომ ბრმა ზურგზე შემოისვამს ხეიბარს, ხოლო ხეიბარი თავისი ხედვის უნარით ეხმარება ბრმას. გილგამეშში და ეაბანში ჩვენ ვხედავთ სულიერში გადატანილ ამგვარ ურთიერთქმედებას სრულიად განსხვავებული უნარების მქონე ადამიანებს შორის. ჩვენ ამას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, განსაკუთრებით უძველესი დროების ისტორიულ მოვლენებში. მთავარია ეს გვესმოდეს, ვინაიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება გაგება იმისა, რატომ არის ასე ხშირად გადმოცემული მითებსა და თქმულებებში მეგობრები, რომლებმაც ერთობლივად უნდა განახორციელონ რაღაც, მეგობრები, რომლებიც თავიანთი მშვინვიერი წყობით ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც გილგამეში და ეაბანი. ის, რაც გილგამეშმა თავისი მეგობრის ეაბანის მეშვეობით მოიპოვა თავისი სამშვინველისთვის, იყო ნათელხილვის ძალა, რომლითაც ის თითქოსდა მოიწამლა, ასე რომ, მან შეძლო და გარკვეული სახით გადახედა თავის საკუთარ წინარე ინკარნაციებს. ამდენად, გილგამეშმა ნამდვილად ისწავლა ეაბანისაგან თავისი წინარე ინკარნაციების ხილვა. ეს იყო ისეთი რამ, რაც გილგამეშის ნორმალური უნარების ფარგლებს სცდებოდა. ახლა კი ცოცხლად წარმოვიდგინოთ, როგორი გავლენა შეეძლო მოეხდინა გილგამეშზე მისი წინარე ინკარნაციების ხილვას.

რისი თქმა შეეძლო მას თავისი თავისთვის იმ დღიდან მოყოლებული, როცა მის სამშვინველში გაჩნდა შესაძლებლობა გადაეხედა იმისთვის, რაც მისმა სამშვინველმა განიცადა წინა ინკარნაციაში? თავიდან

ამან გამოიწვია მისი გაოცება. მას არ შეეძლო ასე უბრალოდ მიეღო თავისი საკუთარი არსი, ისეთი, როგორიც ის იყო წინარე ინკარნაციებში; მან, ასე ვთქვათ, თავისი თავი მაშინვე ვერ იცნო. ასე ხდებოდა ეს ადამიანებთან, როცა ისინი იწყებდნენ თავიანთი წინარე ინკარნაციების დანახვას. უმრავლეს შემთხვევაში ამას სრულიად სხვა სახე ექნებოდა, ვიდრე იმ გამონაგონებში, რომლებიც ხშირად ჩნდება, როცა საუბარია, რომ რომელიღაც ადამიანი არის ამა თუ იმ პიროვნების რეინკარნაცია. შეიძლება მოხდეს, რომ მავანი მოიტანს მთელი რიგი ცნობილი ისტორიული პიროვნებების სახელებს როგორც მის წინარე ინკარნაციების გამოვლინებებს. ცხადია, იქნება ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ წინა ინკარნაციებში არაფერია მეფეებსა და პრინცესებზე დაბალი რანგისა. სწორედ ასეთ საკითხებში, რომლებშიც ყველაფერი უნდა იყოს ძალზე სერიოზულად, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფანტაზიებს, მათთან მიმართებით არ შეიძლება თვითნებობა.

ის, ვინც გილგამეშის მსგავსად პირველად მიაპყრობს მზერას თავის წინარე ინკარნაციებს, უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება გაოცებული დარჩეს. გილგამეში უმზერდა ინკარნაციებს, როცა იგი ჩართული იყო სხვადასხვა ურთიერთობაში, რომლებიც განპირობებული იყო ჯგუფური სამშვინველით. თავად იგი, ცხადია, გარკვეულწილად გამოვიდა ამ ურთიერთობებიდან, მან ხომ საერთოდ პირველად შეძლო, ეაბანის მეშვეობით გაეგო მთლიანად მნიშვნელობა იმისა, რაც სიმბოლურად არის გადმოცემული ქალაქის ქალღმერთზე მითში. როცა მან გადახედა წარსულ ინკარნაციებს, ბევრი რამ არ მოეწონა და აქ მას შეეძლო თავისი თავისთვის ეთქვა: ეს ხომ სრულებითაც არ ჯდება ჩემს გემოვნებაში. მან დაინახა, რომ მაგ„ მის სამშვინველს წინარე ინკარნაციებში ჰქონდა სრულიად განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობები,

სრულიად განსაკუთრებული ადამიანური კავშირები, რისიც მას ახლა შერცხვებოდა. მაშინ მოხდა ის, რაც ასახულია მითში, და მან დაიწყო ლანძღვა იმისა, რაც მას ირიბი გზით ეაბანის მეშვეობით გაუხსნა ქალაქის ქალღმერთმა, იგი საყვედურებს აყრის თავის სამშვინველს. მითში მითითებულია, რომ იგი საყვედურობს ქალღმერთს თავის ნაცნობებზე (Bekanntschaften), ეჭვიანობის გამო. იგი ხედავდა, ასე ვთქვათ, თავისი სამშვინველის ჰორიზონტს და ხილვები მის წინაშე ისე ცოცხლად იდგნენ, როგორც გარეგნულ ფიზიკურ სამყაროში ვინმეს გარშემო მდგომი ადამიანები, რომელთა მიმართაც განიცდი ამა თუ იმ სიმპათიას ან ანტიპათიას. გილგამეში რომ საყვედურებს უგზავნის ქალაქის ქალღმერთს, ამას ვიგებთ იქიდან, რომ იგი საუბრობს, არსებითად, იმასთან, რაც თამაშდება თავისი სამშვინველის სიღრმეში. მაგალითად, როცა ჩვენ გვუბნებიან, რომ იგი საყვედურობს ქალაქის ქალღმერთს იმის გამო, რომ მან ნაცნობობა გააბა რომელიღაც ადამიანთან, რომელსაც მითში ჰქვია ისულანუ; ეს ნიშნავს, რომ მას არ მოსწონდა ნაცნობობა ამ ადამიანთან, წინა ინკარნაციაში თავისი ბატონის მებაღესთან. შესაბამისად, ის, რაც ხდებოდა გილგამეშის სამშვინველში და რისი მეშვეობითაც მან, არსებითად, პირველად მოიპოვა ის შინაგანი „წვდომა“, სამშვინველის ის შინაგანი სისავსე, რომელსაც საჭიროებდა, რათა გამხდარიყო ბაბილონის კულტურის დამფუძნებელი, ეს ყოველივე ასახულია გარკვეული ნათელხილვისკენ მიბრუნებით, ზეგრძნობად სამყაროებში ასვლით, რაც მას გარკვეული მიმართებით უკვე დაკარგული ჰქონდა, ვინაიდან ის იყო მოხუცი სამშვინველი. აი რა წარმოჩნდება მითში ჩვენ წინაშე.

ამის შემდეგ მას უნდა გაევლო თავისებური სახის ხელდასხმა, როცა მიყვანილ იქნა ისეთი სახის ხილვამდე, რომელსაც თავისი საკუთარი სამშვინველი ფლობდა ატლანტიდის ინკარნაციის დროს. ის, რასაც

მითი აღწერს როგორც გილგამეშის ზღვით ცურვასა
და მოგზაურობაზე დასავლეთისკენ, სხვა არაფერია,
თუ არა მისი *სამშვინველის მოგზაურობა ხელდასხმის
მოსაპოვებლად**, რომლის წყალობითაც იგი აღწევს
სულიერ მწვერვალებს, სადაც მას შეუძლია აღიქვას
ის, რითაც იყო გარემოცული უძველესი ატლანტიდის
დროს, როცა მისი სამშვინველი ნათელმხილველურად
იმზირებოდა სულიერ სამყაროში. ამიტომ, მითი გვიყ-
ვება, რომ გილგამეში თავის ამ სულიერ მოგზაურობა-
ში ხვდება უდიდეს პიროვნებას, მბრძანებელს ატლან-
ტიდიდან ქსისუტროსს. ეს იყო პიროვნება, რომელიც
მიეკუთვნებოდა ზენა იერარქიებს და ატლანტიდის პე-
რიოდში ცხოვრობდა კაცობრიობის შემადგენლობაში,
მაგრამ შემდეგ დაშორდა ამ კაცობრიობას და ცხოვ-
რობდა ყოფიერების უფრო მაღალ სფეროებში. ეს პი-
როვნება უნდა გაეცნო გილგამეშს, რათა მისი არსის
ჭვრეტით მოეპოვებინა ის, რაც აუცილებელი იყო იმის
გასაგებად, როგორია სამშვინველები, როცა მათ შეუძ-
ლიათ უმზირონ სულიერ სამყაროებს. ასე იქნა იგი აყ-
ვანილი კვლავ სულიერ სფეროებში იმის წყალობით,
რომ თავის სამშვინველში დაბრუნებულ იქნა უკან,
ატლანტიდის დროში. როცა მას აძლევენ დავალებას,
არ დაიძინოს შვიდი ღამე და ექვსი დღე, ეს სხვას
არაფერს ნიშნავს, თუ არა ვარჯიშს, რომლითაც სამ-
შვინველი უნდა გარდაქმნილიყო, რათა მთლიანად შე-
ეღწია შესაბამის, ახლახან აღწერილ სულიერ სფერო-
ებში. როცა ნათქვამია, რომ მან ეს ვერ შეძლო, ესეც
რაღაც მნიშვნელოვანს აღნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ
გილგამეში ჩვენ წინაშე უნდა წარმოჩნდეს როგორც
პიროვნება, რომელსაც შეეძლო ხელდასხმის კარიბჭის
გავლით ჩაეხედა სულიერ საიდუმლოებებში, მაგრამ
იმ დროის გარემოებების ხასიათიდან გამომდინარე მა-
ინც ვერ შეძლო მთელი სიღრმეების წვდომა. ერთი
სიტყვით უნდა ითქვას, რომ მას არ შეეძლო ზენა სუ-
ლიერ სამყაროებში სრულიად მკაფიოდ ხედვა და ამი-

ტომაც მთელ ბაბილონურ კულტურას მან დაასვა ის
დაღი, რომელიც არის მხოლოდ ანაბეჭდი ხელდასხმის
საიდუმლოებებში უბრალო ჩახედვისა.

ჩვენ ვნახავთ, რომ ბაბილონის გარეგნული კულტუ-
რა ფაქტიურად ისეთია, რომ იგი ამართლებს ახლახან
ნათქვამს მაშინ, როცა მაგ., ყველაფერი მიგვანიშნებს
იმაზე, რომ ჰერმესში ჩვენ წინაშეა პიროვნება, რომე-
ლიც იმზირებოდა ხელდასხმის უღრმეს საიდუმლოე-
ბებში და ამიტომაც გახდა ეგვიპტის კულტურის დია-
დი ინიციატორი, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ
ბაბილონის გარეგნული კულტურა მომზადდა ისეთი
სახით, როგორც ჩვენ ეს ზემოთ დავახასიათეთ: სწო-
რედ წამყვანი პიროვნების მეშვეობით, რომელსაც სამ-
შვინველში ჰქონდა ყველა ის თვისება, რომელიც ვი-
თარდება, როცა წმინდა საიდუმლოებების სიღრმეებში
არც ისე ღრმად იხედებიან. ამიტომ ძველ ბაბილონში
ნამდვილად სახეზეა ისეთი ისტორიული განვითარება,
რომელშიც მკაფიოდ მიდის გვერდიგვერდ გარეგნული
კულტურული ნაკადი და ეზოთერულ-შინაგანი. მაშინ,
როცა ეგვიპტურ ცხოვრებაში ორივე უფრო მეტად
მსჭვალავს ერთმანეთს, ძველ ბაბილონურ კულტურაში
ისინი თითქოსდა მთლიანად დაცილებულია ერთმა-
ნეთს. რაც ჩვენ უნდა განვიხილოთ ბაბილონის კულ-
ტურის სახით, როგორიც დაფუძნდა იგი გილგამეშის
მიერ, სწორედ ამის შიგნით ცხოვრობდა ის, რაც ძევს
ქალდეველების უწმინდეს და იდუმალ მისტერიებში.

მისტერიებში ხელდასხმულები, ცხადია, ბოლომდე,
სიღრმისეულად იყვნენ განდობილები, მაგრამ ეს მხო-
ლოდ წვრილი ჭავლის სახით ოდნავ იღვრებოდა გა-
რეგნულ კულტურაში. ეს გარეგნული კულტურა იყო
გილგამეშის იმპულსების შედეგი. ამდენად, ყველა ამ
განხილვიდან გაირკვა, რომ გილგამეში როგორც პი-
როვნება, არსებითად, არ იყო იმდენად განვითარებუ-
ლი, რომ სრული ხელდასხმა განეცადა. მაგრამ სწო-
რედ იმის გამო, რომ იმ ეპოქაში, რომელშიც ის მოქ-

მედებდა, მას არ შეეძლო, ასე ვთქვათ, გამოევლინა თავისი საკუთარი პიროვნული იმპულსები და ეუწყებინა სამყაროსთვის თავისი პიროვნული ძალა; მისი მეშვეობით მას შეეძლო სრულიად განსაკუთრებული მოქმედების საშუალება მიეცა იმ სულიერ არსებათაგან ერთ-ერთისთვის, რომელთაც ჩვენ მივაკუთვნებთ ცეცხლის სულების კლასს, ანუ მთავარანგელოზებს. ასეთი არსება მოქმედებდა გილგამეშის მეშვეობით და ბაბილონის ცხოვრების წყობა, მისი მამოძრავებელი ძალა, რომლის იარაღიც იყო გილგამეში, ჩვენ უნდა ვეძიოთ ასეთი ცეცხლის სულში. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია გილგამეში ნამდვილად წარმოვიდგინოთ სურათ-ხატში, რომელსაც შეუძლია, მოგვცეს ძველი კენტავრის სიმბოლო. ძველი სიმბოლოები გაცილებით უფრო მეტად პასუხობს სინამდვილეს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ. კენტავრი, ნახევრად ცხოველი, ნახევრად ადამიანი, ყოველთვის განასახიერებდა იმას, რომ ძველი დროის ძლევამოსილ ადამიანებში, გარკვეული სახით, ნამდვილად გაყოფილი იყო უზენაესი სულიერება და ის, რაც ცალკეულ პიროვნებას აკავშირებდა ცხოველურ ორგანიზაციასთან. კენტავრის მსგავსად მოქმედებდა გილგამეში მათზე, ვისაც შეეძლო მასზე მსჯელობა, ასევე მოქმედებს იგი ჯერ კიდევ დღესაც მათზე, ვისაც შეუძლია მის შესახებ მსჯელობა.

აღსანიშნავია, რომ დღეს სწორედ კენტავრის ეს სურათ-ხატი ამოტივტივდება ისევ და ისევ თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების სფეროში. *ახლახან გამოვიდა წიგნი**, რომელსაც სურს მთლიანად დადგეს საბუნებისმეტყველო მეცნიერული ფაქტების ნიადაგზე, და მაინც, ის ამ ფაქტებს, გარკვეული მიმართულებით, ეკიდება ცრურწმენების გარეშე და ამიტომ, ყველაფერს არ აყენებს უკუღმა უაზროდ და დილეტანტურად ისე, როგორც ამას აკეთებენ ისინი, ვინც თავის თავს მონისტებს უწოდებენ. ავტორი ნამდვილად ცდილობს, გაიგოს, როგორ უპირისპირდება ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი მშვინვიერ-სულიერი არსება, ფიზიკურ-სხეულებრივ ორგანიზაციას. სწორედ აქ მიდის მნიშვნელოვან ხატამდე ადამიანი, რომელიც ეყრდნობა საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ფაქტებს. ამ სურათ-ხატის შექმნისას იგი, ალბათ, არც ფიქრობდა კენტავრზე, მაგრამ ის საუბრობს იმაზე, რაც მიიღება საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენებიდან სამშვინველის მიმართებაზე სხეულთან: ეს შეიძლება შევადაროთ ცხენზე ამხედრებულ მხედარს. შეუძლებელია, სხვაგვარად წარმოვიდინოთ ის, რისკენაც უბიძგებს ნამდვილად გაგებული საბუნებისმეტყველო ფაქტები, ვიდრე თქმა: დამოუკიდებელია ის სამშვინველი, რომელიც სხეულს იყენებს როგორც იარაღს, მსგავსად იმისა, როგორც მხედარი – თავის ცხენს. კენტავრი ისევ აქაა; მოვლენები კი ნამდვილად აჩქარდება და აჩქარდება იმაზე მეტად, ვიდრე ეს ჰგონიათ ადამიანებს, ხოლო სულისმეცნიერული წარმოდგენები აუცილებლად უნდა შეეგუოს ჩვენს თანამედროვეებში სწორედ საბუნებისმეტყველო ფაქტების გავლენას. არც ისე დიდი ხნის წინ მე ვესაუბრე ერთ ფილოსოფოსს, რომელიც ბევრ რამეს აგებდა მატერიალისტურ წარმოდგენებზე და თავისი მატერიალისტური წარმოდგენებიდან გამომდინარე მითხრა: „კენტავრის ხატი, ბუნებრივია, წარმოიქმნა ასე: საბერძნეთის უძველესი მაცხოვრებლები ხედავდნენ რომელიღაც ხალხებს, რომლებიც ჩრდილოეთიდან მოადგებოდნენ თავიანთ ცხენებზე ამხედრებულნი და რამდენადაც ნისლი ხშირი იყო, ამიტომ მათში წარმოიქმნა წარმოდგენა, რომ მხედარი და ცხენი წარმოადგენენ ერთ მთლიანობას. თავიანთი ცრუ რწმენიდან გამომდინარე ეს შეეძლოთ ადვილად წარმოედგინათ“.

ნამდვილად ძალზე მარტივი წარმოდგენაა, შესაძლოა არც ისე ფილოსოფიური, მაგრამ უკიდურესად მარტივი. კენტავრის ხატი, რომელიც იმიტომ კი არ წარმოიქმნა, რომ ბერძნებს არ შეეძლოთ, ცხენოსანი

გაერჩიათ თავისი ცხენისგან, არამედ იმისაგან, რომ უძველეს ხალხებს ნამდვილად უნდა გაეაზრებინათ ადამიანის სულიერი არსი თავის ფიზიკურ ბუნებასთან მიმართებით და ეს ხატი კვლავ ამოტივტივდება ჩვენს დროში სრულიად დამოუკიდებლად საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენებიდან. ამდენად, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ დღეს, ყველანაირი მატერიალისტური წარმოდგენის მიუხედავად, ვიმყოფებით იმ გზაზე, რომ თავად მატერიალიზმი, თუ მას სურს, დაეყრდნოს მხოლოდ ფაქტებს, თანდათანობით მიიყვანს იმასთან, რისი თქმაც სულისმეცნიერებას შეუძლია თავისი ოკულტური წყაროებიდან გამომდინარე. თუ ისეთ ფიგურას, როგორიცაა გილგამეში, რომელსაც ახლა გარეგნული კვლევაც ასე მიუახლოვდა, ჩვენი სურვილით დავაყენებთ ოკულტური კვლევის სათავეში, როგორც ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენი დაკვირვებების მიზნით, მაშინ უნდა გავაცნობიეროთ, რომ აქ საქმე გვაქვს ზენა სულიერი იერარქიების არსებების ზემოქმედებასთან. ასე რომ, თუ გვსურს, თითოეული ადამიანი თავისი სულიერი ასპექტით განვიხილოთ როგორც კენტავრის ხატი, მაშინ გილგამეშივით მოქმედ ადამიანთან ჩვენ განსაკუთრებით უნდა დავუშვათ, რომ კენტავრის სულიერი არსი იმართება უზენაეს ძალთა მიერ, რომლებიც თავიანთ ძალებს აგზავნიან კაცობრიობის პროგრესში. თუ ჩვენ კიდევ უფრო შორს წავალთ ისტორიაში, მაშინ დავინახავთ, რომ ეს გაცილებით უფრო ნათლად წარმოგვიდგება. ჩვენ ვნახავთ, როგორ ხდება მისი მოდიფიცირება თვით ჩვენს დრომდე და რაც უფრო შევდივართ უშუალოდ ჩვენს თანამედროვეობაში, უფრო მკაფიოდ დავინახავთ, თანდათანობით როგორ იღებენ სხვა იერს სულიერი არსებები, როცა მოქმედებენ ადამიანების მეშვეობით.

მესამე ლექცია

შტუტგარტი, 1910 წლის 29 დეკემბერი

წინა ლექციებში ადამიანური განვითარების ოკულტური დინების გაცნობასთან დაკავშირებით ნათქვამი უკვე მიგვითითებს, რომ თავად ადამიანის ინდივიდუალური ხასიათითა და ინდივიდუალური განვითარებით განპირობებული მიმდინარეობა ინკარნაციისა, მოდიფიცირდება სულიერ ძალთა ჩარევით ზენა იერარქიების სფეროდან. კაცობრიობის განვითარებაში რეინკარნაცია არც ისე მარტივი მოვლენაა, როგორც ეს შეიძლებოდა ევარაუდათ ცნობილი თეორიული სიმყუდროვიდან გამომდინარე. ფაქტია, რომ ადამიანი კვლავ და კვლავ სხეულდება, რომ ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ მისი არსების ბირთვს, ყველა მომდევნო ინკარნაციაში ვლინდება; სწორია, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ცხოვრებებს შორის, რომელიც მოგვიანებით ვლინდება როგორც ინკარნაციები. ასევე არსებობს კარმის კანონი, რომელიც ამ მიზეზობრივ კავშირს, ასე ვთქვათ, გამოხატავს. თუმცა ამ ყველაფრის მიღმა არსებობს კიდევ რაღაც სხვა და მხოლოდ ეს სხვა წარგვმართავს ჩვენ კაცობრიობის ისტორიული განვითარების მსვლელობის გაგებისკენ. კაცობრიობის განვითარებას ექნებოდა სრულიად სხვაგვარი მსვლელობა, თუ სხვა არაფერი ჩაერეოდა, გარდა მიზეზობრივი კავშირებისა ადამიანის ერთ ან მეორე, ანდა მის წინარე და მომდევნო ინკარნაციებს შორის. თუმცა, მეტ-ნაკლებად ყველა ინკარნაციაში, – და ამას განსაკუთრებით ადგილი აქვს ისტორიის მოწინავე პიროვნებებში, – ადამიანურ ცხოვრებაში მუდმივად იჭრებიან ძალზე მნიშვნელოვანი სხვა ძალები და იყენებენ ადამიანს როგორც იარაღს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოვრების უშუალო, მხოლოდ და მხოლოდ თავად ადამიანში ჩადებული კარმული

მსვლელობა, მოდიფიცირდება ინაკრნაციების მანძილზე. სწორედ ასეა ეს სინამდვილეში.

ახლა შეიძლება ვისაუბროთ ზოგიერთ კანონზომიერებაზე, თუმცა ჯერ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ატლანტიდის შემდგომი ეპოქებით. ვისაუბროთ, ატლანტიტის ეპოქაში, თვით ჩვენს დრომდე, რა სახითა და კანონზომიერებით იყო ერთმანეთთან კავშირში სხვა სამყაროთა ზეგავლენა და ადამიანის ინდივიდუალური კარმა. მხოლოდ სქემატური ნახატის მეშვეობით შეიძლება აგიხსნათ, როგორ ყალიბდება ეს ზეგავლენები და რა მიმართებაშია ისინი ადამიანის ინდივიდუალობასთან. ახლა წარმოვიდგინოთ: აქ, დაფის შუაში (აჩვენებს)დატანილი მრგვალი ზედაპრი არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ადამიანურ „მე“-ს, ჩვენი ადამიანური არსების ამჟამინდელ ბირთვს. (იხ. ნახ. 1). ახლა აქ აღვნიშნოთ ადამიანის არსების სხვა წევრები, როცა დასაწყისში დავანაწევრებთ სამშვინველს შეგრძნებათა სამშვინველად, განსჯით სამშვინველად და ცნობიერ სამშვინველად. მაშასადამე, აქ ჩვენ სქემატურად გამოვსახეთ ასტრალური სხეული, ეთერული სხეული და ფიზიკური სხეული.

ახლა, რამდენადაც ჩვენ გვსურს დავრჩეთ ატლანტიდის შემდგომ განვითარებაში, მოდით გავარკვიოთ, უპირველეს ყოვლისა, რაში შეიძლება მდგომარეობდეს ადამიანის მომავალი, გამომდინარე იქიდან, რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ სხვადასხვა ადგილას. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამჟამად ვიმყოფებით ატლანტიდის შემდგომი განვითარების დაახლოებით შუაში. თუმცა, შუა პერიოდს ჩვენ უკვე რამდენადმე გადავაბიჯეთ. აქ საჭიროა მხოლოდ მოკლედ გავიმეოროთ ის, რაც ითქვა სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, რომ ბერძნულ-ლათინურ კულტურულ ეპოქაში უპირატესად განვითარებას მიაღწია იმან, რასაც ჩვენ ვუწოდებთ განსჯით ანუ ხასიათის სამშვინველს, ახლა კი ჩვენ ვიმყოფებით ცნობიერი სამშვინველის განვითარების ეპოქაში.

ნახ. 1

Ich im Ich – „მე“ - „მე“-ში. 3. Geistselbst in der Empfindungsseele – თვითებასული - შეგრძნებათა სამშვინველში. 2. Lebensgeist im Empfindungsleib – სიცოცხლესული - შეგრძნებათა სხეულში. 1. Geistesmensch im Aetherleib – სულისადამიანი - ეთერულ სხეულში.

ბაბილონ-ეგვიპტურ კულტურულ პერიოდში განვითარდა შეგრძნებათა სამშვინველი. უფრო ადრე, განვითარების სპარსულ ეპოქაში – შეგრძნებათა სხეული, ანუ ასტრალური სხეული, ხოლო განვითარების ძველინდურ პერიოდში – ადამიანის ეთერული სხეული. ფიზიკური სხეულის შეგუება კი ჩვენი ატლანტიდის შემდგომ მიწიერ პირობებთან განხორციელდა უკვე ატლანტიდის უდიდესი კატასტროფის წინარე ბოლო ეპოქებში. ამდენად, ახლა, თუ ჩვენ აქ შევიტანთ ადამიანური ორგანიზაციის სხვა წევრების აღნიშვნებსაც, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: ადამიანის „მე“ ვითარდება ჩვენი ატლანტიდის შემდგომ ეპოქაში ისე, რომ განვითარება ინდურ პერიოდში უმთავრესად მიედინება

ეთერულ სხეულში; სპარსულ პერიოდში – ასტრალურ სხეულში; ეგვიპტურ-ქალდეურ პერიოდში – შეგრძნებათა სამშვინველში; ბერძნულ პერიოდში – განსჯით სამშვინველში, ხოლო განვითარება ჩვენს კულტურაში მიედინება – ცნობიერ სამშვინველში, ადამიანის მეხუთე წევრში, თუ ჩავთვლით სამშვინველის ცალკეულ წევრებს. მეექვსე კულტურულ პერიოდში ადამიანები გააგრძელებენ განვითარებას და ადამიანის მშვინვიერი გარკვეული სახით შეეზრდება მანასს; ატლანტიდის შემდგომ ბოლო, მეშვიდე კულტურულ ეპოქაში განვითარება მიაღწევს ადამიანის თავისებური სახის სიცოცხლესულში ანუ ბუდჰიში; ხოლო ის, რაც შეიძლებოდა შეზრდილიყო ატმაში, განვითარდება მხოლოდ შედარებით გვიანდელ დროში, დიდი კატასტროფის შემდეგ, რომელიც დაასრულებს ჩვენი ატლანტიდის შემდგომ ეპოქას.

*ეს მოვლენები ცნობილია აპოკალიფსზე ციკლიდან**. ახლა ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ იმაზე, რომ პირველ პერიოდში, ინდურში, ადამიანი თავის განვითარებასთან მიმართებით ჯერ კიდევ იმაზე ქვემოთ იყო, რაშიც ცხოვრობს „მე“, რომ არსებითად, ძველინდური, ვედამდელი კულტურა თავის საფუძველში იყო ინსპირირებული კულტურა, ანუ კულტურა, რომელიც თითქოსდა იღვრებოდა ადამიანურ სამშვინველში „მე“-ს იმ მუშაობის გარეშე, რასაც დღეს ვიცნობთ, როგორც ჩვენი აზრებისა და წარმოდგენების მუშაობას. ეგვიპტური კულტურის პერიოდიდან დაწყებული ადამიანმა, ასე ვთქვათ, თავისი „მე“ აქტიურად უნდა გამოიყენოს. მან გარეგნული გრძნობების მეშვეობით უნდა მიაპყროს თავისი „მე“ გარეგნული სამყაროს სფეროს, რათა შთაბეჭდილებები მიიღოს. მან გარკვეული სახით უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა წინსვლაში. ძველინდური კულტურა იყო შედარებით პასიური კულტურა, რომელიც მიიღწეოდა, ასე ვთქვათ, იმ მიძღვნის გზით, რაც ადამიანურ არსებაში იღვრებოდა როგორც ინსპირაცია. ამიტომ გასაგებია, რომ ეს ძველინდური კულტურა ჩვენ უნდა ავიყვანოთ სხვა მოღვაწეობისკენ, ვიდრე ის, რაც დღეს ხორციელდება ადამიანური „მე“-ს მიერ; და რომ, „მე“-ს ამჟამინდელი მოღვაწეობა იმდროინდელი ინდური სამშვინველისთვის უნდა შეიცვალოს იმით, რომ ადამიანურ სამშვინველში ეშვებოდნენ უზენაესი არსებები და ინსპირირებდნენ ამ ადამიანურ სამშვინველს.

ჩვენ თუ ვიკითხავთ, რა შეჰქონდათ მაშინ გარედან ზენა იერარქიის არსებებს ამ ადამიანურ სამშვინველში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ; ეს არის ის, რასაც ადამიანმა მიაღწია მოგვიანებით, როგორც თავის საკუთარ მოღვაწეობას, როგორც თავის საკუთარ აქტივობას, როცა ის მაღლდება იქამდე, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ სიტყვით ატმანი ანუ სული-ადამიანი. სხვა სიტყვებით, მომავალში ადამიანური ინდივიდუალობა ამაღლდება ატმანში მუშაობამდე. ეს იქნება ადამიანური სამშვინველის, ადამიანური არსების ბირთვის საკუთარი მუშაობა; მუშაობა იმისა, რაც უშუალოდ უკავშირდება მის ყველაზე შინაგან არსებას. ისევე, როგორც შემდგომში ადამიანი თავად იმუშავებს თავის თავში, ასევე მუშაობდნენ ზენა იერარქიის არსებები ინდოელ სამშვინველზე. ჩვენ თუ გვსურს აღვწეროთ, რა ხდებოდა ინდოელი სამშვინველების ეთერულ სხეულებში, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: იქ მუშაობდა თითქოსდა ჯერ კიდევ დაბინდული, ბუნდოვან ძილში დავანებული „მე“ ცნობიერება, მუშაობდა ატმანი ეთერულ სხეულში. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველინდური სამშვინველი იყო არენა, რომელზეც მიედინებოდა, არსებითად, ზეგრძნობადი მუშაობა, ძველი ინდუსების ეთერულ სხეულებში ზენა არსებების მუშაობა. ის, რაც მაშინ შეჰქონდათ ეთერულ სხეულში, გახლდათ ის მუშაობა, რომელსაც ადამიანმა მოგვიანებით მიაღწია მითითე-

ბული სახით, როცა ადამიანი იმუშავებს ეთერულ სხეულზე. შემდეგ სპარსულ კულტურაში ბუდჰი ანუ სიცოცხლესული მუშაობდა ასტრალურ სხეულში, შეგრძნებათა სხეულში; ქალდეურ-ბაბილონურ-ეგვიპტურ კულტურაში კი მანასი ანუ თვითებასული მუშაობდა შეგრძნებათა სამშვინველში. ამდენად, ეგვიპტურ-ბაბილონურ-ქალდეურ კულტურაში ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი საკუთრივ სამშვინველში „მე“-ს სრული აქტიური მუშაობა. თუმცა ადამიანი, მართალია ადრინდელთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც წარმოადგენს ჯერ კიდევ პასიურ არენას შეგრძნებათა სამშვინველში მანასის მუშაობისთვის. მხოლოდ ბერძნულ-ლათინურ ეპოქაში შეაბიჯა ადამიანმა, ასე ვთქვათ, სრულიად აქტიურად თავის საკუთარ მშვინვიერ ცხოვრებაში. ჩვენ ვიცით, რომ განსჯით სამშვინველში პირველად იჩენს თავს ადამიანის შინაგანი დამოუკიდებელი წევრის სახით „მე“ და ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ბერძნულ კულტურაში ფაქტობრივად „მე“ მუშაობს „მე“-ში, ანუ ადამიანი, როგორც ასეთი, ადამიანში. ამ ლექციების მსვლელობაში ჩვენ კიდევ ვნახავთ, რომ ბერძნულ კულტურაში მაშინდელი კულტურის მთელი თავისებურება ვლინდება სწორედ იმის წყალობით, რომ „მე“ მუშაობს „მე“-ში.

ახლა ჩვენ ეს კულტურული ეპოქა კარგა ხანია, უკან მოვიტოვეთ. იმ დროს, როცა ბერძნულ ეპოქამდე ზენა არსებები თითქოსდა ეფლობოდნენ ადამიანური არსების ბირთვში და მასში მუშაობდნენ, ახლანდელ ეპოქაში საჭიროა შევასრულოთ საპირისპირო ამოცანა. ის, რაც ჩვენ გამოვიმუშავეთ ჩვენი „მე“-ს მეშვეობით, ის, რომ ჩვენი აქტივობის მეშვეობით გვაქვს უნარი, თავის თავში მივიღოთ გარეგანი სამყაროს შთაბეჭდილებები, ეს ჩვენ თავიდან უნდა მოვიპოვოთ სრულიად ადამიანური სახით, მაგრამ შემდეგ არ უნდა შევჩერდეთ იმ პოზიციაზე, რომელზეც შეჩერდნენ

ადამიანები ბერძნულ-ლათინურ ეპოქაში, როცა ამუშავებდნენ მხოლოდ ადამიანურს, მარტოოდენ წმინდა ადამიანურს, როგორც ასეთს. ამასთან, ჩვენ მიერ გამომუშავებული საჭიროა, ავიტანოთ ზევით და შევიტანოთ იმაში, რაც უნდა მოვიდეს. ჩვენ, ასე ვთქვათ, მიმართულება უნდა გვქონდეს ზევით, იმისკენ, რაც უნდა მოვიდეს მოგვიანებით – მანასის ანუ თვითებასულისკენ. მაგრამ მას მხოლოდ მეექვსე კულტურულ პერიოდში შეიძლება ველოდოთ. დღეს ჩვენ ვიმყოფებით მეოთხესა და მეექვსე პერიოდებს შორის. მეექვსე პერიოდი კაცობრიობას ჰპირდება, რომ ის შეძლებს აიტანოს ზენა სფეროებში ის, რაც მოიპოვება გარეგნული შთაბეჭდილებების წყალობით, რომელთაც „მე“ მოიპოვებს თავისი გრძნობის ორგანოებით. ჩვენს მეხუთე კულტურულ ეპოქაში, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ განვახორციელოთ შეტევა, და ყოველივე ის, რასაც მოვიპოვებთ გარეგნულ შთაბეჭდილებებში და რასაც ვაღწევთ ამ შთაბეჭდილებების გადამუშავებით, აღვბეჭდოთ ისე, რომ მან შეძლოს და იმოძრაოს ზევითკენ. ამ მიმართებით ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ეპოქაში და თუ გაიხსენებთ იმას, რაც გუშინ ითქვა ორლეანელ ქალწულში მოქმედ სულიერ ძალაზე, მაშინ დაინახავთ, რომ უკვე ორლეანელ ქალწულში მოქმედებდა რაღაც იმისგან, რაც მოძრაობს საპირისპირო მიმართულებით, ვიდრე ზენა ძალების ზემოქმედება ბერძნულ ეპოქამდე. როცა მავანი, რომელიც განეკუთვნებოდა, ვთქვათ, სპარსულ კულტურას, აღმოჩნდებოდა ზეგრძნობადი ძალის გავლენის ქვეშ, რომელიც მას იყენებდა, როგორც თავის იარაღს, მაშინ ეს ძალა მოქმედებდა სწორედ მისი ადამიანური არსების ბირთვის შიგნით. ის იქ თავს ავლენდა მთელი სისავსით და ადამიანი ჭვრეტდა, განიცდიდა იმას, რასაც ნერგავდა მასში ეს სულიერი ძალა, რითაც ის ინსპირირებდა მას. ჩვენი დროის ადამიანმა, თუ ის შედის ურთიერთობაში მსგავს სუ-

ლიერ ძალებთან, შესაძლოა, ასე ვთქვათ, ზევით აიტანოს ის, რასაც იგი განიცდიდა ფიზიკურ სამყაროში თავისი „მე“-ს მუშაობის, საკუთარი „მე“-ს შთაბეჭდილებების წყალობით. მას შეუძლია ამის წარმართვა ზევით. ამიტომ, ისეთ პიროვნებებთან, როგორიცაა ორლეანელი ქალწული, ხდება ისე, რომ გამოვლენა, გამოცხადება სულიერი ძალებისა, რომელთაც სურთ მას მიმართონ, მართალია, იმყოფებიან სფეროში, სანამდეც მას (ორლეანელ ქალწულს) შეუძლია ამაღლება, მაგრამ ეს გამოცხადება ფარავს რაღაცას, რაც ამ გამოცხადების რეალურობის დამახინჯების გარეშე მათ ანიჭებს განსაზღვრულ იერს. ეს არის ის, რასაც აქ, ფიზიკურ სამყაროში განიცდის ადამიანი. სხვა სიტყვებით, ორლეანელი ქალწული იღებს გამოცხადებას, მაგრამ მას არ შეუძლია მათი ისე უშუალოდ ხილვა, როგორც უძველეს ადამიანებს. უშუალოდ მას, მის „მე“-სა და ამ ობიექტურ ძალებს შორის ერთვება წარმოდგენების სამყარო, რომელიც მან ფიზიკურ სამყაროში მიიღო; სურათ-ხატები ქალწული მარიამისა, მთავარანგელოზი მიქაელისა, როგორადაც მიიღო ისინი თავისი ქრისტიანული წარმოდგენებიდან; ისინი მათ შორის დგანან.

აქ ჩვენ, ამავე დროს, გვაქვს მაგალითი იმისა, რომ, როცა საქმე ეხება სულიერ მოვლენებს, ჩვენ უნდა დავინახოთ განსხვავება გამოცხადების ობიექტურობასა და ცნობიერების შინაარსის ობიექტურობას შორის. ორლეანელი ქალწული ქალწულ მარიამს და მთავარანგელოზ მიქაელს ხედავდა განსაზღვრულ ხატში. ეს ხატები არ უნდა გავიაზროთ უშუალოდ სულიერი რეალობისთვის ნიშანდობლივად; ამ ხატების იერს არ უნდა მივაწეროთ უშუალო ობიექტურობა. თუ ვინმე იტყოდა, რომ ეს მხოლოდ წარმოსახვაა, მაშინ ეს იქნებოდა სისულელე. ვინაიდან გამოცხადებები ორლეანელ ქალწულს ეძლევა სულიერი სამყაროდან, რომლის ხილვაც ადამიანს შეუძლია იერში,

როგორშიც მან შეიძლება დაინახოს ის ატლანტიდის შემდგომ პერიოდში, თუმცა მხოლოდ მეექვსე კულტურულ ეპოქაში. მართალია, ორლეანელი ქალწული ვერ ხედავს სულიერი სამყაროს ჭეშმარიტ სახეს, მაგრამ ეს ჭეშმარიტი სახე მასზე მაინც გადმოდის. ორლეანელი ქალწული მას აგებებს თავისი დროის რელიგიურ წარმოდგენებს, ის თითქოსდა გადაფარავს მას. სპირიტუალური ძალები მისგან გამოიხმობენ მისივე წარმოდგენების სამყაროს. ამდენად, გამოცხადება ობიექტურად უნდა მივიჩნიოთ. ვინმეს რომ შეეძლოს, თუნდაც დაამტკიცოს, რომ ამჟამად სულიერი სამყაროს გამოცხადებაში იღვრება სუბიექტური ელემენტები, და, თუ ის ხატი, რომელსაც ადამიანი იქმნის სულიერ სამყაროზე, ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ ობიექტურად, თუნდაც ეს იყოს მისი საფარველი, მაშინ ჩვენ ამის გამო ობიექტური გამოცხადება არ უნდა მივიღოთ ასეთ საფარველად. ისინი ობიექტურია. ისინი ჯადოსნურად იღებენ შინაარსს ჩვენი საკუთარი სამშვინველიდან. ჩვენ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან სულიერი სამყაროდან მოსული შინაარსისა და ფაქტების ობიექტურობა. ამას მე განსაკუთრებით უნდა გავუსვა ხაზი, ვინაიდან ამ სფეროში მუდმივად უშვებენ შეცდომებს, თუმცა, შეცდომები საპირისპირო სახისაა: როგორც მათი მხრიდან, ვინც ცნობს სულიერ სამყაროს, ასევე მათი მოწინააღმდეგეების მხრიდან.

ამდენად, ორლეანელი ქალწული ჩვენთვის წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ისტორიულ პიროვნებას, რომელიც მოქმედებს უკვე მთლიანად ჩვენი ეპოქის სულისკვეთებით, როცა სულიერისკენ უნდა იყოს მიმართული ყოველივე ის, რაც შეგვიძლია წარმოვქმნათ ჩვენი გარეგნული შთაბეჭდილებების საფუძველზე. მაგრამ რას ნიშნავს ეს, თუ მას ჩვენს კულტურასთან მიმართებით გამოვიყენებთ? ეს ნიშნავს: თავიდან ჩვენ შეგვიძლია მზერა მივაპყროთ ჩვენს გარემოცვას, მაგ-

რამ თუ ამაზე შევჩერდებით, მივაპყრობთ რა მზერას მხოლოდ გარეგნულ შთაბეჭდილებებზე, მაშინ ვერ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას. ჩვენ მას შევასრულებთ მხოლოდ მაშინ, როცა გავაცნობიერებთ, რომ გარეგნული შთაბეჭდილებები ჩვენ უნდა მივაკუთვნოთ მათ მიღმა მყოფ სულიერ ძალებს. როცა მეცნიერების შესწავლით ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც ამას აკეთებს ამჟამინდელი მეცნიერული მიდგომა, მაშინ არ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას. ყველაფერი, რაც ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ ბუნების მოვლენების კანონებთან მიმართებით, მშვინვიერი მოვლენების კანონებთან მიმართებით, ჩვენ უნდა განვიხილოთ ისე, რომ მათში დავინახოთ ენა, რომელმაც ჩვენ უნდა აგვამაღლოს ღვთაებრივ-სულიერი გამოცხადებისკენ. როცა ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ შეგვიძლია ყველა ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური კანონების განხილვა, მივუსადაგებთ რა მათ რაღაც სულიერს, რომელიც ჩვენ გვეხსნება, მაშინ აღვასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

ასეთი მდგომარეობაა ჩვენი დროის მეცნიერებასთან მიმართებით, ასეთი მდგომარეობაა ხელოვნებასთან მიმართებითაც. იმ ხელოვნებას, რომელსაც ჩვენ ვახასიათებთ, როგორც ბერძნულ ხელოვნებას, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა, ასე ვთქვათ, უბრალოდ ადამიანი, რომელიც მთლიანად და სრულად გამოხატავდა მხოლოდ ადამიანურს, „მე“-ს მუშაობას „მე“-სთან, რამდენადაც „მე“ აისახება გრძნობად-ფიზიკურ მასალაში, ამ ხელოვნებას ჰქონდა თავისი დრო. ჩვენს დროში ნამდვილად დიდ ხელოვან პიროვნებებში, თითქოსდა, წარმოიშვა ინსტინქტური სწრაფვა, ხელოვნება მიემართათ ღვთაებრივ-სულიერი სამყაროებისადმი თავისებური სახის მსახურებისკენ; ეს ნიშნავს, მაგალითად, იმას, რომ რაც შემოსილია ბგერებით, შევხედოთ, როგორც სულიერ მისტერიათა რაღაც ინტერპრეტაციას. ასე გაიგებენ ოდესმე კულტურულ-ისტორიულ-ოკულტურად *რიჰარდ ვაგნერს** ყველა ნიუანსში. სწორედ მას შეხედავენ როგორც ადამიანს, რომელიც საჩვენებელია ჩვენი, მეხუთე კულტურული პერიოდისთვის, ადამიანს, რომელიც მუდმივად გრძნობდა სწრაფვას, ბგერებში გამოეხატა ის, რაც მასში ცხოვრობდა; ეს იყო ლტოლვა სულიერი სამყაროსკენ, ამასთან იგი ხელოვნების ნაწარმოებს განიხილავდა, როგორც სულიერი სამყაროს გარეგნულ გამოხატულებას. არსებითად, ძველი კულტურის ნარჩენი და ახალი კულტურის აისი ჩვენს დროში ერთმანეთს უპირისპირდება მკვეთრად, მეტიც გააფთრებულად. ჩვენ ხომ ვხედავდით, ასე ვთქვათ, წმინდა ადამიანურ მუშაობას ბგერაზე, წმინდა ფორმალურ მუსიკას, რომლის გადალახვაც რიჰარდ ვაგნერს სურდა, – ამ ფორმალურ მუსიკას როგორი გააფთრებით იცავდნენ ვაგნერის მოწინააღმდეგეები, რამდენადაც მათ არ შეეძლოთ ეგრძნოთ, რომ სწორედ რიჰარდ ვაგნერში წარმოიქმნა ახალი იმპულსი, როგორც დილის ცისკარი.

მე არ ვიცი, ცნობილია თუ არა ბევრი თქვენგანისთვის, რომ რიჰარდ ვაგნერს დიდი ხნის განმავლობაში, ძალზე მკაცრად, საშინლად აკრიტიკებდნენ. მის ამ კრიტიკოსებსა და უარმყოფელებს ვენაში ჰყავდათ თავისებური წინამძღოლი ძალზე ნიჭიერი მუსიკათმცოდნის *ედუარდ ჰანსლიკის** სახით, რომელმაც დაწერა საინტერესო ბროშურა „მუსიკალური მშვენიერება“. მე არ ვიცი იცით თუ არა თქვენ, რომ ამით ძველი, ასე ვთქვათ, დაუპირისპირდა ისტორიაში ახალი დილის ცისკრის ამოსვლას. ეს წიგნი „მუსიკალური მშვენიერება“, შესაძლოა ისტორიულ ძეგლად იქცეს შემდგომი დროებისთვის. მაინც რა სურდა ჰანსლიკს? ის ამბობდა; არ შეიძლება მუსიკა წერო ისე, როგორც ვაგნერი აკეთებს. ეს არ არის მუსიკა, ვინაიდან იქ მუსიკა იძენს, ასე ვთქვათ, გაქანებას, რათა მიუთითოს რაღაცაზე, რაც მუსიკალურის მიღმაა – რაღაც

ზეგრძნობადზე. მუსიკა ხომ „არაბესკებია ბგერაში“. ეს იყო ჰანსლიკის საყვარელი სიტყვა. ეს ნიშნავს: არაბესკების მსგავსად ტონების შეხამება, ხოლო მუსიკალურ-ესთეტიკურით ტკბობა მდგომარეობს იმაში, რომ წმინდა ადამიანურად გვიხაროდეს, როგორ ჟღერს ტონები ერთმანეთში და ერთი მეორის მიყოლებით. ჰანსლიკი ამბობდა: „საერთოდ რიჰარდ ვაგნერი არ არის მუსიკოსი, მას არ ესმის მუსიკის არსი. მუსიკის არსი უნდა მდგომარეობდეს მარტოოდენ ბგერითი მასალის არქიტექტონიკაში“. რა შეიძლება ამის შესახებ ითქვას? სხვა არაფერი გარდა იმისა, რომ ჰანსლიკი იყო მეოთხე კულტურული ეპოქის გამოჩენილი რეაქციონერი. ამ კულტურულ ეპოქასთან მიმართებით ის მართალი იყო; მაგრამ რაც სწორია ერთი კულტურული ეპოქისთვის, მიუღებელია მომდევნო ეპოქისთვის. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ რიჰარდ ვაგნერი არაა მუსიკოსი. თუმცა შემდეგ საჭიროა ითქვას: ეს დრო უკვე წავიდა, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რაც ამ ეპოქიდან მომდინარეობს, ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ჰანსლიკის თვალსაზრისით მუსიკალური ელემენტი ფართოვდება, თავის თავზე მაღლდება რაღაც ახლისკენ.

ძველისა და ახლის ამგვარი შეჯახება ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ ბევრ სფეროში სწორედ ჩვენს კულტურულ ეპოქაში. ეს განსაკუთრებით საინტერესოა მეცნიერების ცალკეულ დარგებში. ჩვენ ძალზე შორს წავიდოდით, თუ მოვისურვებდით გვეჩვენებინა, როგორ არიან ყველგან რეაქციონერებიც და ისეთებიც, რომლებიც მეცნიერების ცალკეული დარგებიდან აკეთებენ იმას, რადაც უნდა იქცეს მეცნიერება, რომ ის იყოს გამოხატულება იმისა, რაც დგას ღვთაებრივ-სულიერი მოვლენების მიღმა. ძირითადი ელემენტი, რომლითაც უნდა განიმსჭვალოს თანამედროვეობა, რათა სულ უფრო ცნობიერად დააყენოს ჩვენი მუშაობის მიზნად ღვთაებრივ-სულიერი, უნდა იყოს სწორედ სულისმეცნი-

ერება, რათა მან გამოაღვიძოს ყველგან იმპულსები, რომლებიც მიმართულია ქვევიდან ზევით; მან ყველგან უნდა მოუწოდოს ადამიანებს მსხვერპლისკენ, ანუ იმის მიძღვნისკენ, რასაც ჩვენ მოვიპოვებთ გარეგნული შთაბეჭდილებების მეშვეობით, იმის მსხვერპლად გაღებისკენ, რასაც უნდა მივაღწიოთ შრომით, რომელიც მიმართულია ზევით – თვითებასულის, სიცოცხლესულისა და სულისადამიანის სფეროებისკენ.

ჩვენ თვალწინ თუ დავაყენებთ ადამიანური ისტორიის, ოკულტური ისტორიის ამ ფაქტს, მაშინ ჩვენთვის გასაგები გახდება, რომ სამშვინველი, რომელიც ინკარნირდა ინდურ, ხოლო შემდეგ სპარსულ ეპოქაში, შეიძლებოდა, განსმჭვალული ყოფილიყო ზენა იერარქიის რომელიმე ინდივიდუალობის ინსპირირებული ელემენტით, და რომ, შემდეგ, როცა მან შეაბიჯა ბერძნულ-ლათინურ ეპოქაში, ის აღმოჩნდა ერთი-ერთზე თავის თავთან, რომ ეს სამშვინველი მუშაობდა ისე, რომ „მე“ მუშაობდა „მე“-ში. ყოველივე, რაც ბერძნულამდელ ეპოქებში, ატლანტიდის შემდგომ კულტურათა ცალკეულ ციკლებში წარმოადგენდა ღვთაებრივი შთაგონების მსგავსს, ზეციდან გამოცხადების მსგავსს, – ის განეკუთვნება აგრეთვე ბერძნული კულტურული პერიოდის დასაწყისსაც, ქრისტიანობამდელი ეპოქის IX, X, XI საუკუნეებს, – და რაც ჩვენ წინაშე წარმოჩნდება, როგორც ინსპირირებული კულტურა, რომელშიც გარედან იღვრება ის, რასაც უნდა შეიცავდეს სულიერად, ეს ყოველივე სულ უფრო მეტად და მეტად იხრება იმისკენ, რომ თავისი თავი ამოწუროს წმინდა ადამიანურ-პიროვნულად. ყველაზე ძალუმად ეს თავის გამოხატულებას პოულობს სწორედ საბერძნეთში. გარეგნული ადამიანის ასეთი გამოხატულება, როგორსაც ის წარმოადგენს ფიზიკურ სამყაროში ცხოვრებისას, გამოხატულება იმისა, რაც არის ადამიანი როგორც თავად თავის თავზე დაყრდნობილი „მე“ არსება, არ უნახავს არც ერთ ეპოქას აქამდე და ამის შემდეგაც ვერას-

დროს ნახავს. წმინდა ადამიანურ-პიროვნული, მთლიანად თვის თავში ჩაკეტილი ადამიანურ-პიროვნული, ისტორიულად ვლინდება ბერძნის ცხოვრების ანტიკურ სურათ-ხატსა და მის ქმნილებებში. შევხედოთ, როგორ აძლევდა ბერძენი მოქანდაკე თავისი ღმერთების სურათ-ხატებს ადამიანურ-პიროვნულ სახეს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი ჩვენ წინაშე დგას მთლიანად, როგორც პიროვნება იმაში, რასაც წარმოადგენს ბერძნული პლასტიკის ქმნილება, რამდენადაც ის შეიძლება შევიცნოთ ფიზიკური საშუალებებით. ბერძნების მხატვრული ნაწარმოებების წინაშე დგომისას ჩვენ თუ არ დაგვავიწყდებოდა, რომ იმ ინკარნაციას, რომელიც აქ არის ასახული, წინ უსწრებდა სხვა ინკარნაციები და რომ მას მოჰყვება სხვა, თუკი ჩვენ თუნდაც მყისიერად ჩავფიქრდებოდით, რომ აპოლონისა და ზევსის გამოსახულებების საფუძველში ძევს მხოლოდ ერთ-ერთი ინკარნაცია სხვა მრავალთა შორის, მაშინ არასწორად ვიგრძნობდით ბერძნული ხელოვნების ქმნილებას. აქ ჩვენ უნდა შევძლოთ იმის დავიწყება, რომ ადამიანი სხეულდებოდა ერთმანეთის მომდევნო ინკარნაციებში. აქ პიროვნება მთლიანად გამოძერწილია *ერთი* პიროვნების ფორმაში. ასეთი იყო ბერძნების მთელი ცხოვრება.

ჩვენ თუ კიდევ უფრო უკან გადავალთ წარსულში, მაშინ ფორმები გახდება სიმბოლური, ფორმები მიანიშნებენ რაღაცაზე, რაც არ არის წმინდა ადამიანური, გამოსახავენ რაღაც ისეთს, რასაც ადამიანი თავად ჯერ კიდევ ვერ გრძნობს თავის თავში. მას შეეძლო, მხოლოდ სიმბოლოებში გამოეხატა ის, რაც ღვთაებრივ-სულიერი სამყაროებიდან მოდიოდა. აქედან მოდის უძველესი სიმბოლური ხელოვნება. მოდით, კიდევ ერთხელ ვნახოთ, როგორ მიდის ხელოვნება სწორედ იმ ხალხისკენ, რომელმაც უნდა მოგვცეს მასალა ჩვენი, მეხუთე კულტურული პერიოდისთვის, – ჩვენ გვმართებს მხოლოდ წარმოვიდგინოთ ძველი გერმანული ხელოვნება, – და ჩვენ ვნახავთ, რომ საქმე გვაქვს არა სიმბოლიკასთან, არც წმინდა ადამიანურის გამოვლენასთან, არამედ თავის თავში ჩაღრმავებულ მშვინვიერთან. ჩვენ ვხედავთ, როგორ არ შეუძლია, ასე ვთქვათ, მშვინვიერს მთლიანად შევიდეს ადამიანურ იერში. ვინ შეძლებდა *ალბრეხტ დიურერის** სურათ-ხატების დახასიათებას სხვაგვარად, თუ არ იტყოდა, რომ მათში ის, რაც ადამიანში ისწრაფვის ზეგრძნობადი სამყაროსკენ, შეიძლება ითქვას, პოულობს მხოლოდ არასრულყოფილ გამოხატულებას სხეულებრიობის გარეგნულ აგებულებაში, ბერძნული თვალსაზრისით. ამითაა გამოწვეული ჩაღრმავება მშვინვიერის მიმართულებით, რაც უფრო წინ მიდის ხელოვნება.

ახლა თქვენ გაუგებრად აღარ მოგეჩვენებათ ის, რაც მე გითხარით პირველ ლექციაში: ფიზიკურ სამყაროში ანასახის მსგავსად ვლინდება ის, რაც ადრე იყო განსხეულებული; ინდივიდუალობაში იღვრებოდა ზენა იერარქიის არსებები. ამიტომ ბერძნული სამყაროს ადამიანზე საუბრისას, რომ ის ადრინდელ ეპოქებშიც იყო განსხეულებული, ჩვენ მასში უნდა დავინახოთ არა მარტო ეს ჩაკეტილი ადამიანი, არამედ მის უკან მდგომი ინდივიდუალობა რომელიმე ზენა იერარქიიდან. ასე წარმოჩნდება ჩვენ წინაშე ბერძნულ-ლათინურ ეპოქაში ალექსანდრე, ასე წარმოჩნდება ჩვენ წინაშე არისტოტელე. თუ მათ ინდივიდუალობებს თვალს მივადევნებთ უკუმიმართულებით, მაშინ ალექსანდრედან ჩვენ უნდა მივბრუნდეთ გილგამეშისკენ და ვთქვათ: გილგამეშში არის ის ინდივიდუალობა, რომელიც შემდეგ ჩნდება პროეცირებული ფიზიკურ პლანზე როგორც ალექსანდრე; მის უკან ჩვენ უნდა დავინახოთ ცეცხლის სული, რომელიც მას იყენებს როგორც თავის იარაღს. დროში უკუსვლისას არისტოტელეშიც ჩვენ ვხედავთ ძველი ნათელხილვის ძალას, რომელიც მოქმედებდა გილგამეშის მეგობარში. ამდენად, როგორც ახალგაზრდა, ისე ძველ სამშვინველს, რომელთა უკანაც ადრე ნათელ-

ხილვა იდგა, ახლა ჩვენ ვხედავთ მთლიანად ფიზიკურ პლანზე მყოფთ ბერძნულ ეპოქაში. სრულიად განსაკუთრებულად ვლინდება ეს უდიდეს მათემატიკოს ჰიპათიაში, რომელშიც ცხოვრობდა მისი დროის მთელი მათემატიკური და ფილოსოფიური სიბრძნე, ასე ვთქვათ, როგორც პირადი შესაძლებლობა, როგორც პიროვნული მეცნიერულობა და სიბრძნე. ეს ყოველივე იდო ჰიპათიას პიროვნებაში. ჩვენ შემდგომშიც ვნახავთ, რომ ეს ინდივიდუალობა უნდა გამხდარიყო სწორედ ქალი, რათა გამოევლინა ასეთი რბილი ჩაკეტილობა ყოველივე იმისა, რაც მან ადრე აღიქვა ორფიულ მისტერიებში, რათა პირადი მოქმედების სახით გამოევლინა ყველაფერი ის, რაც მან აღიქვა ინსპირატორებისაგან როგორც ორფიული მისტერიების მოწაფემ.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, როგორ ვლინდება სულიერი სამყაროს ზეგავლენები, როცა ახდენს ერთმანეთის მომდევნო ადამიანური ინკარნაციების მოდიფიცირებას. მე შემიძლია მიგითითოთ მხოლოდ იმაზე, რომ სწორედ ის ინდივიდუალობა, რომელიც განსხეულდა როგორც ჰიპათია და, შესაბამისად, თავის თავში ატარებდა ორფიული მისტერიების სიბრძნეს და ეს პიროვნულად გამოავლინა, მოწოდებული იყო ერთ-ერთ მომდევნო ინკარნაციაში შეებიჯებინა უკანა გზაზე: მთელი პიროვნული სიბრძნე კვლავ აეტანა ღვთაებრივ-სულიერისკენ. ამიტომ XII და XIII საუკუნეების მიჯნაზე *ჰიპათია კვლავ ჩნდება** როგორც ახალი ისტორიის გამოჩენილი, ყოვლისმომცველი და უნივერსალური მოაზროვნე, რომელსაც აქვს უდიდესი გავლენა იმაზე, რაც წარმოადგენს საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიური ცოდნის შეერთებას. ამდენად ჩვენ ვხედავთ, როგორ იჭრებიან ისტორიული ძალები ცალკეული ინდივიდუალობების ერთმანეთის მომდევნო ინკარნაციებში.

ისტორიის მსვლელობის განხილვისას ჩვენ ნამდვილად ვხედავთ თავისებური სახის გადმოსვლას სულიერი სიმაღლეებიდან თვით ბერძნულ-ლათინურ ეპოქამდე, ხოლო შემდეგ ისევ აღმასვლას. ჩვენ ვხედავთ ბერძნულ ეპოქაში წმინდად ფიზიკურ პლანზე მოპოვებული მასალების შეგროვებას, – ეს, ცხადია, ჩვენს დროშიც გრძელდება, - და მის ხელახლა ატანას სულიერ სამყაროში, რასაც იმპულსი უნდა მისცეს სულისმეცნიერებამ და რისკენაც ჰქონდა უკვე ინსტინქტური იმპულსი ისეთ პიროვნებას, როგორიცაა ჰიპათია, რომელიც ხელახლა განსხეულდა XIII საუკუნეში.

აქ მე მსურს, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, – იმის გამო, რომ ინტერნაციონალური თეოსოფიური საზოგადოება გარკვეული მიმართულებით წარმოადგენს სხვადასხვაგვარი გაუგებრობის კრებულს, – მიგითითოთ იმაზე, რომ წარმოუდგენლად ბევრი რამ ამ გაუგებრობებიდან სინამდვილეში თითიდან არის გამოწოვილი. ასე, მაგალითად, ის, რაც გეუწყებათ აქ, ჩვენს გერმანულ სექციაში, სურდათ, დაეპირისპირებინათ იმისთვის, რაც იყო თავდაპირველად თეოსოფიური მოძრაობის გამოცხადება ახალ დროში. ამიტომ მე ვსარგებლობ შემთხვევით, მიგითითოთ, რომ, რაც აქ გეძლევათ პირველადი როზენკროიცერული წყაროებიდან, სრულ ჰარმონიაშია ბევრ რამესთან, რაც თეოსოფიურ საზოგადოებას მიეცა სწორედ თავდაპირველად. სწორედ ახლაა საბაბი მივუთითოთ რაღაც ამის მსგავსზე, იმაზე, თუ რასთან გვაქვს საქმე. ამდენად, ჩემ მიერ ტრადიციებისგან სრულიად დამოუკიდებლად ითქვა და განვითარდა ის, რომ განსაზღვრული გვიანდელი ისტორიული პირები წარმოადგენენ თითქოსდა აჩრდილს ადრინდელი, მითებში აღწერილი პიროვნებებისა, რომელთა უკანაც ზენა იერარქიის არსებები დგანან. ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ დაცილებად იმ უწყებებისგან, რომლებიც მიეცა თეოსოფიურ საზოგადოებას *ე. პ. ბლავატსკაიას** მეშვეობით. სხვაგვარად შეიძლება, წმინდა გაუგებრობით ძალზე იოლად მოხვიდე წინააღმდეგობაში ძველ ჯანსაღ სწავლებებთან, რომლებიც იღვრებოდა თეოსოფიურ მოძრაობაში ბლავატსკაიას მეშვეობით, ამის-

თვის, როგორც ძალზე ხელსაყრელი იარაღის მეშვეობით. მე მსურს წაგიკითხოთ ერთი ადგილი ბლავატსკაიას ნაწარმოებიდან, სადაც ის მიუთითებს „გამოაშკარავებულ იზისზე“ („Entschleierte isis“), თავის ყველაზე ძველ ოკულტურ ნაწარმოებზე. მე მსურს, ეს ადგილი წაგიკითხოთ, რათა დაინახოთ, რომ ჭეშმარიტად ის, რასაც საუბრობენ მსგავს განსხვავებულობაზე, არსებითად, მე არ შემიძლია, სხვაგვარად ვთქვა, თითიდან არის გამოწოვილი:

„რეინკარნციასა და კარმაზე ძველი, ყოველთვის არსებული ჭეშმარიტების მუდმივად გამეორების გარდა, – ამასთან ისე, როგორც მას ასწავლიდა სამყაროს უძველესი მეცნიერება და არა თანამედროვე სპირიტიზმი, – ოკულტისტებმა უნდა ასწავლონ ციკლურ და ევოლუციასთან ერთად ფეხდაფეხ მიმავალ რეინკარნაციაზე, გარდასხეულების სახეზე, ამასთან იდუმალსა და ჯერ კიდევ გაუგებარზე ბევრისთვის, ვინც არაფერი იცის დედამიწის ისტორიიდან, და ამ რეინკარნაციაზე ჩვენ ფრთხილად მივუთითეთ „გამოაშკარავებულ იზისში“. საყოველთაო გარდასხეულება თითოეული ინდივიდისთვის კამა-ლოკასა და დევახანას შუალედებით, და ციკლური ცნობიერი ინკარნაცია დიდი და ღვთაებრივი მიზნით ზოგიერთათვის. ის უდიდესი ხასიათები, რომლებიც გოლიათების სახით მაღლდებიან კაცობრიობის ისტორიაში, მსგავსად რიდხარტა ბუდასა და იესოსი სულიერ სამყაროში, მსგავსად ალექსანდრე მაკედონელისა და ნაპოლეონ დიდისა ფიზიკური დაპყრობების სფეროში, არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ასახული ხატები დიდი წინარე ხატებისა, რომლებიც არსებობდნენ არა ათიათასწლეულების წინ, როგორც ამაზე ფრთხილად იყო მითითებული „გამოაშკარავებულ იზისში“, არამედ მილიონი წლების განმავლობაში, დაწყებული მანვანტარადან. ვინაიდან როგორც ზემოთ იქნა ახსნილი, ნამდვილი ავატარების გამოკლებით, ეს ანასახები თავიანთი ხატებისა, რომელთაგან თითოეული შეესაბამება მის, მისივე ცეცხლის წარმომშობს, არსებითად იგივე არაგარდატეხილი სხივებია (მონადები), რომელთაც ეწოდებათ დევასი (Devas), დჰიან ჩოჰანასი (Dhyan Chohans) ან დჰიანი ბუდა (Dhyani Buddhas) ანდა ასევე პლანეტარული სულები და ა.შ., რომლებიც მარადისობის ეონებში ანათებენ მათი წინარე ხატების სახით. მათ მსგავსად იბადება ზოგიერთი ადამიანი, და როცა დაისახება რაიმე განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მიზანი, ისინი ჰიპოსტატურად გამშვინვიერდებიან თავიანთი ღვთაებრივი წინარე ხატებით, რომლებიც კვლავ და კვლავ ვლინდებიან იდუმალი ძალებით, რომლებიც წარიმართებიან და იმართებიან ჩვენი სამყაროს ბედისწერებით.“

„მეტის თქმა შეუძლებელი იყო, როცა იწერებოდა „გამოაშკარავებული იზისი“, ამიტომ ნათქვამი შემოიფარგლებოდა მხოლოდ შენიშვნით, რომ წმინდა თუ საერო ისტორიის ანალებში არ არსებობს არც ერთი გამოჩენილი ხასიათის პიროვნება, რომლის წინარე ხატის პოვნა ჩვენ არ შეგვეძლოს წარსული რელიგიებისა და მითოლოგიების ნახევრად ლეგენდარულ, ნახევრად მართალ თქმულებებში. როგორც ვარსკვლავი, რომელიც უკიდეგანო ცაზე კაშკაშებს ჩვენ ზემოთ, აისახება რა ტბების წყნარ ზედაპირზე, ასევე აისახება წარღვნამდელი კაცობრიობის ხატები დროის იმ პერიოდებში, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მზერით მოვიცვათ, თუ მას მივმართავთ ისტორიის წარსულისკენ“.

როგორც უკვე ითქვა, მე შემთხვევას არ ვუშვებ ხელიდან, ხაზი გავუსვა, რომ ახლანდელ დროში უშუალოდ ჩვენ მიერ გამოკვლეული როგორ არის შესაბამისობაში იმასთან, რაც გარკვეული მიმართებით იყო პირველადი გამოცხადება. თქვენ ხომ იცით, რომ აქ ყველაფერი გადამოწმებას ექვემდებარება და გადაუმოწმებლად არაფერს ვიმეორებთ, ამას მე მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, ამაშია მთელი საქმე. იქ, სა-

დაც შესაძლებელია თანხვედრა ერთი ცოდნისა მეორესთან, ეს უნდა გაკეთდეს სამართლიანად; მაგრამ გადაუმოწმებლად არაფერი არ უნდა მეორდებოდეს. ეს უკავშირდება მისიას, რომელიც ჩვენ გვაქვს სწორედ ჩვენს გერმანულ სექციაში, კერძოდ, შევიტანოთ ჩვენი წვლილი, ინდივიდუალური წვლილი ამ სულიერ მოძრაობაში. სხვადასხვა მხრიდან გამოთქმული შენიშვნების მიუხედავად, ჩვენ ერთგულად ვაგრძელებთ მუშაობას და უაზროდ არ ვატრიალებთ, ასე ვთქვათ, ძველ დოგმებს; ჩვენ ასევე განვიხილავთ იმას, რასაც გვთავაზობენ დღეს სხვა მხრიდან. ჩვენ ვიცავთ იმას, რაც შეიძლება ითქვას წმინდა ოკულტური სინდისით პირველადი ოკულტური კვლევისა და იმ მეთოდების საფუძველზე, რომლებიც გადმოგვეცა ჩვენი საკუთარი წმინდა ტრადიციებით – ჯვრითა და ვარდით, ვარდისჯვრით.

ძალზე საინტერესოა ცალკეულ პიროვნებაზე ვაჩვენოთ, როგორ იძენს ის ძველი, რაც შეტანილ იქნა კაცობრიობაში ზენა ძალთა ზეგავლენით, ფიზიკური პლანით განპირობებულ ხასიათს ბერძნულ-ლათინური ეპოქის ადამიანებთან. აქ ჩვენ შეგვიძლია, მაგალითის სახით მოვიყვანოთ, როგორ შეეძლო ეაბანს, აღექვა ის, რაზეც იგება, არსებითად, მისტერიის ზოგიერთ სკოლაში ადამიანური სამშვინველის შემდგომი განვითარება, მის იმ ინკარნაციაში, რომელიც ძევს ეაბანის პიროვნებასა და არისტოტელეს შორის, მისტერიათა უძველესი მოძღვრების ზეგავლენითა და იმ ძალებით, რომლებიც იღვრებოდა ზეგრძნობადი სამყაროებიდან. ახლა ჩვენ აღარ გავიმეორებთ იმას, რაც სხვადასხვა მისტერიის სკოლების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა, არამედ ჩვენს სულიერ მზერას მივაპყრობთ მათს ერთ ნაირსახეობაზე, იმაზე, სადაც სამშვინველი ვითარდებოდა სრულიად განსაზღვრული გრძნობების გამოღვიძების მეშვეობით, როცა სწავლობდა ზეგრძნობად სამყაროებში შეღწევას. ასეთ მისტერიებში სამშვინველში გამოიხმობდნენ სწორედ იმ შეგ-

რძნებებს, იმ იმპულსებს, რომელთაც შეეძლოთ მასში საფუძვლიანად ამოეძირკვათ ეგოიზმი. სამშვინველს ეხსნებოდა, რომ ის, არსებითად, უნდა იყოს ეგოისტური მუდმივად, სანამ განსხეულებულია ფიზიკურ სხეულში. ეგოიზმის მთელი მოცულობა და მნიშვნელობა, ფიზიკურ პლანზე მის იმპულსებში, ასე ვთქვათ, თავზე ემხობოდა მოცემულ სამშვინველს და ასეთი სამშვინველი წარმოუდგენლად დათრგუნულად გრძნობდა თავის თავს, ამიტომ მას უწევდა თავისი თავისთვის ეთქვა: აქამდე მე არაფერი ვიცოდი გარდა ეგოიზმისა, რადგან მე არ შემიძლია ფიზიკურ სხეულში ვიყო სხვა რამე, გარდა ეგოისტისა. ხედავთ! რამდენად შორს იყო ასეთი სამშვინველი იმ ადამიანთა იაფფასიანი თვალსაზრისისგან, რომლებიც საუბრისას ყოველ მეორე სიტყვაზე ამბობენ: ეს მე ჩემთვის კი არ მინდა, არამედ სხვებისთვის. ეგოიზმის გადალახვა, ზოგადსაკაცობრიოსა და კოსმიურისკენ სწრაფვის ათვისება არც ისე იოლია, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. ამ ათვისებას წინ უნდა უძღოდეს სამშვინველის ღრმა რყევები ეგოიზმის მოცულობის წინაშე, რომელიც ამ სამშვინველის იმპულსებში ძევს. ყველანაირი ადამიანურის, ყველანაირი კოსმიურისადმი თანაგრძნობა უნდა ესწავლა სამშვინველს იმ მისტერიებში, რომლებზეც მე აქ ვსაუბრობ, ამასთან თანაგრძნობა – ფიზიკური პლანის გადალახვის მეშვეობით. მაშინ შეიძლებოდა, იმედი ჰქონოდათ, რომ ის მოიტანდა ზენა სამყაროებიდან ჭეშმარიტ თანაგრძნობას ყოველგვარი ცოცხლისა და იმ ყველაფრისადმი, რაც არსებობს.

ბევრ სხვა რამესთან ერთად კიდევ რაღაც უნდა განვითარებულიყო, როგორც ძირითადი გრძნობა. როცა ადამიანს მართებს სულიერ სამყაროში შეღწევა, მისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ იქ ყველაფერი სულ სხვაგვარადაა, ვიდრე ფიზიკურ სამყაროში. როცა სულიერი სამყაროს წინაშე პირისპირ დგახარ, საჭიროა იდგე როგორც სრულიად უცნობის წინაშე. აქ ნამდვი-

ლად არსებობს გრძნობა, რის გამოც ვარდებოდნენ საშიშროებაში და ესაა უცნობის წინაშე შიშის გრძნობა. ამიტომაც ასეთ მისტერიებში სამშვინველს უნდა განეცადა ყველაფერი, რაც ადამიანის სამშვინველს შეეძლო საერთოდ განეცადა როგორც შიში და სიმფრთხალე, ელდა და დაზაფვრა, რათა გადაჩვეულიყვნენ შიშისა და სიმფრთხალის, ელდისა და დაზაფვრის გრძნობას. ამის შემდეგ ადამიანი შეიარაღებული იყო იმისათვის, რომ ასულიყო თავისი შინაარსით მისთვის უცნობ სულიერ სამყაროში. ამდენად, მისტერიის მოწაფის სამშვინველი აღზრდის მეშვეობით უნდა მისულიყო თანაგრძნობის ყოვლისმომცველ, უნივერსალურ გრძნობამდე და უშიშრობის, სიმამაცის უნივერსალურ გრძნობამდე. ამას გადიოდა თითოეული სამშვინველი იმ უძველეს მისტერიებში, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა ეაბანი, როცა იგი კვლავ გამოჩნდა იმ ინკარნაციაში, რომელიც ძევს ეაბანსა და არისტოტელეს შორის შუალედში. მან ეს განვლო. და ეს არისტოტელეში გამოვლინდა, როგორც მოგონება უფრო ადრინდელ ინკარნაციებზე. მას შეეძლო მოეცა ტრაგედიის თეორია, ვინაიდან ბერძნული ტრაგედიის ცქერისას ის ამ მოგონებებით მიყვანილ იქნა იმასთან, რომ მასში ძევს ანარეკლი, თითქოსდა გარეგნული, ფიზიკურ პლანზე გამოტანილი ანარეკლი იმ მისტერიალური აღზრდისა, როცა სამშვინველი განიწმინდება თანაგრძნობისა და შიშის მეშვეობით. ამიტომ დრამატულ გმირსა და ტრაგედიის მთელ აგებულებას მაყურებლის წინაშე უნდა გამოევლინა რაღაც, რის საფუძველზეც მაყურებელს შესუსტებული სახით შეეძლო, ტრაგედიის გმირის ბედისწერისადმი განეცადა თანაგრძნობა; ასევე განეცადა შიში მისი ბედისწერის დასასრულის წინაშე, სიკვდილის მთელი საშინელების წინაშე, მას რომ ემუქრება. ამდენად, ტრაგედიის მოქმედების დრამატულ განვითარებაში, სიცოცხლესა და მოძრაობაში ჩადებული იყო ის, რაც ხდებოდა ძველი მისტიკოსის სამშვინველში:

განწმენდა, კათარზისი შიშისა და თანაგრძნობის მეშვეობით. და რაც, როგორც მისტერიის გამოძახილი ფიზიკურ პლანზე უნდა შეეგრძნო ადამიანს, რომელიც ეკუთვნოდა ბერძნულ კულტურულ პერიოდს, არის შიშისა და თანაგრძნობის გავლა. საჭირო იყო, მხატვრულად განეცადათ, ესთეტიკურად დამტკბარიყვნენ იმით, რაც ადრე იყო აღზრდის დიადი პრინციპი. როცა არისტოტელეს მიერ წინა ინკარნაციებში განცდილი შემოვიდა მის პიროვნებაში, მაშინ იგი იქცა იმ ადამიანად, რომელსაც შეეძლო, ტრაგედიისთვის მიეცა ის ერთადერთი განსაზღვრა, რომელიც კლასიკად იქცა და იმდენად ძლიერად მოქმედებდა, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მისი აღქმა შეძლო ლესინგმა და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თამაშობდა ისეთ როლს, რომ ამ განსაზღვრებების შესახებ მთელი რიგი წიგნები დაიწერა. თუმცა, დიდი დანაკარგი არ იქნებოდა, თუ დიდი ნაწილი იმისა, რაც ბიბლიოთეკებშია, დაიწვებოდა. ეს იმიტომ, რომ ისინი იწერებოდა ზემოთქმულის სრული ვერგაგებით, ვერგაგებით იმისა, რომ ხელოვნებაში პროეცირებულია რაღაც, რაც ძევს სულიერში, ხოლო ისინი, ვინც ამას წერდა, ვერ აცნობიერებდნენ, რომ *არისტოტელე ამყოვნებდა მისტერიათა უძველეს საიდუმლოებას**, როცა ამბობდა: ტრაგედია არის თანმიმდევრული კავშირი მოქმედებებისა, რომელიც ჯგუფდება ერთი გმირის გარშემო და რომელთაც შეუძლიათ მაყურებელში გამოიწვიონ შიშისა და თანაგრძნობის განცდა, რათა მაყურებლის სამშვინველში შესაძლებელი იყოს დადგეს განწმენდის მომენტი.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ ცალკეულ პიროვნებაში, იმაში, რასაც ის ნებელობს და ამბობს, ჩადებულია ჩრდილი იმისა, რაც გასაგები გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ პიროვნების მიღმა განვჭვრეტთ ამ პიროვნების უკან მდგომ ინსპირატორს. ისტორიის მხოლოდ ასეთი განხილვისას შეგიძლიათ თქვენ დაინახოთ, რას ნიშნავს პიროვნება და რას ნიშნავს ზეგრძობადი ძალე-

ბი ისტორიული ცხოვრებისთვის, როგორ ხდება ინდივიდუალურ ინკარნაციებში რაღაც, რასაც ბლავატსკაია უწოდებს პიროვნული, ინდივიდუალური ინკარნაციების ურთიერთქმედებას იმასთან, რასაც ის აღწერს, როცა ამბობს: „მაგრამ ძველის, რეინკარნაციასა და კარმაზე გარდაუვალი ჭეშმარიტების გვერდით ოკულტისტებს უნდა ესწავლებინათ ციკლურ და ევოლუციის კვალდაკვალ მიმავალ რეინკარნაციაზე“ და ა.შ. ბლავატსკაია ამას უწოდებს ცნობიერ რეინკარნაციას, რამდენადაც ადამიანთა უმრავლესობისთვის ინკარნაციების თანმიმდევრობა მათი „მე“-სთვის შეუცნობელი რჩება, მაშინ, როცა ზევიდან მოქმედ სულიერ ძალებს, სინამდვილეში, სრული ცნობიერებით ციკლურად გადააქვთ თავიანთი ძალები ერთი ეპოქიდან მეორეში.

ამგვარად, გამოცხადება იმისა, რასაც ბლავატსკაია გამოთქვამდა, თავის პირველ პერიოდში, გამომდინარე როზენკროიცერული მისტერიებიდან, სავსებით შესაძლებელია გადამოწმდეს და დადგინდეს უშუალო კვლევით. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ხელსაყრელი მეთოდი, გავიგოთ ერთი ინკარნაცია მხოლოდ როგორც შედეგი წინარე განსხეულებისა, მნიშვნელოვნად მოდიფიცირდება და თქვენ გაიგებთ, რომ რეინკარნაცია არის გაცილებით რთული ფაქტების სამყარო, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ და ჩვენ მას სრულად მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა გავიაზრებთ ადამიანის თანაკუთვნილებას უმაღლეს ზეფიზიკურ სამყაროსთან, რომელიც მუდმივად ზემოქმედებს ჩვენს სამყაროზე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროის იმ შუალედში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ბერძნულ-ლათინურ კულტურას, ადამიანს მიეცა დრო, წმინდა ადამიანური „მე“-თი კიდევ ერთხელ განეცადა ყველაფერი, რაც ზენა სამყაროებიდან ჩაიდო სამშვინველში მთელი რიგი ინკარნაციების განმავლობაში. ის, რასაც ბერძნულ-ლათინური სამყარო მთელი სისავსით ავლენდა, იყო თითქოსდა ადამიანურ-პიროვნული გამოვლენა უსასრულო მოგონებებისა, რომლებიც ადრე ზენა სამყაროების მიერ იყო ჩადებული ამავე ინდივიდუალობებში. ამიტომ, განა შეიძლება ჩვენ გვიკვირდეს, რომ სწორედ ბერძნული სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი მოაზროვნეები განსაკუთრებულად აცნობიერებდნენ ამას? ისინი, თავიანთ შინაგან სამყაროში ჩახედვისას, ამბობდნენ: აქ ჩვენს პიროვნებაში იღვრება, განეფინება სამყაროები, მაგრამ ეს არის მოგონება იმაზე, რაც ჩვენში იქნა ჩაღვრილი სულიერი სამყაროების მიერ ადრე. *წაიკითხეთ პლატონთან**, როგორ დაჰყავს მას ყოველივე ის, რაც შეიძლება ადამიანმა განიცადოს, სამშვინველის მოგონებამდე მის ადრინდელ ინკარნაციებში განცდილზე. იქ თქვენ ნახავთ, ატლანტიდის შემდგომი რომელი ღრმა რეალური ცნობიერებიდან საზრდოობდა ისეთი მოაზროვნე, როგორიცაა პლატონი. თუ რას ნიშნავს ესოდენ გამოჩენილი პიროვნების ცალკეული გამონათქვამების გაგების შესწავლა, ეს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, თუ ხელგვეწიფება ეპოქის სულში ოკულტურად ჩახედვა.

მეოთხე ლექცია

შტუტგარტი, 1910 წლის 30 დეკემბერი

ბოლო დღეებში გაკეთებული მითითებებიდან თქვენ შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ბერძნულ-ლათინური კულტურა, გარკვეული მიმართებით, დგას მთელი ატლანტიდის შემდგომი კულტურის შუაში. სამი წინარე კულტურული ეპოქა იყო, თითქოსდა, ადამიანური სამშვინველის მომზადება იმ მუშაობისთვის, „მე“–„მე“-ში, რაზეც მივუთითეთ ბერძნულ კულტურაზე საუბრისას. ნათელმხილველური ცნობიერებიდან ბერძნების წმინდა ადამიანური აღქმისკენ დაღმასვლის მსგავსად გამოიყურება ძველინდური, სპარსული და ეგვიპტური კულტურები. ხელახალი აღმასვლის, ნათელმხილველური კულტურის ხელახლა მიღწევის მსგავსად უნდა წარმოჩნდეს ჩვენ წინაშე ის, რაც იწყება ჩვენი დროიდან და რაც სულ უფრო მზარდი სახით უნდა იქნეს მიღწეული კაცობრიობისთვის უახლოეს ასწლეულებსა და ათასწლეულებში. ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ: ეგვიპტურ-ბაბილონურ-ქალდეური კულტურული პერიოდიდან ჩვენ საბოლოოდ ვემზადებით წმინდა ადამიანური კულტურისკენ გადასასვლელად საბერძნეთში. ატლანტიდის შემდგომ მესამე პერიოდში ადამიანი, თითქოსდა, ძველი ნათელმხილველური მდგომარეობებიდან ეშვება დაბლა, რისი წყალობითაც მას ჯერ კიდევ შეეძლო უშუალო მონაწილეობის მიღება სულიერ სამყაროში და ამზადებს წმინდა პიროვნულ, წმინდა ადამიანურ კულტურას, რომელიც ხასიათდება სამშვინველის მუშაობით, რასაც შეიძლება ეწოდოს სწორედ „მე“-ს მუშაობა „მე“-ში. ამიტომაც აღმოჩნდება, რომ ნათელმხილველურ კულტურასთან დაკავშირებული შედარებით ადრინდელი ინკარნაციების ხილვა გაურკვეველი და ბუნდოვანი გახდა, უპირველეს ყოვლისა გილგამეშისთვის, ბაბილონის კულტურის დამაარსებლისთვის, ასე რომ

თავად უკვე აღარ შეეძლო გარკვეულიყო იქ, სადაც ეაბანმა თითქოსდა მემკვიდრეობით გადასცა მას განსაზღვრული უნარები, რათა ჩაეხედა ადრინდელი ინკარნაციებისთვის. სულიერი სიმაღლეებიდან ამ დაცემასა და წმინდა პიროვნულ ცხოვრებაში ცალკეული ადამიანების ჩათრევასთან სრული შესაბამისობით, ასევე ბაბილონელი სამშვინველის ამ თავისებურებასთან სრული შესაბამისობით მოქმედებს ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ შემდგომი თაობებისთვის გადაცემულს, ბაბილონში ამ სამშვინველების მუშაობის წყალობით.

ჩვენ თუ გვსურს ისტორიის განხილვა ოკულტურად, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენში სულ უფრო მეტად და მეტად მკვიდრდება ის, რომ ხალხები თავიანთი შრომით, თავიანთი კულტურული შემოქმედებით სულაც არ არიან იზოლირებულნი სამყაროს განვითარებისგან, კაცობრიობის წინსვლისაგან. თითოეულ ხალხს აქვს თავისი სულიერი ამოცანა, მან სრულიად კონკრეტული წვლილი უნდა შეიტანოს ადამიანურ პროგრესში. დღეს ხომ ჩვენი კულტურა ძალზე რთულია; ის გართულდა მრავალი ცალკეული კულტურული ნაკადის შერწყმის წყალობით. ჩვენს ამჟამინდელ სულიერ ცხოვრებასა და გარეგნულ ცხოვრებაში შერწყმულია ძალზე მრავალფეროვანი ხალხური კულტურები, რომლებიც იქმნებოდა მეტ-ნაკლებად ცალმხრივად ცალკეული ხალხების მიერ მათი მისიის სულისკვეთებით და რომლებიც შემდეგ საერთო ნაკადს შეერწყა. რადგან ხალხი განსხვავებულია ერთმანეთისგან, ამიტომ შეგვიძლია ვისაუბროთ თითოეული მათგანის განსაკუთრებულ მისიაზე. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ: დღეს, როცა სახეზე გვაქვს ჩვენს საკუთარ კულტურაში ჩვენი წინაპრების კულტურული მუშაობა, რა უნდა ვთქვათ ისეთი, რაც გვაჩვენებს, ამა თუ იმ ხალხს რა შეეძლო მოეცა ზოგადსაკაცობრიო პროგრესისთვის?

ძალზე საინტერესოა, შევჩერდეთ ბაბილონელი ხალხის კულტურულ ამოცანაზე. ოო, ეს ბაბილონელი ხალხი! თავად გარეგნულ ისტორიკოსსაც მისცა მან გასაოცარი გამოცანები უკანასკნელ ასწლეულში ლურსმული დამწერლობის გაშიფვრის წყალობით. ღირსშესანიშნავია თუნდაც ის, რისი გაგებაც მხოლოდ გარეგნულად მოხერხდა. ვინაიდან დღეს გარეგნულ მკვლევარს შეუძლია თქვას: ის, რასაც ადრე ეწოდებოდა ისტორია, დროის თვალსაზრისით თითქმის ორჯერ გაიზარდა იმის წყალობით, რაც ლურსმულის გაშიფვრით გაიგეს. გარეგნული წყაროების საფუძველზე უკვე გარეგნული ისტორიული კვლევაც იმზირება წარსულში, ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე მეხუთე-მეექვსე ათასწლეულებში და შეუძლია თქვას: მთელი ამ დროის განმავლობაში რეგიონებში, სადაც მოგვიანებით მოქმედებდნენ ბაბილონელები, ასირიელები, ასპარეზზე იყო მძლავრი, მნიშვნელოვანი კულტურა. იქ, უძველეს დროში ჩვენ ვხვდებით, უპირველეს ყოვლისა, ძალზე თავისებურ ხალხს; ისტორიაში მათ შუმერებს უწოდებენ. ეს ხალხი ბინადრობდა ტიგროსისა და ევფრატის მიდამოებში, უმთავრესად მათ ზედა დინებაში, თუმცა ქვემოთაც ცხოვრობდა. რამდენადაც ჩვენ ახლა ამის დრო არ გვაქვს და არ შეგვიძლია შევჩერდეთ გარეგნულ ისტორიულ წყაროებზე, ამიტომ უფრო მეტად შევეხებით იმას, რას გვაუწყებს ოკულტური ისტორია.

ეს ხალხი იმ ყველაფრით, რასაც ის იაზრებდა და სულიერად ქმნიდა, ასევე იმით, რასაც ახორციელებდა გარეგნულად, განეკუთვნებოდა ატლანტიდის შემდგომი განვითარების შედარებით უფრო ადრინდელი კულტურის საფეხურს. რაც უფრო შორს წავალთ შუმერების ისტორიაში, რომელთაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ წინარე ბაბილონელები, მით უფრო ნათელი იქნება ჩვენთვის, რომ ამ ხალხში ცხოვრობდა უდიდესი მნიშვნელობის სულიერი თქმულებები, რომ არ-

სებობდა დიადი სპირიტუალური სიბრძნე, რომლის დახასიათებაც შეიძლება, თუ ვიტყვით, რომ: ცხოვრების მთელი მოწყობა, მთელი სახე არა მარტო აზროვნებისა, არამედ მთლიანად ცხოვრება სამშვინველსა და სულში ამ ხალხთან სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე მსოფლიო ისტორიის შედარებით უფრო გვიანდელი ეპოქის ადამიანებთან, რომლებთანაც ყველგან ვლინდება, მაგალითად, გარკვეული დისტანცია იმათ შორის, რას ფიქრობენ და რას ლაპარაკობენ. დღეს ვინ არ იცის, რომ აზროვნება და ენა არის ორი სრულიად განსხვავებული რამ, რომ ენა გარკვეული თვალსაზრისით შედგება გამოხატვის იმ პირობითი მეთოდებისგან, რასაც ადამიანი ფიქრობს. ეს იქიდანაც ცხადია, რომ ჩვენ გვაქვს უამრავი განსხვავებული ენა და, არსებითად, ყველასთვის საერთო უამრავ წარმოდგენას გამოვხატავთ დედამიწის ამ განსხვავებულ ენებზე, ასე რომ, არსებობს გარკვეული შუალედი აზროვნებასა და ენას შორის. ამ უძველეს ხალხში ეს ასე კი არ იყო, არამედ მათი ენა, არსებითად, სრულიად სხვანაირად იყო დამოკიდებული სამშვინველზე, ვიდრე სულ უფრო გვიანდელი ენები. დიახ, თუ ჩვენ მივუბრუნდებით უძველეს დროებს, მაშინ იქ ნამდვილად დავინახავთ, - თუნდაც მთელი სიწმინდით არ იყოს შემონახული, – კაცობრიობის რაღაც სახის წინარე ენას. მართალია, ცალკეული ტომებისა და რასების ენას ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელ სივრცეზე ჩვენ ვიპოვით გარკვეულწილად დიფერენცირებულს, მაგრამ სწორედ შუმერებთან არსებობდა მეტყველების თავისებური სახის ის საერთო ელემენტი, რომელიც შეიძლებოდა მაშინ გასაგები ყოფილიყო ყველა ცნობილ მიწიერ წრეებში, ცხადია, განსაკუთრებით ღრმა სულიერი ადამიანებისთვის. რატომ იყო ეს ასე? იმიტომ, რომ ტონისა და ბგერის დროს ამ ადამიანების სამშვინველი გრძნობდა სრულიად განსხვავებულ რამეს და მას

ერთგვაროვნად უნდა გამოეხატა ის, რაც შეიძლებოდა შეეგრძნოთ რაიმე აზრის გაელვებისას და ამავე დროს ბგერის გახმიანებისას.

თქვენ ხედავთ, რომ ამით ითქვა ის, რაც მე მსურდა გამომეხატა თვით იმ სახელებში, რომლებიც მე გადმოვეცი გილგამეშის ეპოსის ახსნისას; მათშიც კი არსებობს უჩვეულო ბგერები: იშტარი, იშულანუ და მათი მსგავსი. როცა წარმოთქვამენ ამ ბგერებს და იციან ბგერის ოკულტური მნიშვნელობა, მაშინ ისიც იციან, რომ ეს სახელები შეუძლებელია შეიცავდეს სხვა ბგერებს, თუ მათ უნდა აღნიშნონ მოცემული არსება, ვინაიდან უ, ი, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ რაღაც სრულიად განსაზღვრულს. ენის შემდგომი მოძრაობაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანებმა დაკარგეს იმის გრძნობა, რომ ეს მოვლენები, ბგერები, – თანხმოვნები, ხმოვნები, – შეიძლება ასევე ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნებოდეს რაღაცას, მაშინ, როცა იმ ძველ დროში საგნები და მოვლენები შეუძლებელი იყო აღენიშნათ სხვაგვარად, თუ არა ბგერების სრულიად განსაზღვრული ერთობლიობით. არსებითად, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ახლა, როცა მხედველობაში ვიღებთ ერთი და იგივე საგანსა თუ მოვლენას, გაგვაჩნდეს მის შესახებ გერმანიაში სხვა აზრი, ვიდრე ინგლისში, ასევე მაშინ ადამიანებს, ფლობდნენ რა ბგერის ჯერ კიდევ უშუალოდ სულიერ, უძველეს გრძნობას, არ შეეძლოთ, რაიმე საგანი ან არსება აღენიშნათ სხვაგვარად, თუ არა ბგერათა საერთო ერთობლიობით. ამიტომ ძველ დროში ენა, – ხოლო ძველ შუმერულ ენაში არსებობდა ანარეკლი ამ უძველესი დროისა, – იყო რაღაც სრულიად განსაზღვრული, ისე რომ, ის უბრალოდ სამშვინველის ბუნებიდან გამომდინარე, გასაგები იყო მათთვის, ვინც მას ისმენდა. როცა ასეთი სახით ვსაუბრობთ ენაზე, საჭიროა,

მზერა მივაპყროთ ატლანტიდის შემდგომი კულტურების ყველაზე უძველეს პირველ პერიოდებს.

შემდგომში სწორედ ბაბილონელი ხალხის ამოცანა იყო, სულიერ სამყაროსთან ადამიანის ეს ცოცხალი სულიერი კავშირი ჩამოეტანა პიროვნულში, იქ, სადაც პიროვნება ეყრდნობა თავის თავს, თავის ცალკეულობაში. სწორედ ეს იყო ბაბილონელების ამოცანა, რომ სულიერი სამყარო ჩამოეტანათ ფიზიკურ პლანზე. ამას უკავშირდება ის, რომ ენის ეს ცოცხალი გრძნობა, სულიერი გრძნობა წყდება და ენა ეთვისება კლიმატს, გეოგრაფიულ მდგომარეობას, ხალხს და ამის მსგავსს. ამიტომ ბიბლია, ამ მოვლენებზე ყვება გაცილებით უფრო ზუსტ რამეს, ვიდრე *ფრიც მაუტნერის** გამონაგონებია, რომელიც თავის თავს ენის მკვლევარს უწოდებდა; ბიბლია ამ მნიშვნელოვან ფაქტებს გამოხატავს ბაბილონის აღრევის ხატში, როცა საერთო ენაზე მოსაუბრე ყველა ადამიანი მთელ დედამიწაზე გაიფანტა. ბაბილონის ეს აღრევა ჩვენ უნდა გავიგოთ სულიერად, თუ ვიცით, როგორ აშენებდნენ ძველ დროებში. ასეთი სახლები, რომელთაც აშენებდნენ იმ მიზნით, რომ განეხორციელებინათ განსაზღვრული, წმინდა სიბრძნისთვის მიძღვნილი ქმედებები ან რომლებიც იქნებოდნენ წმინდა ჭეშმარიტებათა ნიშან-სვეტები, ძველ დროში იგებოდა ზომის იმ ერთეულებში, რაც აღებული იყო ან ზეციდან ანდა ადამიანისგან. ეს არსებითად ერთი და იგივეა, ვინაიდან ადამიანი, როგორც მიკროკოსმოსი არის გამეორება მაკროკოსმოსისა, ასე რომ, ზომის ერთეულები, რომლებიც გასაოცარი სახით არის შეტანილი პირამიდებში, აღებულია ზეცისგან და ადამიანისგან.

ამდენად, ჩვენ რომ შეგვეძლოს მივუბრუნდეთ უძველეს დროებს, შედარებით ადრინდელ ეპოქებში, მაშინ საკულტო ნაგებობებში ყველგან ვიპოვიდით სიმბოლურ მიბაძვას ადამიანური და ზეციური პროპორციე-

ბისადმი. სიგრძე, სიგანე და სიღრმე – ხასიათი იმისა, როგორ ფორმირდებოდა შინაგანი სივრცე არქიტექ-ტურულად, ეს ყოველივე იქმნებოდა ზეციური პრო-პორციების ან ადამიანური სხეულის პროპორციების თანახმად. ეს ხდებოდა შემდეგნაირად: იქ, სადაც არ-სებობდა სულიერ სამყაროსთან ადამიანის კავშირის შესახებ ცოცხალი ცნობიერება, პროპორციას იღებ-დნენ სულიერი სამყაროდან. რად შეიძლებოდა ეს ქცეულიყო იმ დროებში, როცა ადამიანური შემეცნე-ბა უნდა ჩამოტანილიყო, ასე ვთქვათ, ზეციდან დედა-მიწაზე, საერთო სულიერ-ადამიანურიდან ადამიანურ-პიროვნულისკენ? აქ ზომის ერთეულს უპირატესად იღებდნენ თავად ადამიანისგან, ადამიანური პიროვნე-ბისგან, რამდენადაც ის არის გამოხატულება ცალკე-ული მეობისა (Ichheit). ეს უნდა აესახა ბაბილონის გოდოლს, კულტის ადგილს მათთვის, ვისაც ზომის ერთეული უნდა აეღო უპირატესად პიროვნებისგან. ამავე დროს უნდა ეჩვენებინათ, რომ პიროვნება მომ-წიფდება მხოლოდ თანდათანობით, რათა კვლავ ავი-დეს სულიერ სამყაროებში. ჩვენ ვნახეთ, რომ თავი-დან გავლილი უნდა ყოფილიყო მეოთხე და მეხუთე პერიოდები, სანამ კვლავ გაჩნდებოდა აღმასვლის შე-საძლებლობა. მაშინ სულიერ სამყაროებში ასვლა ისე უბრალოდ შეუძლებელი იყო იმის მეშვეობით, რისი აღებაც შეიძლებოდა ადამიანური პიროვნები-დან. სამყაროს ამ სიმბოლოში, ბაბილონის გოდოლ-ში ჩადებულია სიღრმისეული რამ, რის გამოც ადა-მიანები შეზღუდულნი იქნენ ცალკეული ადამიანური პიროვნების მიერ იმით, რადაც შეიძლებოდა პიროვ-ნება ქცეულიყო რომელიმე ხალხში განსაკუთრებუ-ლი პირობების დროს.

ასე იქნა წარგზავნილი ბაბილონელები სულიერი სამყაროდან ჩვენს დედამიწაზე, იქ იყო მათი მისია, იქ იყო მათი ამოცანა. როგორც უკვე ვახსენე, ბაბი-ლონის გარეგნული კულტურის საფუძველში იდო

ქალდეის მისტერიალური კულტურა, რომელიც რჩე-ბოდა რა ეზოთერული, მაინც სრულიად განსაზღვრუ-ლი სახით იღვრებოდა გარეგნულ კულტურაში. ამი-ტომ ჩვენ ვხედავთ, ჯერ კიდევ როგორ ასხივებს ყველგან უძველესი სიბრძნე იმაში, რაც ბაბილონე-ლებმა აიღეს საზომი სისტემის სახით. მათ ეს უნდა გაეკეთებინათ ისე, რომ ეს არ ასულიყო მათთან ერ-თად სულიერ რეგიონებში, არამედ გამოეყენებინათ მხოლოდ დედამიწაზე. კულტურაში შევიდა და ჩვენს დრომდე მოაღწია იმან, რაც ამ სახით ჩაიდო ბაბი-ლონელების მისიაში. ჩვენ შეგვიძლია, ეს ვაჩვენოთ. აქ ჩვენ უნდა ვიგრძნოთ პატივისცემა სულიერ სამყა-როში ჯერ კიდევ მძლავრი ხილვის წინაშე, რომელ-საც უძველესი ტრადიციები ინარჩუნებდნენ სამშვინ-ველებში და მხოლოდ შემდეგ ჩაეფლო წყვდიადში. ჩვენ ასევე პატივი უნდა ვცეთ ცის შესახებ ბაბილო-ნელთა ღრმა ცოდნას, მათ დიად მისიას, რომ კაცობ-რიობისთვის ცნობილი სულიერი სამყაროს წყალო-ბით ციური მიმართებებიდან აეღოთ ყოველივე ის, რისი ჩართვაც ადამიანურ კულტურაში აუცილებელი იყო გარეგნული პრაქტიკული ცხოვრებისთვის. ამავე დროს მათი ამოცანა იყო, ეს ყველაფერი დაეკავშირე-ბინათ კაცობრიობასთან. საინტერესოა, რომ თვით ჩვენს დრომდე მოაღწია გარკვეულმა წარმოდგენებმა, რომლებიც თითქოსდა, ანარეკლი იყო იმ თავისებური გრძნობებისა, რასაც ჯერ კიდევ ცოცხლად გრძნობ-დნენ ბაბილონელები: ადამიანებში მთელი მაკროკოს-მოსის ჩაღვრის გრძნობა, კანონთა შესაბამისობა მი-წიერ პერსონალურ ადამიანთან, რომელიც ბაძავს ცის დიად კანონებს.

ამდენად, ძველ ბაბილონში არსებობდა გამოთქმა: „შეხედე ადამიანს, რომელიც დადის არა როგორც მოხუცი და არა როგორც ბავშვი, არამედ დადის რო-გორც ჯანმრთელი და არა როგორც ავადმყოფი, მირ-ბის არც ისე სწრაფად და მიაბიჯებს არც ისე ნელა

და შენ დაინახავ მზის მოძრაობის საზომს“. გასაოცარი გამონათქვამია, მაგრამ მას შეუძლია, ჩაგვახედოს ძველი ბაბილონელების სამშვინველის სიღრმეებში. ვინაიდან მათ წარმოედგინათ, რომ ადამიანი კარგი, ჯანსაღი ნაბიჯებით, რომელიც თავისი სიარულისას მისდევს ჯანსაღი ცხოვრებიდან მომდინარე სიჩქარეს, თუ იმოძრავებდა არც ისე ჩქარა და არც ისე ნელა დედამიწის გარშემო, მაშინ მის შემოვლას მოუნდებოდა 365.1⁄4 დღე, და ეს დაახლოებით ასეა, თუ ჩავთვლით, რომ ის მოგზაურობს დღე და ღამე შეუსვენებლად. ამდენად, ისინი ამბობდნენ, რომ დრო, რომელშიც ადამიანს შეეძლო დედამიწისთვის შემოევლო, არის იგივე დრო, რომელშიც მზე გარს უვლის დედამიწას, ვინაიდან მათ სჯეროდათ მზის მოჩვენებითი მოძრაობა დედამიწის გარშემო. მაშასადამე, თუ შენ მიდიხარ, როგორც ჯანმრთელი ადამიანი, არც ისე სწრაფად და არც ისე ნელა დედამიწის გარშემო, მაშინ შენ მისდევ დედამიწის გარშემო მზის მოძრაობის სიჩქარეს. ეს ნიშნავს: „ადამიანო, ეს უკავშირდება შენს ჯანმრთელობას, რომ მისდიო დედამიწის გარშემო მზის მოძრაობას“.

რასაკვირველია ეს არის რაღაც, რაც იწვევს ჩვენს ღრმა პატივისცემას ბაბილონელთა მძლავრი კოსმიური შეხედულების წინაშე. ვინაიდან, აქედან გამომდინარე, შემდეგ მათ შექმნეს და ნაწილებად დაყვეს დედამიწის გარშემო ადამიანის ეს მოგზაურობა. ისინი თვლიდნენ განსაზღვრული სიდიდეებით და მაშინ მიიღეს რაღაც, რაც დაახლოებით წარმოადგენს გზას, რომელსაც ადამიანი გაივლის ორი საათის განმავლობაში, ეს კი ტოლია ერთი მილის. ისინი ამ რიცხვს ითვლიდნენ ჯანსაღი სიარულის მიხედვით და ეს ზომის ეტალონად მიიღეს, რათა გაეზომათ დიდი ზედაპირები. თვით უახლოეს დრომდე, სანამ ადამიანურ განვითარებაში ყველაფერი არ ჩაეფლო აბსტრაქტულში, ეს საზომი არსებობდა გერმანულ მილში, რომელიც შეიძლება ადამიანმა გაიაროს დაახლოებით ორ საათში. ამდენად, თვით XIX საუკუნემდე ნარჩუნდებოდა რაღაც ისეთი, რომელიც მომდინარეობდა ძველი ბაბილონელების მისიიდან, მათ ეს კოსმოსიდან აიღეს, როცა გამოთვლები გააკეთეს მზის მოძრაობის თანახმად.

მხოლოდ ჩვენი დროისთვის იყო აუცილებელი, ადამიანისგან აღებული ზომის ეს ერთეულები გადაეყვანათ ზომის აბსტრაქტულ ერთეულებზე, რომლებიც აღებულია მკვდარი მეთოდებისგან. ცნობილია, რომ თანამედროვე ზომის სისტემა აბსტრაქტულია კონკრეტულ, უშუალოდ ადამიანისგან და ზეციური მოვლენებისგან მომდინარე, ზომის ერთეულებთან შედარებით, რომლებიც ყველა მიდის ძველი ბაბილონელების მისიამდე. ასევეა ეს ზომის სხვა ერთეულებთან, როგორც მაგ., „ფეხთან“ დაკავშირებით, რომელიც აღებულ იქნა ადამიანური კიდურებისგან, ან „იდაყვთან“ მიმართებით, რომელიც გაზომილ იქნა ადამიანის მკლავისა და ხელის მტევნის მიხედვით; ყველგან შეგვიძლია ჩვენ ვიპოვოთ, რომ საფუძველში ძევს ადამიანში, მიკროკოსმოსში მოპოვებული რაღაც კანონზომიერება. არსებითად, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჩვენს საზომ სისტემას საფუძვლად ედო ძველი ბაბილონელების აზროვნების მთელი წყობა. ზოდიაქოს თორმეტმა ნიშანმა და ხუთმა პლანეტამ მათ მისცა 5X12=60; სამოცი ეს არის ძირითადი რიცხვი. ძველი ბაბილონელები საერთოდ სამოცამდე ითვლიდნენ. სამოცის შემდეგ ისინი თვლას იწყებდნენ თავიდან. ყველაფერში, რასაც ისინი ითვლიდნენ ყოველდღიურ საგნებში, საფუძვლად ედო რიცხვს თორმეტი, რომელიც კოსმიური კანონებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად გაცილებით უფრო კონკრეტულად გამოიყენება გარეგნულ კონკრეტულ მიმართებებში, ვინაიდან ამ რიცხვს აქვს თორმეტი ნაწილი. თორმეტი კი იყო დუჟინი, ხოლო დუჟინი სხვა არა-

ფერია, თუ არა ნიჭი ბაბილონელების მისიიდან. ჩვენ ყველგან საფუძვლად გვაქვს რიცხვი ათი, რიცხვი, რომელიც გვიქმნის უამრავ სირთულეს, თუ გვსურს მისი დაყოფა ნაწილებად, მაშინ, როცა დუჟინი თავისი შეფარდებით სამოცთან და თავისი სხვადასხვა დაყოფით, როგორც თვლის სისტემისა და გაზომვის საფუძველი, მაღალი ხარისხით არის შეწყობილი კონკრეტულ მიმართებებთან.

ეს არ უნდა იყოს ჩვენი დროის კრიტიკა, როცა ამბობენ, რომ კაცობრიობა ჩავარდა აბსტრაქტულში თვით რიცხვსა და გამოთვლასთან დაკავშირებითაც, ვინაიდან ერთ ეპოქას ხომ არ შეუძლია იგივე აკეთოს, რასაც აკეთებდა წინა ეპოქა. ჩვენ თუ გვინდა, კულტურის მოძრაობა გამოვხატოთ ატლანტიდის კატასტროფიდან ბერძნულ ეპოქამდე და იქიდან გავაგრძელოთ ჩვენი ეპოქის გავლით, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: ინდური, სპარსული, ეგვიპტური კულტურები ეშვებიან დაბლა; ბერძნულ კულტურაში არის სწორედ ის პუნქტი, როცა ხდება წმინდა ადამიანურის გამომუშავება ფიზიკურ პლანზე; შემდეგ ისევ იწყება აღმასვლა; ეს აღმასვლა ისეთია, რომ ის წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ნამდვილი განვითარების მხოლოდ ერთ შტოს და რომ, მეორე მხრივ, სახეზეა მატერიალიზმში ჩაფლობის ხანგრძლივი პერიოდი. ამიტომ, ჩვენს დროში ზევით ენერგიული სულიერი სწრაფვის გვერდით ჩვენ გვაქვს აშკარად გამოხატული მატერიალიზმი, რომელიც მატერიაში ღრმად ეფლობა. ცხადია, ეს მოვლენები გვერდიგვერდ მიდის. მატერიალისტური მოძრაობა უნდა არსებობდეს როგორც უკუქმედება, წინააღმდეგობა, რომელიც საჭიროა დამარცხდეს უფრო მაღალი ძალების განვითარებისთვის. თუმცა, ამ ნაკადის სულისკვეთებით ყველაფერი კეთდება აბსტრაქტულად, ვინაიდან მთელი ათეული სისტემა არის აბსტრაქტული სისტემა. ეს არ არის კრიტიკა, არამედ მხოლოდ დახასიათება. სწო-

რედ მსგავსი სახით სურთ კონკრეტულის გადალახვა დანარჩენშიც. რა წინადადებები არ კეთდებოდა! მაგ., აღდგომის ზეიმის გადატანა აპრილის განსაზღვრულ დღეს, რათა გაქცეოდნენ ვაჭრობისა და წარმოებისთვის არახელსაყრელ პირობებს. ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ აქ ჩვენ გვაქვს კიდევ რაღაც, რაც თავისი დადგენილებით შესაბამისობაშია ვარსკვლავიერ ცასთან უხსოვარი დროიდან. ყველაფერი უნდა შეერწყას აბსტრაქტულს და მხოლოდ წვრილი ნაკადის სახით შემოედინება ჩვენს კულტურაში კონკრეტული, რომელიც კვლავ ზევით ისწრაფვის.

ძალზე საინტერესოა, რომ არა მარტო სულისმეცნიერებაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კაცობრიობას ინსტინქტურად უბიძგებენ ზევით მოძრაობისკენ, კვლავ აღმასვლისკენ, ვთქვათ, ზომასთან, რიცხვსა და ფორმასთან ისეთივე შეგუებისკენ, როგორც ეს იყო ძველ ბაბილონელებთან და ეგვიპტელებთან. ვინაიდან, ჩვენს დროში ნამდვილად ხდება ბაბილონისა და ეგვიპტური კულტურების თავისებური სახით გამეორება. წარსულის პერიოდები ხომ მეორდება: ეგვიპტური პერიოდი ჩვენს პერიოდში, სპარსული – მეექვსეში, ინდური – მეშვიდე პერიოდში. პირველი შეესაბამება მეშვიდეს, მეორე – მეექვსეს, მესამე – ჩვენს მეხუთეს, ხოლო მეოთხე დგას თავისთავად, წარმოქმნის რა შუალედს. ამიტომაც ინსტინქტურად მეორდება ბევრი რამ ძველი ეგვიპტელების შეხედულებიდან. აქ შეიძლება მოხდეს მნიშვნელოვანი მოვლენები. ადამიანები შესაძლოა მთლიანად ჩაეფლონ უკიდურესად მატერიალისტურ წარმოდგენებში, უკიდურესად მატერიალისტურ ცნებებში და მაინც, ფაქტების ზეწოლით, – თუმცა არა საბუნებისმეტყველო მეცნიერული თეორიების, ვინაიდან დღეს ისინი ყველა მატერიალისტურია, – ისინი მიიყვანონ სულიერ ცხოვრებასთან.

ასე, მაგალითად, არის ერთი საინტერესო ბერლინელი ექიმი, რომელმაც მოახდინა ღირსშესანიშნავი დაკვირვება. მე მსურს ეს დაფაზე გაჩვენოთ. ეს არის წმინდა ფაქტობრივი დაკვირვება, რომელიც გაკეთდა რაიმე სხვა თეორიებისგან დამოუკიდებლად. ვთქვათ ამ წერტილში (ნახაზი არ შენარჩუნებულა) გვაქვს რომელიმე ქალის სიკვდილის თარიღი. აქ მე აღვნიშნავ არა რაიმე გამოგონილს, არამედ იმას, რაც იყო დაკვირვების საგანი. ეს ქალი არის ერთი ოჯახის ბებია. გარდაცვალებამდე განსაზღვრული დღეებით ადრე ბებიას შეეძინა შვილიშვილი, დღეების რიცხვია 1428. სრულიად გასაოცრად 1428 დღის შემდეგ, ბებიის გარდაცვალებიდან, კვლავ იბადება შვილიშვილი, ხოლო შვილთაშვილი იბადება 9996 დღის შემდეგ ბებიის გარდაცვალებიდან. თუ 9996 გავყოფთ 1428-ზე მივიღებთ რიცხვს 7, ანუ შვილიშვილის დაბადებასა და ბებიის გარდაცვალებას შორის დროის შუალედი უნდა გავამრავლოთ 7-ზე, სწორედ ამ დროის განმავლობაში იბადება შვილთაშვილი. ექიმი აჩვენებს, რომ ეს არ არის ერთეული შემთხვევა და რომ, უამრავი ოჯახის კვლევისას, ხვდები აბსოლუტურად განსაზღვრულ ციფრობრივ მიმართებებს სიკვდილსა და დაბადებასთან დაკავშირებით. საინტერესოა ისიც რომ, თუ თქვენ აიღებთ რიცხვს 1428, მაშინ ის ასევე უნაშთოდ იყოფა 7-ზე. ერთი სიტყვით, დღეს ადამიანებს თავად ფაქტები უბიძგებს იმისკენ, რომ გარეგნულ მოვლენათა თანამიმდევრობაში კვლავ მოიპოვონ განსაზღვრული მართებულობა, პერიოდულობა, რომელიც დაკავშირებულია ძველ წმინდა რიცხვებთან. ამ სახის მონაცემების რიცხვი, რომელიც ფაქტობრივად შეადგინეს *ფლისმა**, – ეს ბერლინელი ექიმის სახელია, – და მისმა მოწაფეებმა, დასაბუთებაა იმისა, რომ სრულიად განსაზღვრული ციფრები წარმოადგენს რეგულაციურ ფაქტორებს, რომლებიც მართავენ ასეთი მოვლენების კანონზომიერ მდინარებას. რიცხვების ასეთი შეპირისპირება ახლა უკვე ძალზე ბევრი აქვთ. ამასთან მათი ინტერპრეტაცია სრულიად მატერიალისტურია, მაგრამ ფაქტების ძალა აიძულებთ, ირწმუნონ სამყაროს მოვლენებში რიცხვების მოქმედება. მე განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ, რომ ძალზე არასწორია ის, როგორ იყენებენ ჯერ კიდევ ამ პრინციპს ფლისი და მისი მოწაფეები. ჯერ კიდევ მრავალმხრივ უნდა გაუმჯობესდეს ის, თუ როგორ იყენებს თავის ძირითად რიცხვებს, კერძოდ 23 და 28, რომელთაც იგი ასევე პოულობს (28=4x7). და მაინც, მსგავს კვლევაში ჩვენ უნდა დავინახოთ ძველი ბაბილონის კულტურის გარკვეული ინსტინქტური გამოვლინება კაცობრიობის აღმასვლის პერიოდში. ცხადია, ადამიანთა უმრავლესობა მსგავს მოვლენებს ვერ გრძნობს, არ ესმის. ისინი უფრო მეტად ვიწრო წრეებში დაქსაქსული რჩება. ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს, რომ ადამიანები, რომლებიც ფლისის მოწაფეების მსგავსად პოულობენ მსგავს მოვლენებს, შემდეგ თავისებური სახის აზრებსა და გრძნობებს იძენენ. *ფლისის ერთ-ერთი მოწაფე** ამბობს: „ძველ დროში ეს ამბები რომ სცოდნოდათ, – მათ კი ეს იცოდნენ, - მაშინ ის ადამიანები რას იტყოდნენ ამაზე?“. განსაკუთრებით დამახასიათებელი მეჩვენება მე ერთი ადგილი.

ბევრი რამის ამგვარად შეჯერებით ფლისის მოწაფე ამბობს: „აქ ბუნებისგან აღებულია დროითი შუალედები ყველაზე მკაფიო მათემატიკური სტრუქტურისა, მაგრამ თვით ყველა დროის ნიჭიერი, უფრო რთულ საკითხებსა და მოვლენებს შეგუებული მოაზროვნეებისთვისაც მიუწვდომელი იყო ასეთი მოვლენები. როგორი რელიგიური გულმოდგინებით გამოიკვლევდნენ ამას ის ბაბილონელები, რომლებიც თავის გამოთვლებს აწარმოებდნენ და რა ჯადოქრობით შემოსავდნენ ამ საკითხებს!“ ხედავთ, უკვე რამდენად ხვდებიან გუმანით იმას, რა ხდება სინამდვილეში! კვლავ როგორ მუშაობს ადამიანთა ინსტინქტები სუ-

ლიერი ცხოვრების მიმართულებით. სწორედ იქ, სადაც ჩვენს დროში გავრცელებული მეცნიერება ჩვეულებრივ ბრმად ჩაუვლის გვერდს, საჭიროა ყოველმხრივ ვეძიოთ ის, რაც ნათელს მოჰფენს ადამიანებისთვის სრულიად უცნობ ოკულტურ ძალას. ვინაიდან ისინი, რომლებიც აქ მიუთითებენ რიცხვების თავისებურ კანონზე, ამას მთლიანად მატერიალისტურად ხსნიან, ხოლო ფაქტების ძალა უკვე ახლა ადამიანებს აიძულებს, კვლავ აღიარონ მოვლენებში სულიერი, მათემატიკური კანონზომიერება. ამდენად, ჩვენ ვხედავთ სინამდვილეში რამდენად ზუსტია, რომ ყველაფერი ის, რაც მოგვიანებით კაცობრიობის განვითარების მსვლელობაში გამოიხატა პიროვნული სახით, წარმოადგენს მხოლოდ ჩრდილს იმისა, რაც ადრე არსებობდა ელემენტარულ, თავდაპირველ სიდიადეში, ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობდა კავშირი სულიერ სამყაროსთან. ეს რომ ჩვენს სამშვინველში აღიბეჭდოს, მე მსურს, ხაზი გავუსვა: მეოთხე კულტურულ პერიოდში გადასვლისას სწორედ ბაბილონელებს უნდა ჩამოეტანათ ზეცა დედამიწაზე, ზეციური შეეტანათ ზომაში, რიცხვსა და წონაში; და რომ ჩვენს დრომდე ვგრძნობდით ჩვენ ამის გამოძახილს და ახლან კვლავ მივუბრუნდებით გამოთვლის ამ ტექნიკას. ასევე, მან სულ უფრო და უფრო მეტად უნდა მოიპოვოს აღიარება, თუმცა ცხოვრების სხვა სფეროებში რიცხვისა და ზომის აბსტრაქტული სისტემა, ცხადია, სწორია. აქ ჩვენ ასევე შეგვიძლია დავინახოთ, ბერძნულ-ლათინურ კულტურაში დაღმასვლისას როგორ იქნა მიღწეული განსაზღვრული პუნქტი პიროვნების წმინდა ადამიანური გამოხატულებისა ფიზიკურ პლანზე, ხოლო შემდგომში კვლავ როგორ აქვს ადგილი აღმასვლას. ასე რომ, ატლანტიდის შემდგომ მთელი კულტურული განვითარების მსვლელობის პერიოდში საბერძნეთი ნამდვილად დგას თითქოსდა შუაში.

ახლა ჩვენ გვმართებს, გავიხსენოთ, რომ ამ ბერძნულ ეპოქაში ერთვება ქრისტიანობის იმპულსი, რომელმაც კაცობრიობა სულ უფრო მეტად და მეტად უნდა აიყვანოს სხვა რეგიონებში. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ქრისტიანობა თავისი განვითარების პირველ პერიოდებში არ გამოვლენილა მთელი თავისი მნიშვნელობით, მთელი თავისი სულიერი შინაარსით. ჩვენ ვაჩვენეთ ჰიპათიის მიმართ ალექსანდრიის ხალხის მოქმედება, როგორი სუსტი და ბნელი მხარეებით იყო აღნიშნული ქრისტიანობის საწყისი პერიოდი. დიახ, ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ დრო, როცა ქრისტიანობას გაიგებენ მთელი მისი სიღრმით, ჯერ კიდევ წინ არის, რომ ქრისტიანობა თავის თავში ატარებს წარმოუდგენელ სიღრმეებსა და სიდიადეს, რომ ის უფრო მომავალს განეკუთვნება, ვიდრე აწმყოს, რომ არაფერი ვთქვათ კაცობრიობის წარსულზე. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რაც ძევს ქრისტიანობაში თავიდან, როგორ აღმოჩნდა იმის შუაგულში, რასაც, არსებითად, შეიცავს უძველესი სამყაროს სიბრძნისა და სულიერების მემკვიდრეობა. ვინაიდან, რაც საბერძნეთმა მიიღო, რასაც ის თავის თავში ატარებდა, ნამდვილად იყო თითქოსდა მემკვიდრეობა იმისა, რაც ადამიანებმა შეიძინეს ურიცხვი ინკარნაციების განმავლობაში სულიერ სამყაროსთან ცოცხალი კავშირის მეშვეობით. უძველეს დროში განცდილი მთელი სულიერება ბერძნების სამშვინველსა და გულში ჩაეფლო და მათში მთელი სისავსით ვლინდებოდა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რომ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ადამიანები, რომელთაც ქრისტიანობის ცხოვრებაში შემოსვლისას, განსაკუთრებით იმის გამო, რაც მოვიდა ქრისტიანული იმპულსიდან პირველ ასწლეულებში, არ შეეძლოთ, ეს მოვლენა შეეფასებინათ ისე, როგორც ის გრანდიოზული სიდიადე, გრანდიოზული სულიერება, რომელიც საბერძნეთში უძველესი ათასწლეულების მემკვიდრეობის სახით მიიღეს.

განსაკუთრებით საინტერესოა ერთი პიროვნება, რომელიც, ასე ვთქვათ, თავის საკუთარ მკერდში განიცდიდა ძველის ამ ბრძოლას ახალთან; სიბრძნის უძველესი საგანძურის, უძველესი სულიერი საგანძურის ბრძოლას იმასთან, რაც თავისი განვითარების მხოლოდ დასაწყისში იყო და ძალზე სუსტად ისმოდა. ბერძნულ-ლათინური ეპოქის მეოთხე საუკუნეში პიროვნება, რომელმაც ეს ყველაფერი განიცადა საკუთარ სამშვინველში, გახლდათ *იულიანუს აპოსტატი** (განდგომილი).

ძალზე საინტერესოა თვალი გადავავლოთ იულიანუსის, რომის იმპერატორის ცხოვრებას. დაიბადა რა როგორც ძმისწული პატივმოყვარე და შურისმაძიებელი იმპერატორისა, იულიანუსს, არსებითად, ელოდა ჯერ კიდევ ბავშვობაში მოკვლის საფრთხე თავის ძმასთან ერთად. ის ცოცხალი დატოვეს მხოლოდ იმის გამო, რომ მისი სიკვდილი გამოიწვევდა დიდ ხმაურს და იმედოვნებდნენ, რომ შემდგომში ყოველთვის იქნებოდა შესაძლებლობა გაენეიტრალებინათ ის ზიანი, რომელსაც ის მიაყენებდა მათ. იულიანუსს თავისი აღზრდა უნდა გაევლო ადამიანების ერთი წრიდან მეორისკენ ხეტიალში. ამასთან მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს, რომ მას თავის სამშვინველში მიეღო ის, რაც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით მიღებული იყო თავად რომის, რომის იმპერიის მიერ როგორც ქრისტიანული განვითარება. თუმცა ეს იყო ჭრელი ნაზავი იმისა, რაც გამომუშავდა თანდათანობით კათოლიკური ეკლესიის სახით, და იმის, რაც ცხოვრობდა როგორც არიანელობა (Arianismus). მათ არ უნდოდათ ურთიერთობის გაფუჭება არც ერთთან და არც მეორესთან. სწორედ მაშინ საკმაოდ ძლიერად აწარმოებდნენ ყველანაირ ბრძოლას ძველ ელინურ-წარმართულ იდეალებთან, ძველ ღმერთებთან და ძველ მისტერიებთან. როგორც უკვე ითქვა, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ კარგ

ქრისტიანად ექციათ იულიანუსი, რომელთან მიმართებითაც შეიძლებოდა ყოფილიყო მოლოდინი, ერთხელაც ასულიყო ცეზარის ტახტზე.

თუმცა ამ სამშვინველში ვლინდებოდა თავისებური ლტოლვა. ეს სამშვინველი ვერაფრით ახერხებდა ქრისტიანობის ნამდვილ სიღრმისეულ გაგებას. ყველგან, სადაც კი ეს ბავშვი მიჰყავდათ და სადაც იყო ნარჩენები არა მარტო ძველი წარმართობისა, არამედ ასევე ძველი სულიერებისა, მას მაშინვე ეხსნებოდა გული. ის თავის თავში იწოვდა იმას, რაც მეოთხე პერიოდის კულტურაში ცხოვრობდა ძველი წმინდა გადმოცემებიდან და დადგენილებებიდან. მოხდა ისე, რომ თავისი მრავალფეროვანი მოგზაურობებისას, რომელთაც მას თავისი ბიძის, იმპერატორის მხრიდან დევნა აიძულებდა, ის მაინც დაუახლოვდა მასწავლებლებს ე.წ. ნეოპლატონური სკოლიდან და ალექსანდრიელთა მოწაფეებს, რომელთაც ძველი თქმულებები ალექსანდრიიდან მიიღეს. მხოლოდ აქ აივსო იულიანუსის გული იმით, რისკენაც მას ჰქონდა ასეთი ღრმა ლტოლვა. შემდეგ მან გაიგო ის, რაც იყო საკუთრივ საბერძნეთში სიბრძნის ამ უძველესი საგანძურიდან. ვარსკვლავური ცის ენის ცოცხალი გრძნობა, საიდუმლოებები, რომლებსაც სამყაროს სივრცეებიდან გვაუწყებენ ვარსკვლავიერი ცის დაწერილობაში, ეს ყოველივე იულიანუსმა დააკავშირა იმ ყველაფერთან, რაც მას მისცა საბერძნეთმა, რასაც მას უძველესი სამყარო სიბრძნის სახით აძლევდა. შემდეგ მისთვის დადგა დრო, როცა ერთ-ერთი უკანასკნელი იეროფანტის მიერ ის ხელდასხმულ იქნა *ელევსინის მისტერიებში**. იულიანუსში ჩვენ გვაქვს თავისებური სანახაობა, რომელიც შთაგონებულია უძველესი მისტერიებით, მთლიანად ჩაფლული იმაში, რისი მოპოვებაც შესაძლებელია, როცა სულიერი ცხოვრება, მისტერიების წყალობით, სინამდვილედ იქცევა, და სწორედ ასეთი ხელდასხმული ზის რომის იმპერატორების ტახტზე.

რაოდენ ბევრი არასწორი რამეც არ უნდა იყოს გაპარული ქრისტიანების წინააღმდეგ იმ ნაწერებში, რომლებიც შენარჩუნდა იულიანუსისგან, ჩვენ მაინც ვიცით, რა სიდიადე ცხოვრობდა იულიანუსის მსოფლმხედველობაში მაშინ, როცა იგი საუბრობდა თავისი ხელდასხმის სიდიადიდან.

თუმცა, როგორც იმ მისტერიების მოწაფე, რომელთა დაისიც უკვე დამდგარიყო, მას არ შეეძლო თავის ეპოქაში მართებულად ჩართვა; ამიტომ იგი იზიარებდა იმ ხელდასხმულის მოწამეობრიობას, რომელმაც უკვე აღარ იცის, რომელი საიდუმლოებები უნდა იყოს დაფარული და რომელი ნაუწყები. იმ გულმოდგინებიდან და ენთუზიაზმიდან, რომლებიც იულიანუსმა მოიპოვა თავისი ელინური აღზრდისა და ხელდასხმის წყალობით, დიადი გამოცდილებებიდან, რომლებიც მას შეეძლო გაევლო თავისი იეროფანტის ხელმძღვანელობით, მასში განვითარდა ნება, კვლავ აღედგინა ის, რაც მან დაინახა, როგორც ძველი სულიერების ცოცხალი ცხოვრება და მოქმედება. და აი, ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობს იგი, სხვადასხვა საშუალებით კვლავ ჩართოს ძველი ღმერთები კულტურაში, რომელშიც შემოვიდა ქრისტიანობა. იგი, როგორც მისტერიათა საიდუმლოებების გახსნაში, ისე ქრისტიანობასთან თავის მიმართებაში, ძალზე შორს წავიდა. ამიტომაც მოხდა, რომ მას ბედისწერამ უწია 363 წელს, როცა უნდა გაელაშქრა სპარსელების წინააღმდეგ. იულიანუსს დაემართა ის, რაც ყველას, ვისაც არ ჰქონდათ ამის უფლება და მაინც გამოთქვა ის, რაც არ უნდა თქმულიყო, მას უწია მისმა ბედისწერამ, და შეიძლება ისტორიულად დასაბუთდეს, რომ სპარსელების წინააღმდეგ ამ ლაშქრობაში იულიანუსი დაეცა ქრისტიანის ხელით. ვინაიდან ეს ამბავი არა მარტო სწრაფად გავრცელდა და არასდროს უარუყვია არც ერთ მნიშვნელოვან ქრისტიან მწერალს, არამედ გასაოცარი იქნებოდა, თავად სპარსელებს, თავიანთი დაუძინებელი მტრის მოკვლის შემდეგ, თავის ქება რომ არ დაეწყოთ ამის გამო. თუმცა მათ შორისაც მაშინვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ის მოკვდა ქრისტიანის ხელით. ნამდვილად რაღაც ქარიშხლის მსგავსი მოდიოდა ამ ინსპირირებული სამშვინველისგან, ენთუზიაზმისგან, რომელიც იულიანუს აპოსტატმა მიიღო თავისი ხელდასხმისას ელევსინის მისტერიებში, რომელსაც უკვე დადგომოდა თავისი დაისი. ასეთი იყო ბედისწერა მეოთხე ასწლეულის ერთ-ერთი ადამიანის, მთლიანად ადამიანი-პიროვნებისა, რომლის მსოფლიო კარმა, არსებითად, მდგომარეობდა იმაში, რომ მას პირად მრისხანებაში, პირად სიძულვილში, პირად ენთუზიაზმში უნდა გამოევლინა ის, რაც მან მემკვიდრეობით მიიღო. ეს იყო მისი ცხოვრების ძირითადი კანონი.

ოკულტურ-ისტორიული კვლევის მიზნით საინტერესოა, განვიხილოთ სწორედ ეს ცხოვრება, ეს ინდივიდუალობა მისი შემდგომი განვითარების მსვლელობაში. XVI საუკუნეში, 1546 წელს, დაიბადა შესანიშნავი ადამიანი, რომელიც მიეკუთვნოდა ჩრდილო ევროპის დიდგვაროვანთა მოდგმას, რომელშიც, ასე ვთქვათ, აკვანშივე ჩაიდო ყოველივე ის, რასაც ის შეეძლო მიეყვანა დიდ აღიარებამდე მაშინდელი ტრადიციული ცხოვრების სულისკვეთებით, მეტიც ის დაიბადა მდიდარ ოჯახში. რამდენადაც ოჯახური ტრადიციის სულისკვეთებით იგი უნდა გამხდარიყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ან რაიმე სხვა მაღალი მდგომარეობის ადამიანი, ამიტომ, ცხადია, მისი ხვედრი იყო იურიდიული პროფესია და იგი აღმზრდელმა გააგზავნა ლაიპციგის უნივერსიტეტში იურისპრუდენციის შესასწავლად. აღმზრდელი მას ტანჯავდა, ვინაიდან იმ დროს, როცა მას იურისპრუდენცია უნდა ესწავლა, იგი ჯერაც ბავშვი იყო. აღმზრდელი ბავშვს აწვალებდა დღისით, მაგრამ ღამით, როცა მას ეძინა და ეზმანებოდა იურიდიული თეორიები, ბავშვი დგებოდა ლოგინიდან და ვარსკვლავებს აკვირდებოდა თავისივე ხელით გაკეთებული ძალზე მარტივი ინსტრუმენტების

დახმარებით. ძალიან მალე მან ვარსკვლავიერ სამყაროზე მეტი იცოდა, ვიდრე რომელიმე მასწავლებელმა, ასევე არანაკლები იყო მისი ცოდნა ყველა იმდროინდელ წიგნებში არსებულ ცოდნაზე. ასე მაგ., მან მალევე შენიშნა ლომის თანავარსკვლავედში სატურნისა და იუპიტერის განსაკუთრებული მდებარეობა, შემდეგ მოიძია წიგნებში და აღმოაჩინა, რომ ეს იქ სრულიად არასწორად იყო აღნიშნული. სწორედ მაშინ გაჩნდა მასში მძაფრი სურვილი, რაც შეიძლება, ზუსტად სცოდნოდა მთელი ეს ვარსკვლავიერი დაწერილობა, მაქსიმალურად ზუსტად აღენიშნა ვარსკვლავების გზა. არაფერია გასაოცარი იმაში, რომ ამ ადამიანმა ძალიან მალე, თავისი ოჯახის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მოიპოვა უფლება გამხდარიყო ბუნებისმეტყველი და ასტრონომი და უაზროდ არ გაევლო თავისი ცხოვრება მისთვის უცხო იურიდიული წიგნებისა და დოქტრინების კითხვაში. რამდენადაც მის განკარგულებაში იყო დიდი ქონება, მან შეძლო თავისთვის აეშენებინა მთელი შენობა.

ის იყო შესანიშნავი დაწესებულება. მის ზედა სართულებზე განლაგებული იყო ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილი იყო ვარსკვლავიერი ცის საიდუმლოებებზე დაკვირვებისთვის, ხოლო სარდაფში – აპარატები, რომ ნივთიერებებზე ეწარმოებინა სხვადასხვა სახის კვლევები. ის იქ მუშაობდა და დაკავებული იყო ხან ზედა სართულებზე დაკვირვებებით, ხან კი სარდაფებში ხარშვით და გამოხარშვით, შერევითა და აწონვით. ასე მუშაობდა ეს მოაზროვნე, რათა თანდათანობით ეჩვენებინა, რომ ვარსკვლავებში ჩაწერილი კანონები, პლანეტებისა და უძრავ ვარსკვლავთა კანონები, მაკროკოსმოსური კანონები როგორ აღდგება მიკროკოსმოსურად მათემატიკურ რიცხვებში, რომლებიც ძევს ნივთიერებათა შერევისა და დაშლის საფუძველში. ის, რასაც პოულობდა, როგორც ცოცხალ მიმართებას ზეციურსა და მიწიერს შორის, ამას იყენებდა ფარმაცევტიკაში და ცდი-

ლობდა, შეექმნა წამლები, რამაც გამოიწვია მის მიმართ ღვარძლის ნაკადი, ვინაიდან იგი უანგაროდ აძლევდა ამ წამლებს ყველას, ვისი დახმარებაც სურდა. იმდროინდელი ექიმები კი, ცდილობდნენ რა, მიეღოთ მაღალი საზღაური, აღშფოთებულნი იყვნენ ამ ადამიანის გამო, რომელმაც გამოიწვია ამდენი „საშინელება“ იმით, რისი გადმოტანაც მას სურდა ზეციდან მიწაზე.

საბედნიეროდ, ერთი შემთხვევის წყალობით ეს ადამიანი სარგებლობდა დანიის მეფის ფრიდრიხ II-ის (1559-1588 წწ.) კეთილგანწყობით და სანამ იგი სარგებლობდა ამ კეთილგანწყობით, ყველაფერი კარგად მიდიოდა; მიღწეულ იქნა ნამდვილად უჩვეულო შეღწევა სამყაროსეული კანონების სულიერ ქმედებაში იმ თვალსაზრისით, როგორც მე ეს ზემოთ დავახასიათე. დიახ, ამ ადამიანმა იცოდა რაღაც სამყაროსეული კანონების სულიერ მიმდინარეობაზე. იგი აოცებდა სამყაროს ისეთი მოვლენებით, რომლებიც დღეს, ცხადია, დიდ ნდობას ვერ დაიმსახურებდნენ. ვინაიდან ერთხელ, როცა ის იყო როსტოკში, მან ვარსკვლავების მდებარეობით იწინასწარმეტყველა სულთან სულეიმანის სიკვდილი და ეს რამდენიმე დღეში მოხდა კიდეც; ამ ამბავმა სახელი *ტიხო ბრაგეს** ევროპაში ცნობილი გახადა. დღეს ტიხო ბრაგეზე, რომლის სიცოცხლეც არც ისე შორეულ წარსულშია ჩვენგან, სამყარომ სულ ცოტა რამ იცის, კერძოდ ის, რომ იგი იყო უბრალო, რომ იგი ჯერ კიდევ არ იდგა ჩვენი დროის მაღალ მატერიალისტურ თვალსაზრისზე. მართალია, მან ვარსკვლავიერი ცის რუკაზე აღნიშნა ათასობით ახალი ვარსკვლავი, გააკეთა იმ დროისთვის ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენა, – გახსნა ანთებული და კვლავ ჩამქრალი ვარსკვლავი, Nova Stella, და აღწერა ის, – მაგრამ ამ მოვლენებზე მეტწილად არაფერს ამბობენ. სამყარომ არაფერი იცის მის შესახებ იმის გარდა, რომ ის იყო ისეთი სულელი, რომ მოიფიქრა მსოფლიო სისტემა, რომელშიც დედამიწა უძრავია, ხოლო მზე პლანეტებთან ერთად მოძრაობს დედამიწის

გარშემო; დღეს სამყარომ მხოლოდ ეს იცის. ხოლო ის ფაქტი, რომ ჩვენ საქმე გვაქვს XVI საუკუნის გამოჩენილ პიროვნებასთან, რომელმაც წარმოუდგენლად ბევრი რამ გააკეთა ასტრონომიისთვის, რომელსაც დღესაც იყენებენ, რომ მის მიერ მოცემულში ჩადებულია უღრმესი სიბრძნე, ამას უბრალოდ არ აღნიშნავენ იმ მარტივი მიზეზით, რომ ზუსტი სისტემის დადგენისას ტიხო ბრაგე თავისი ღრმა ცოდნიდან ხედავდა სირთულეებს, რომელთაც ვერ ხედავდა *კოპერნიკ**. მართალია, ეს შეიძლება პარადოქსულად ჩანდეს, მაგრამ კოპერნიკის სისტემით ჯერ კიდევ არ არის ნათქვამი საბოლოო სიტყვა, ხოლო კამათი ორ სისტემას შორის კაცობრიობაში კიდევ იქნება მომავალში. ეს სხვათა შორის, ვინაიდან ეს ჩვენი დროისთვის ძალზე პარადოქსულია.

მხოლოდ მისდამი კეთილგანწყობილი მეფის მემკვიდრის დროს ტიხო ბრაგეს მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც ყველა მხრიდან გამოჩნდნენ, – მაშინდელი ექიმები, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორები, – მოახერხეს მემკვიდრის ამხედრება მის წინააღმდეგ. ასე განდევნეს ტიხო ბრაგე თავისი ქვეყნიდან და იგი იძულებული გახდა, კვლავ დაძრულიყო სამხრეთისკენ. ოდესღაც მან აუგსბურგში დააყენა თავისი პირველი დიდი პლანისფერი და მოოქრული გლობუსი, სადაც იგი მუდმივად აღნიშნავდა ახალაღმოჩენილ ვარსკვლავებს, რომელთა რიცხვმაც ბოლოს ათასს მიაღწია. შემდეგ განდეგილობაში, ეს ადამიანი გარდაიცვალა პრაღაში. დღესაც, თუ ჩვენ ავიღებთ არა გავრცელებულ სახელმძღვანელოებს, არამედ მივმართავთ წყაროებს და შევისწავლით თუნდაც *კეპლერს**, დავინახავთ, როგორ მივიდა კეპლერი თავის კანონებამდე სწორედ იმის წყალობით, რაც მანამდე გამოიმუშავა ტიხო ბრაგემ თავის საფუძვლიან ასტრონომიულ დაკვირვებებში. ეს იყო პიროვნება, რომელიც ასევე დიდი დოზით ატარებდა თავის თავში იმის ანაბეჭდს, რაც იყო დიადი და მნიშვნელოვანი წინარე ეპოქის სიბრძნეში, და, რომელსაც ჯერ კიდევ არ

შეეძლო თავისი თავის პოვნა იმაში, რამაც მალევე მოიპოვა საყოველთაო აღიარება მატერიალისტური მსოფლმხედველობის სახით. ხედავთ, რამდენად თავისებურია ტიხო ბრაგეს ბედისწერა.

ახლა დაფიქრდით, თუ თქვენ შეადარებთ ამ ორი პიროვნების ბედისწერას, რამდენად ღრმად ყურადსაღებია, როცა აკაშა-ქრონიკიდან გავიგებთ, რომ იულიანუს აპოსტატის ინდივიდუალობა კვლავ ამოტივტივდება ტიხო ბრაგეში, რომ ტიხო ბრაგე არის იულიანუს აპოსტატის რეინკარნაცია. ასე გასაოცრად, ასე პარადოქსულად მოქმედებს რეინკარნაციის კანონი, როცა ცალკეული ადამიანის კარმული კავშირები მოდიფიცირდება მსოფლიო ისტორიული კარმით, როცა თავად მსოფლიო ძალები მოიცავენ ადამიანურ ინდივიდუალობას, რათა გამოიყენონ იგი, როგორც საკუთარი იარაღი.

მართლაც, მე მსურს, მკაფიოდ მივანიშნო, რომ ისეთი მოვლენები, როგორიცაა ურთიერთკავშირი იულიანუსსა და ტიხო ბრაგეს შორის, მე აღვწერე არა იმის გამო, რომ ხვალ ისინი გაჟღერდეს ყველა სახურავიდან და განიხილონ ყველა მაგიდასთან, არამედ იმისთვის, რომ ოკულტური სიბრძნის მოძღვრების სახით ისინი ჩაიღვაროს აქ ზოგიერთ სამშვინველში და ჩვენ სულ უფრო მეტად და მეტად გავიგოთ, რომ ადამიანის გრძნობად-ფიზიკური ბუნების საფუძველში ჭეშმარიტად ძევს ზეგრძნობადი.

მეხუთე ლექცია

შტუტგარტი, 1910 წლის 31 დეკემბერი

დაკვირვება ისეთი ინდივიდუალობების განვითარებაზე, რომლებსაც ჩვენ გუშინ თვალი მივადევნეთ მათ ორ ინკარნაციაში, საშუალებას გვაძლევს რამდენადმე ჩავუღრმავდეთ მსოფლიო სულების იდუმალ ცხოვრებასა და მოღვაწეობას კაცობრიობის განვითარებაში, კაცობრიობის ისტორიაში. ვინაიდან, თუ ჩვენ მზერას მივაპყრობთ იმ სურათ-ხატებს, რომლებიც თქვენი სამშვინველის წინაშე წარმოვადგინე გუშინ, – იულიანუსის სურათ-ხატებს და კაცობრიობის განვითარების მსვლელობაში ამავე ინდივიდუალობის შემდგომ გამოვლენას უდიდესი ასტრონომის – ტიხო ბრაგეს პიროვნების სახით, – მაშინ განსაკუთრებით თვალში საცემია ერთი მოვლენა; სწორედ ასეთ პიროვნებებში, რომლებიც რაღაცას ნიშნავენ ისტორიაში, ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ, რომ მათი ინდივიდუალობის თავისებურება მოქმედებს ერთი ინკარნაციიდან მეორეში, მაგრამ რეინკარნაციების ამ წმინდა მსვლელობაში, მათი მოდიფიცირებით, თავს იჩენს ის, რისი განხორციელებაც სურთ ისტორიაში ზენა იერარქიათა მაღალ სულიერ ინდივიდუალობებს, რისთვისაც ისინი იყენებენ მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, როგორც საკუთარ იარაღს. ვინაიდან ჩვენ საკუთარ თავს უნდა ვუთხრათ, რომ იულიანუს აპოსტატის სახით წარმოჩენილ ინდივიდუალობას დაეკისრა ამოცანა, ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში ბიძგი მიეცა იმისთვის, რომ საკაცობრიო განვითარების შედარებით ადრინდელ ეპოქათა სიბრძნის სულიერი საგანძური მძლავრად გამოვლენილიყო უკანასკნელად და ასეთი სახით დაეცვათ ბედისწერისგან, რომელიც შეიძლებოდა, მათ იოლად დასტყდომოდათ თავს, თუ მარტოოდენ ამომავალ ქრისტიანობას მიეცემოდა შესაძლებლობა ემართა სიბრძნის ეს საგანძურები. მეორე მხრივ, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ინდივიდუალობას, რომელიც განსხეულებული იყო პიროვნებაში, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო ხელდასხმული ელევსინის მისტერიებში, თავისი ახალი ინკარნაციისას ჰქონდა წინაპირობა იმისა, რომ მიეცა თავის თავზე ზემოქმედების შესაძლებლობა ეპოქის ძალისა და ეპოქაში მოქმედ არსთა უსაზღვრო სისავსისთვის, როგორც ეს უნდა მომხდარიყო XVI საუკუნეში. ჩვენთვის ნამდვილად სავსებით გასაგები იქნება მთელი ის სიძლიერე და სიდიადე, რაც გუშინ ჩვენ წინაშე წარმოჩნდა ტიხო ბრაგეს პიროვნებაში და რისი ახსნაც შეიძლება იმით, რომ ტიხო ბრაგეში შეიძლებოდა გამოვლენილიყო წარმოუდგენელი მაკროკოსმოსური ცოდნა მისი კავშირით მიკროკოსმოსთან, ვინაიდან თავის წინარე ინკარნაციაში ის იყო სწორედ ხელდასხმული. ოკულტური ისტორიის მსგავსი დაკვირვების წყალობით ჩვენ ვამჩნევთ, რომ ისტორიას ქმნიან, ცხადია, უშუალოდ თავად ადამიანები, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისტორია შეიძლება, გასაგები გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვპოულობთ კავშირს ცალკეულ, ისტორიაში გამოვლენილ და გარდაცვლილ პიროვნებებსა და იმ ინდივიდუალურ ძაფებს შორის, რომლებიც, ასე ვთქვათ, გაივლიან კაცობრიობის ყველა განვითარებას და რეინკარნირდებიან პიროვნებებში. თუმცა ჩვენ ამას ყოველთვის უნდა დავუკავშიროთ ასევე ის, რაც იჭრება ზეფიზიკური სამყაროებიდან სხვა იერარქიების ძალთა წყალობით, თუ გვსურს კაცობრიობის განვითარება გავიგოთ ჩვენს დედამიწაზე მისი ისტორიის მსვლელობისას.

ჩვენი განხილვის მსვლელობის დროს აღმოჩნდა, რომ ატლანტიდის კატასტროფის შემდგომ ყველა კულტურულ პერიოდში ადამიანების მეშვეობით მოქმედებდნენ გარკვეული, მათ ზემოთ მდგომი ზენა იერარქიების ძალნი. ჩვენ ვთქვით, რომ ეს განსაკუთრე-

ბით ძლიერად ვლინდება ძველინდურ სამშვინველში, რომელიც წარმოადგენს, ასე ვთქვათ, მხოლოდ მოქმედების არენას უფრო მაღალი იერარქიის არსებისთვის. ძველი სპარსელის სამშვინველში ეს რამდენადმე უკან იხევს. შემდეგ ჩვენ ვნახეთ, რომ ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქაში სამშვინველს უკვე ამოცანა ჰქონდა, რომ ჩამოეყვანა ზეპიროვნული პიროვნულში, სულიერ-ფიზიკურ პლანზე, და ეს განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდება ჩვენ წინაშე ბაბილონელთა სამშვინველების განხილვისას. შესაბამისად, პიროვნება იძენს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას, რაც უფრო ვუახლოვდებით ბერძნულ ეპოქას, სადაც ჩვენ გვაქვს „მე“-ს მოქმედება „მე“-ში, სრული გამოვლენა პიროვნებისა ძლიერ და ბრწყინვალე ფიგურებში, რომლებიც ჩნდებიან ჩვენ წინაშე ამ ბერძნულ ეპოქაში. ბერძნებში და მოგვიანებით რომაელებთან ყველაზე მეტად უკან იხევს ის, რაც ინდივიდუალობისთვის შეიძლებოდა მიეცათ მხოლოდ ზენა სამყაროებიდან; სამაგიეროდ წინა პლანზე გამოდის ის, რასაც ადამიანი თავის პიროვნებაში ასახავს, როგორც თავის საკუთარ ადამიანურს.

აქ შეიძლება დაიბადოს კითხვა, რომლის პასუხიც ჩვენთვის უფრო ღრმად გასაგებს გახდის ისტორიის მთელ ოკულტურ მსვლელობას, – რომ ვინ არიან, არსებითად, ის სულები, რომლებიც მოქმედებდნენ ინდოელების, ძველი სპარსელების, ბაბილონელების, ქალდეველებისა და ეგვიპტელების მეშვეობით, რომელ იერარქიას მიეკუთვნებიან ისინი? იმ კვლევების საფუძველზე, რომლებიც მისაწვდომია ჩვენთვის ოკულტური წყაროების წყალობით, ჩვენ შეგვიძლია, გარკვეულწილად ვთქვათ, რომ ზენა იერარქიის ინდივიდუალობები ყველა ხსენებულ პერიოდში იყენებდნენ ადამიანებს, როგორც იარაღს, რათა მათი მეშვეობით ემოქმედათ. ძველი ინდოელების სამშვინველში, ანუ იმ სამშვინველში, რომელიც კულტურულ-შემოქმედებითი იყო უშუალოდ ატლანტიდის კატასტროფის შემდეგ, თავიანთ ძალებს ღვრიდნენ ის არსებები, რომელთაც ჩვენ ანგელოზებს ვუწოდებთ. ასე რომ, გარკვეული მიმართებით ჩვენ მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ, როცა ლაპარაკობდა ძველი ინდუსი, როცა ის გამოხატავდა იმას, რაც მის სამშვინველს ამოძრავებდა, ამ შემთხვევაში, თითქოს მისი სამშვინველის მეშვეობით ლაპარაკობდა არა მისი საკუთარი „მე“-არსი უშუალოდ, არამედ ანგელოზი. რამდენადაც ანგელოზი იმყოფება მხოლოდ ერთი საფეხურით მაღლა ადამიანზე, ამიტომ ის ყველა არსებაზე მეტად ენათესავება ადამიანს ზენა იერარქიებიდან და ამიტომაც შეეძლო მას, ასე ვთქვათ, ყველაზე მეტად გამოეხატა თავისი თავი თავის საკუთარ თვითმყოფადობაში. ადამიანისთვის უცხო ყველაზე მეტად ვლინდება სწორედ გამოხატვის ინდურ მანერაში, იმიტომ, რომ სწორედ ადამიანს ენათესავება ყველაზე მეტად ანგელოზი და ამიტომ ყველაზე მკაფიოდ შეუძლია გამოთქვას როგორც ანგელოზმა.

ეს უკვე ნაკლებად შესაძლებელი იყო ზენა იერარქიის იმ არსებებისთვის, რომლებიც მეტყველებდნენ ძველი სპარსელების მეშვეობით. ვინაიდან ესენი იყვნენ მომდევნო, უფრო მაღალი საფეხურის არსებები, – მთავარანგელოზები, რომლებიც მეტყველებდნენ ძველსპარსელი ხალხის სამშვინველის მეშვეობით. რადგან ისინი ადამიანზე ორი საფეხურით ზევით დგანან, ამიტომ ის, რისი გამოთქმაც მათ შეუძლიათ ადამიანის, როგორც იარაღის, მეშვეობით, ბევრად უცხოა მათი საკუთარი არსებისთვის, ვიდრე ის, რისი გამოხატვაც შეეძლოთ ანგელოზებს ინდოელების მეშვეობით. ამდენად, ყველაფერი ეტაპობრივად, საფეხურიდან საფეხურზე, ხდება ბევრად უფრო ადამიანური. მიუხედავად ამისა ზენა იერარქიებიდან ასეთი გადმოღვრა მუდმივად თვალსაჩინოა. ბაბილონელების, ქალდეველებისა და ეგვიპტელი ხალხების სამშვინ-

ველთა მეშვეობით მეტყველებდნენ პიროვნების სულები. ამიტომაც აქ ყველაზე მეტად ვლინდება პიროვნება, ხოლო ის, რისი მოცემაც ადამიანს ჯერ კიდევ შეუძლია ზევიდან გადმოღვრილისაგან, გაცილებით უცხოა თავისი წარმოშობით და გაცილებით მეტად ხდება ადამიანურ-პიროვნული. ამდენად, მივდივართ რა თვით ბაბილონურ-ეგვიპტურ პერიოდამდე, ჩვენ გვაქვს ანგელოზების, მთავარანგელოზებისა და პიროვნების სულების განგრძობადი გამოცხადება.

ჩვენ შეგვიძლია, ზუსტად დავაკვირდეთ, განსაკუთრებით სპარსელებს, როგორ ჰქონდათ მათ ცნობიერება იმისა, რომ უმთავრესი სულები მთავარანგელოზთა იერარქიიდან იქ მოქმედებდნენ იმაზე, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ ადამიანური ორგანიზმი, მთლიანად ორგანიზმი. ცხადია, ჩვენ არ უნდა განვიხილოთ საშუალო სპარსელი ადამიანი, თუ გვსურს დავაკვირდეთ როგორ იჭრება ზენა იერარქიებიდან გადმოღვრილი. ის იღვრებოდა ჩვეულებრივ სპარსელზეც, მაგრამ თუ როგორ ხდებოდა ეს, ამის არსში წვდომა შეეძლოთ მხოლოდ მათ, რომლებიც იყვნენ ძველსპარსული კულტურის ინსპირატორის, თავად *ზარატუსტრას** უშუალო მოწაფეები. ეს მათ ნამდვილად იცოდნენ; თქვენ, ალბათ, გაგახსენდებათ ზარატუსტრას მოძღვრების მრავალრიცხოვანი გადმოცემიდან, რომლებიც მე თავად გაუწყეთ, ან ასევე იმისგან, რაც გადმოგვეცა ეზოთერულად, რომ ძველი სპარსელების თვალსაზრისით, წინარე ღვთაება, ზერვან აკარანა, ვლინდება ორი საპირისპირო ძალის – ორმუზდისა და არიმანის მეშვეობით. ძველ სპარსელებს მკაფიოდ ესმოდათ, რომ ყველაფერი, რაც ადამიანში ვლინდება, მომდინარეობს მაკროკოსმოსიდან და რომ მაკროკოსმოსის მოვლენებს, კერძოდ ვარსკვლავების მდებარეობას და მოძრაობას იდუმალი კავშირი აქვს იმასთან, რაც ძევს მიკროკოსმოსში, ადამიანში. ამიტომ, ზარატუსტრას მოწაფეები ხედავდნენ ზერვან აკარანას სურათ-ხატს, გარეგნულ გამოხატულებას იმისა, რაც მარადიულად ცოცხლობს და ქმნის როგორც წინარე არსება ყველა დროის გავლით, ზოდიაქოში; სიტყვა ზოდიაქოც ჯერ კიდევ გვახსენებს ზერვან აკარანას. ამდენად, ამას ისინი ხედავდნენ ზოდიაქოში. ზარატუსტრას მოწაფეები ხედავდნენ, როგორ მოდის ზოდიაქოდან თორმეტი ძალა თორმეტი მიმართულებით, რომელთაგანაც ნახევარი მიმართულია ნათელი მხარისკენ, თითქოსდა ზოდიაქოს სინათლის მხარისკენ, რომელსაც მზე დღისით გაივლის; მეორე ნახევარი კი მიმართულია ზოდიაქოს ბნელი მხარისკენ, არიმანისკენ, როგორც ისინი ამბობდნენ. ამდენად, სამყაროს თორმეტი მხრიდან მომდინარესა და ადამიანურ ორგანიზაციაში შემოჭრილს სპარსელები წარმოიდგენდნენ მაკროკოსმოსურ ძალებად. ეს ძალები იღვრებოდა ადამიანურ ორგანიზაციაში, მოქმედებდა და მუშაობდა მასში ისე, რომ ისინი სახეზე იყო და ადამიანში იმყოფებოდნენ. ამიტომ ის, რაც ვითარდება თორმეტის მეშვეობით, ადამიანური გონებისთვის მიკროკოსმოსურადაც უნდა გამოვლინდეს, ანუ ეს უნდა გამოიხატოს *ამშასპანდების** (მთავარანგელოზების) თორმეტეულობის მეშვეობით მიკროკოსმოსშიც, კერძოდ, როგორც გამოვლენა ამ თორმეტი სულიერი მაკროკოსმოსური არსებისა, რომლებიც ადრე უკვე მოქმედებდნენ და რომლებმაც მოამზადეს ის, რაც საბოლოოდ დასრულდა სპარსული კულტურის პერიოდში.

თანამედროვე ფიზიოლოგიას შეუძლია იცოდეს, სად არის თორმეტი ამშასპანდის თორმეტი მიკროკოსმოსური ანასახი. ეს არის თავის თორმეტი ნერვი, რომლებიც გამოდიან თავიდან; ისინი სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც თორმეტი მაკროკოსმოსური ძალის გამოსხივების მეშვეობით წარმოიქმნა ადამიანში და მასში მატერიალურად გამყარდა. ზოდიაქოს თორმეტი მხრიდან მოქმედებდა თორმეტი მთავარანგელოზური არსება და ასე წარმოედგინათ ეს ძველ სპარსელებს.

თანდათანობით რომ წარმოექმნათ ის, რასაც დღეს წარმოადგენს ჩვენი გონება, ისინი მოქმედებდნენ თორმეტ სხივში ადამიანურ თავზე. ცხადია, ძველსპარსულ ეპოქაში ისინი ადამიანზე პირველად არ მოქმედებდნენ, არამედ უკვე საბოლოოდ, ასე რომ ჩვენ გვაქვს თორმეტი კოსმოსური გამოსხივება, თორმეტი მთავარანგელოზური გამოსხივება, რომლებიც შემდეგ გამკვრივდა ადამიანის თავში, და გამოვლინდა თავის ტვინის თორმეტი ნერვის სახით, თითქოს ისინი იქ შიგნით მატერიალურად გამაგრდა. ვინაიდან უფრო გვიანდელ პერიოდებში ყოველთვის იცოდნენ ისიც, რაც ადრე იცოდნენ, ამიტომ სპარსელებს ასევე შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ ინდურ კულტურაში მოქმედებდნენ სულები, რომლებიც მთავარანგელოზებზე დაბლა დგანან. უახლოეს საფეხურს ამშასპანდებზე დაბლა, მთავარანგელოზებზე დაბლა, სპარსელები უწოდებდნენ *იზადებს** და მათ შორის განასხვავებდნენ ოცდარვიდან ოცდათერთმეტამდე იზადას. ისინი განაპირობებენ ნაკლებად მაღალ მოღვაწეობას, სულიერ მოღვაწეობას ადამიანებში. ისინი აგზავნიან თავიანთ სხივებს და შეესაბამებიან ადამიანის ზურგის ტვინის 28 ან 30-31 ნერვს. ამდენად, ჩვენი თანამედროვე ფიზიოლოგია თქვენ გაქვთ მაკროკოსმოსურად გადატანილი სულიერში, სპირიტუალურში – ზოროასტრიზმის თორმეტ ამშასპანდში და მომდევნო უახლოეს დაბალ იერარქიაში, 28-31 იზადაში.

კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში ხომ ყველაფერი ნამდვილად ასე ხდება, რომ მოვლენები, რაც თავდაპირველად ვლინდებოდა სულიერად, ჩვენ წინაშე კვლავ წარმოჩნდება ანატომიური კვეთისას, ვინაიდან ის მოვლენები, რომლებიც ადრე სულიერი ნათელმხილველური ჭვრეტისთვის მისაწვდომი იყო, შედარებით გვიანდელ ეპოქებში მატერიალისტურად ვლინდება. აქ ნამდვილად ჩანს გასაოცარი ხიდი სპირიტუალურ ზოროასტრიზმსა და ჩვენს თანამედროვე ფიზიოლოგიას შორის მისი მატერიალიზმით. ცხადია, კაცობრიობის უდიდესი ნაწილის ხვედრი იქნება ასეთ იდეებს, ამშასპანდებისა და იზადების კავშირს ჩვენს ნერვებთან, შეხედონ როგორც სიგიჟეს, და ეს განსაკუთრებით სიგიჟე იქნება მათთვის, ვინც დღეს სწავლობს მატერიალისტურ ფიზიოლოგიას. თუმცა ჩვენ კიდევ გვაქვს დრო, ვინაიდან სპარსული პერიოდი სრულად გამეორდება მხოლოდ მეექვსე პერიოდში, რომელიც მოყვება ჩვენს პერიოდს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იარსებებს ძირითადი პირობები იმისათვის, რომ მსგავსი მოვლენები გასაგები გახდეს კაცობრიობის უდიდესი ნაწილისთვის. ამიტომაც უნდა დავკმაყოფილდეთ ჩვენ იმით, რომ დღეს შეგვიძლია სულისმეცნიერული მსოფლმხედველობის სფეროში მივუთითოთ ამგვარ მოვლენებზე. უნდა ითქვას, რომ ასეთი მითითებების გაკეთება დღესაც საჭიროა, თუ ვისაუბრებთ სულისმეცნიერულ მსოფლმხედველობაზე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და თუკი მხოლოდ ზოგადი ფრაზებით არ მივანიშნებთ, რომ ადამიანი არის მაკროკოსმოსის მიკროკოსმოსური გამეორება.

სხვა ქვეყნებში ასევე ცნობილი იყო, რომ ის, რაც ადამიანში გამოიხატება, შემოედინება გარედან. ამიტომ, მაგ., გარკვეულ დროებში გერმანულ მითოლოგიაში საუბარი იყო თორმეტ ნაკადზე, რომლებიც მიედინება ჰიფლჰაიმიდან მუსპელჰაიმში. თორმეტ ნაკადს ფიზიკურ-მატერიალური თვალსაზრისით არ გულისხმობდნენ. ეს არის ის, რაც, როგორც ნათელმხილველურად განჭვრეტილი გარკვეული ანარეკლი მაკროკოსმოსისა, იღვრება ადამიანურ მიკროკოსმოსში, არსებაში, რომელიც ცხოვრობს დედამიწაზე და რომელიც მაკროკოსმოსური ძალების მეშვეობით უნდა განვითარდეს. ცხადია, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ დღეს ეს ნაკადები ხილულია, არსებითად, როგორც ასტრალური ნაკადები, მაშინ,

როცა ატლანტიდის პერიოდში, რომელიც უშუალოდ მოსდევდა ლემურიის პერიოდს, და თავად ლემურიაშიც ისინი შეიძლებოდა ხილული ყოფილიყო როგორც ეთერული ნაკადები. ამიტომ დედამიწის მონათესავე ერთ-ერთ პლანეტას, ოღონდ განვითარების უფრო ადრინდელ სტადიაზე მყოფს, რაღაც ამის მსგავსი უნდა გამოევლინა. როგორც შორიდან შეიძლება ხშირად დავაკვირდეთ საგნებს, რომლებიც ჩვენთან ახლოსაა, მაგრამ განცალკევებულობის გამო უსხლტება ჩვენს აღქმას, ასევე პლანეტაზე, რომელიც ჰგავს დედამიწას, საკმარისად ჩამორჩება რა მას და გადის ჩვენი დედამიწის განვითარების ასეთ ადრინდელ საფეხურებს, ჯერ კიდევ ახლაც შეიძლება ამ თორმეტი ნაკადის დაკვირვება. ცხადია, მათ ექნებათ რამდენადმე სხვა სახე, ვიდრე ოდესღაც ჰქონდათ დედამიწაზე და აშკარაა, რომ აუცილებელია მანძილი, ვინაიდან თუ თქვენ, მაგ., იმყოფებით ქინქლების გუნდში, მაშინ ეს გუნდიც არ მოგეჩვენებათ ღრუბლის მსგავსი ელფერით; თქვენ მას აღიქვამთ მხოლოდ მაშინ, თუ შორიდან დაინახავთ. რაც ახლა გითხარით, ეს უდევს საფუძვლად დაკვირვებებს, რომლებიც მეტყველებენ მარსის არხებზე. იმას, რასაც აღწერენ როგორც მარსის არხებს, სინამდვილეში საფუძვლად უდევს ჩემ მიერ ახლახან აღწერილი; აქ საქმე აქვთ ძალთა გარკვეულ ნაკადებთან, რომლებიც შეესაბამება დედამიწის უფრო ადრინდელ მდგომარეობებს და რომლებიც ძველ გერმანულ მითში აღწერილია როგორც ნაკადები, რომლებიც ჰიფლჰაიმიდან მიედინება მუსპელჰაიმში. ცხადია, ეს დღევანდელი სასკოლო ფიზიოლოგიისა და სასკოლო ასტრონომიისთვის საშინელი ერესია, მაგრამ უახლოესი ათასწლეულების მსვლელობისას მათ მოუწევთ მრავალი შესწორების შეტანა.

ეს ყველაფერი მიგვანიშნებს, სიბრძნის როგორ სიღრმეებში ვიხედებით ჩვენ ბუნდოვანი წინათ-

გრძნობით, როცა გამოვთქვამთ მარტივ დებულებას: ადამიანური მიკროკოსმოსი არის გარკვეული სახის ანარეკლი მაკროკოსმოსისა. ასეთი სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ეს ფრაზა უშუალოდ ეხება უდიდეს სიბრძნეს, ვინაიდან შეიძლება ნამდვილად ტრივიალური იყოს ფრაზა „მაკროკოსმოსთან მიმართებით ადამიანი არის მიკროკოსმოსი“, მაგრამ თუ სწორად გავიგებთ, ისინი წარმოადგენენ ჩვენთვის მილიონობით ცალკეული კონკრეტული ჭეშმარიტების ერთობლიობას. ამის ხაზგასმა აუცილებელია, რათა ვაჩვენოთ, როგორი იყო ძველსპარსული კულტურის ადამიანთა სამშვინველების კონფიგურაცია. იმ დროს განსაკუთრებით მოწინავე პიროვნებებს ჰქონდათ ადამიანის მაკროკოსმოსთან ამ კავშირის ცოცხალი შეგრძნება.

მას შემდეგ, რაც ბაბილონურ-ქალდეურ კულტურამდე, ამ კულტურის ჩათვლით, მოქმედებდნენ ის არსებები, რომლებიც ჩვენ რიგითობის მიხედვით აღვნიშნეთ როგორც ანგელოზები, მთავარანგელოზები და პიროვნების სულები, დადგა ის მნიშვნელოვანი ბერძნულ-ლათინური კულტურა, რომელმაც, როგორც ასეთი, განსაკუთრებით გამოხატა პიროვნება, „მე“-ს მოქმედება „მე“-ში. აქ გამოვლინდნენ გარკვეული არსებები, რომლებიც პიროვნების სულებზე ერთი საფეხურით მაღლა დგანან; გამოვლინდნენ ფორმის სულები. თუმცა ფორმის სულების გამოცხადება სხვაგვარად ხორციელდებოდა, ვიდრე პიროვნების სულების, მთავარანგელოზებისა და ანგელოზების გამოცხადება. ატლანტიდის შემდგომ ჩვენს ეპოქაში როგორ ავლენენ თავის თავს ანგელოზები, მთავარანგელოზები და პიროვნების სულები? ისინი მოქმედებდნენ ადამიანის შინაგანში: ანგელოზები ინსპირირებდნენ ინდოელს, მთავარანგელოზები ასევე მსგავსი სახით მოქმედებდნენ ძველ სპარსელზე, მაგრამ ისე, რომ „ადამიანური“ უკვე ბევრად მეტ მნიშვნელობას იძენდა; პი-

როვნების სული კი, თითქოსდა, იდგა ეგვიპტელების სამშვინველის უკან, როცა მას უბიძგებდა სულიერი გამოეტანა ფიზიკურ პლანზე. სხვაგვარად ავლენენ თავის თავს პიროვნების სულები. ისინი ავლენენ თავს, როცა მოქმედებენ ქვევიდან ზევით, როგორც გაცილებით მძლავრი სულები, რომლებსაც არა აქვთ იმის საჭიროება, რომ ადამიანი გამოიყენონ მხოლოდ როგორც იარაღი; ისინი ვლინდებიან ჩვენ გარშემო არსებული ბუნების სამეფოებში – მინერალური, მცენარეული, ცხოველური სამეფოების არსებათა კონფიგურაციაში. თუ ადამიანს სურს ფორმის სულების გაგება მათი გამოვლინებით, მან თავისი მზერა უნდა მიაპყროს გარემოს, უნდა დააკვირდეს ბუნებას, უნდა ჩასწვდეს იმას, რაც შეიტანეს ბუნებაში ფორმის სულებმა. ამიტომ ბერძნულ ეპოქაში, როცა უპირატესად თავს ავლენდნენ ფორმის სულები, ადამიანი არ იღებდა პირდაპირ ზემოქმედებას, რომელიც იმოქმედებდა როგორც ინსპირაცია. ფორმის სულების ზემოქმედება ხორციელდება უფრო მეტად ისე, რომ გრძნობადი სამყაროს გარეგნული მხარე იზიდავს ადამიანს, რომ მისი გრძნობები სიხარულით, აღფრთოვანებით ეპყრობა იმას, რაც განფენილია გარშემო, რომ მას სურს, იდეალური იერი მისცეს თავის გარშემო განფენილს. ამდენად, გარედან გვაჯადოებენ ფორმის სულები, რომელთაგანაც ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი არის ის, რომელიც დგას იაჰვეს ანუ იეღოვას მიღმა. მართალია, ფორმის სულები რიცხვით შვიდია და ისინი მოქმედებენ ბუნების სხვადასხვა სამეფოში, მაგრამ თანამედროვე ადამიანს აქვს უნარი იგრძნოს, არსებითად, მხოლოდ ერთი მათგანი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ იაჰვეს. ჩვენ თუ გავიაზრებთ ამ ყველაფერს, მაშინ ჩვენთვის გასაგები გახდება, რომ მეოთხე პერიოდში ადამიანი, არსებითად, მეტნაკლებად მიტოვებულია ამ წარმმართველი ძალების – ანგელოზების, მთავარანგელოზებისა და პიროვნების სულების მიერ და რომ, იგი თავის მზერას მთლიანად მიაპყრობს გარე სამყაროზე, ფიზიკურ ჰორიზონტზე, სადაც ვლინდებიან ფორმის სულები.



ნახ. 2

ისინი, არსებითად, უკვე ადრეც იმყოფებოდნენ ამ ფიზიკური სამყაროს მიღმა, ოღონდ, ასე ვთქვათ, თავისი თავის შეცნობის საშუალებას არ აძლევდნენ ადამიანურ შემეცნებას. ეპოქაში, რომელიც უშუალოდ მოსდევდა ატლანტიდის კატასტროფას, მოქმედებდნენ ფორმის სულები. ისინი მოქმედებდნენ ბუნების სამეფოებში, ამინდის კანონებში, მცენარეების, ცხოველებისა და მინერალების კანონებში. ისინი უფრო ძველ დროებშიც მოქმედებდნენ. თუმცა ადამიანი აღარ მიაპყრობდა თავის მზერას იმაზე, რაც მის წინაშე ჩნდებოდა გარეგნულად, ვინაიდან შინაგანად ის ინსპირირებული იყო სხვების მიერ. იგი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროსაგან. საიდან მოვიდა ეს?

როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ სხვა იერარქიები, რომლებიც როგორც ვიცით ფორმის სულებზე დაბლა დგანან და ფორმის სულების უკვე არსებული მოქმედებების მიუხედავად, ასე ძლიერ სარგებლობენ თავისი ზეგავლენით? ეს დაკავშირებულია მთელი ჩვენი დედამიწის სრულიად განსაზღვრულ პერიოდულ განვითარებასთან. ეს მოვლენები ნათელმხილველური მზერისთვის, რომელიც აკაშა-ქრონიკის დახმარებით წარსულში იხედება, სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ისინი გამოიყურება სპეკულაციებში, რომლებიც იგება თანამედროვე გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე. ჩვენ თუ გადავალთ უკან დროში, რომელიც ძევს პიროვნების სულების მოღვაწეობამდე ქალდეის პერიოდში, მთავარანგელოზების მოღვაწეობამდე – სპარსეთის და ანგელოზების მოღვაწეობამდე ძველინდურ პერიოდში, მაშინ ჩვენ მივალთ ჩვენი დედამიწის ისტორიაში იმ პერიოდთან, როცა ყველაზე საშინლად ბობოქრობდა ატლანტიდის კატასტროფა. თანდათანობით ჩვენ მთლიანად ჩავუღრმავდებით ატლანტიდის კატასტროფას. ეს ის დროა, რომელზეც მიუთითებს სხვადასხვა ხალხის თქმულებები წარღვნაზე; მაშინ ყველაფერი სინამდვილეში სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე ამას აღწერენ თანამედროვე გეოლოგიური ჰიპოთეზები. კიდევ უფრო ადრინდელ, ატლანტიდის ეპოქაში ყველაფერს ასევე სრულიად სხვა სახე ჰქონდა. ადამიანი იყო ცვალებადი არსება. ამ კატასტროფამდე დედამიწის მთელი იერი სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე ეს დღეს წარმოუდგენიათ ადამიანებს. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ სულიერი იერარქიები მაშინ დედამიწაზე კიდევ უფრო მეტად ზემოქმედებდნენ.

ჩვენ გვაქვს თითქოსდა ზღვარი ატლანტიდის ეპოქაში უძველეს ზემოქმედებებსა და ატლანტიდის შემდგომ ეპოქაში ზემოქმედებებს შორის, ზღვარი, რომელიც უჭირავს ატლანტიდის კატასტროფას, იმ პრო-

ცესებს, რომლებმაც მთლიანად შეცვალეს ჩვენი დედამიწის იერსახე წყლისა და ხმელეთის განაწილების ასპექტში. ასეთი ეპოქები და მათში მიმდინარე ცვლილებები უკავშირდება კონსტელაციებში უდიდეს ცვლილებებს, მზესთან დაკავშირებული ციური სხეულების მდებარეობასა და მოძრაობას. მართლაც, მაკროკოსმოსური სივრციდან მოემართება ის, რაც თამაშდება დედამიწაზე ასეთი პერიოდების სახით. თუ მე დავიწყებ იმის აღწერას, ერთმანეთის მომდევნო ეს პერიოდები როგორ წარიმართებიან, როგორ იყოფიან ბუნიობის წერტილის გადაადგილებისას, ამას კი ახლა ასე უწოდებენ ასტრონომიაში, მაშინ ეს ძალზე შორს წაგვიყვანს. ეს დაკავშირებულია დედამიწის ღერძის მდებარეობასთან ეკლიპტიკის ღერძთან მიმართებით, ეს დაკავშირებულია ჩვენი მეზობელი ციური სხეულების კონსტელაციაში უდიდეს პროცესებთან, და მართლაც, არის სრულიად განსაზღვრული ეპოქები, როცა, დედამიწის ღერძის განსაკუთრებული მდგომარეობის შედეგად მისი სისტემის სხვა სხეულებთან მიმართებით, არსებობს სითბოსა და სიცივის სრულიად სხვაგვარი განაწილება ჩვენს დედამიწაზე, ვიდრე ჩვეულებრივ. მეზობელ მნათობებთან მიმართებით დედამიწის ღერძის ამ მდებარეობის წყალობით იცვლება კლიმატური პირობები. მართლაც, 25 000 წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ჩვენი დედამიწის ღერძი შემოხაზავს რაღაც კონუსს ან აკეთებს წრიულ მოძრაობას, ასე რომ, გარკვეულ მდგომარეობებს, რომელთაც ჩვენი დედამიწა განიცდის გარკვეულ დროში, ის კვლავ გაიმეორებს 25-26 ათასი წლის შემდეგ სხვა ფორმაში, კერძოდ, უფრო მაღალ საფეხურზე. მაგრამ დროის ამ დიდ შუალედებს შორის ყოველთვის ძევს უფრო მცირე შუალედები. ეს ყველაფერი განუწყვეტლივ სულაც არ ხორციელდება, არამედ ისე, რომ გარკვეული წლები წარმოქმნიან საკვანძო პუნქტებს, ღრმა გარდატეხას, როცა ხდება

მნიშვნელოვანი მოვლენები. აქ ჩვენ შეგვიძლია, უპირველს ყოვლისა, მივუთითოთ, – რამდენადაც ეს, არსებითად, მნიშვნელოვანია ჩვენი მიწიერი კაცობრიობის მთელი ისტორიული განვითარებისთვის, – რომ VII ათასწლეულში ქრისტემდე დადგა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასტრონომიული მომენტი. მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ის, მეზობელ ციურ მნათობებთან მიმართებით დედამიწის ღერძის მდებარეობის წყალობით, გამოიხატა დედამიწაზე კლიმატური პირობების ისეთი განაწილებით, რომ სწორედ მაშინ, ექვსი, შვიდი, რვა ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოხდა ატლანტიდის კატასტროფა – ის ხომ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. აქ ჩვენ შეგვიძლია აქცენტირება მხოლოდ იმაზე, რაც ზუსტია და არა დროის იმ ფანტასტიკურ შუალედებზე, რომლებსაც მიუთითებენ, ვინაიდან ეს პერიოდი წარსულში გაცილებით ახლოს დგას ჩვენთან, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ. ამ პერიოდში მაკროკოსმოსური მიმართულებები ფიზიკურ სამყაროზე მოქმედებდნენ ისე, რომ ეს მოქმედება ჩვენს დედამიწაზე აისახებოდა იმ მძლავრ ფიზიკურ ქარტეხილებში, რომლებიც ჩვენ წინაშე ამოიზიდება, როგორც ატლანტიდის კატასტროფა და მთლიანად ეს იყო უმძლავრესი ზემოქმედება მაკროკოსმოსიდან დედამიწაზე. სამაგიეროდ, მაშინ ამ მხრიდან (მაკროკოსმოსიდან) ადამიანის სულზე ზეგავლენა იყო ყველაზე სუსტი; ამიტომ, ამ პერიოდში იერარქიის ნაკლებად მნიშვნელოვანი ძალები იწყებენ ძლიერ ზეგავლენას ადამიანზე, რომელიც შემდეგ თანდათანობით ქრება.

ამდენად, იქ, სადაც ფორმის სულები ახდენდნენ მძლავრ, აღმაშფოთებელ ზემოქმედებას ფიზიკურ სამყაროზე, მათ არ ჰქონდათ იმდენი დრო, რომ ადამიანის სულზეც მოეხდინათ ზემოქმედება, ასე რომ, ადამიანს თითქოსდა ფეხქვეშ გამოეცალა ფიზიკური. სა-

მაგიეროდ სწორედ ატლანტიდის კატასტროფის დროს ადამიანი განსაკუთრებით ეფლობოდა სულში და მხოლოდ თანდათან შევიდა, ატლანტიდის შემდგომ პერიოდში, ისევ ფიზიკურ სამყაროში. ახლა თქვენთვის არ იქნება რთული წარმოიდგინოთ, რომ დაახლოებით ექვსი, შვიდი, რვა ათასი წლის წინ ჩვენს ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე თუ ადგილი ჰქონდა ყველაზე უმნიშვნელო გავლენას ადამიანის სულზე და ყველაზე მეტ გავლენას დედამიწის ფიზიკურ პირობებზე, მაშინ ისევ და ისევ შესაძლებელია არსებობდეს სხვა მომენტი, როცა ადგილი ექნება საპირისპიროს, როცა ამ მოვლენების მცოდნენი იგრძნობენ საპირისპიროს, ყველაზე უმნიშვნელო გავლენას ფიზიკურზე, სამაგიეროდ ფორმის სულების სწორედ ყველაზე დიდ გავლენას ადამიანურ სულზე. თავიდან თქვენ შეგიძლიათ ჰიპოთეტურად ააგოთ სამშვინველში ის, რომ ისტორიაში შეიძლება არსებობდეს ისეთი პუნქტი, როცა ადგილი ექნება ატლანტიდის დიდი კატასტროფის საპირისპიროს. ცხადია, ამის შემჩნევა არც ისე იოლი იქნება, ვინაიდან ატლანტიდის შემდგომ ჩვენს ეპოქაში ადამიანს, რომელიც მიდრეკილია ყველანაირი ფიზიკურისკენ, აშკარად თვალში ეცემა ატლანტიდის კატასტროფა, როცა იღუპება მსოფლიოს უდიდესი ნაწილები. მისთვის ნაკლებად შესამჩნევი იქნება, თუ ფორმის სულებს აქვთ ძლიერი გავლენა ადამიანურ პიროვნებაზე და მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა იმაზე, რაც ხდება გარეგნულად. ამ მომენტს, როცა დადგა ის, რასაც ადამიანები, ბუნებრივია, ნაკლებად ამჩნევენ, წარმოადგენს ქრისტიანული ხანის *1250 წელი**. ეს 1250 წელი ისტორიულად, ნამდვილად, ძალზე მნიშვნელოვანი წელია. ის ემთხვევა ეპოქას, რომელიც დაახლოებით შეიძლება დავახასიათოთ ასე: სულები თავის თავს გრძნობდნენ, ასე ვთქვათ, იძულებულს უნატიფესი სახით გამოევლინათ ის, როგორ შეეძლო, ადამიანს მიეპყრო მზე-

რა სხვა იერარქიებზე მაღლა მდგომი უზენაესი ღვთაებრივი არსებებისკენ; როგორ ეპოვა მას მიმართება ამ არსებებთან, რომელთაც შეიგრძნობდა როგორც ერთიანობას თავიდან იაჰვეს, შემდეგ კი ქრისტეს მეშვეობით და მთელი ადამიანური ცოდნა მიემართა იმისკენ, რომ გაეხსნა ქრისტე იესოს მისტერიები. ეს იყო განსაკუთრებით ხელსაყრელი მომენტი იმისთვის, რომ კაცობრიობისთვის გადაეცათ მისტერიები, რომლებიც უშუალოდ გამოიხატება სულიერის კავშირში ბუნებრივ პროცესებთან. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, ეს წელი არის ამოსავალი პუნქტი დიადი ზუსტი გადამუშავებისთვის იმისა, რისიც ადრე მხოლოდ სჯეროდათ, რასაც მხოლოდ გუმანით გრძნობდნენ, ამოსავალი პუნქტი სქოლასტიკისა, რომელსაც ახლა ნაკლებად აფასებენ. სამაგიეროდ ეს იყო ასევე ამოსავალი პუნქტი იმ გამოცხადებისა, რომელმაც თავისი ასახვა პოვა ისეთ მოაზროვნეებში, როგორიცაა, მაგ., *აგრიპა ნეტესჰეიმელი**, და რომელიც ყველაზე ღრმად გამოვლინდა მთელ როზენკროიცეროობაში. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ, თუ გვსურს, ვეძიოთ ისტორიული განვითარების უფრო ღრმა ძალები, მაშინ ჩვენ ასევე უნდა ჩავწვდეთ სრულიად სხვა მიმართებებს, ვიდრე მათ, რომლებიც გარეგნულად ვლინდება. დიახ, იმის მიღმა, რაზეც მე ახლახან ვისაუბრე, იმალება, მაგ., ის ძალებიც, რაც მოქმედებდა უკვე შემდგარ და დამთავრებულ ჯვაროსნულ ლაშქრობებში. მთელი ევროპული ისტორია, განსაკუთრებით ის, რაც თამაშდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მის უკან ძალები სწორედ ისე დგანან, როგორც ეს მე ახლა აღვწერე.

ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: არსებობს დროში ორი პუნქტი, რომელთაგანაც ერთი შეიძლება აღინიშნოს, როგორც უდიდესი გადატრიალება გარეგნულ ფიზიკურ პლანზე, ხოლო მეორე – როგორც

გარდამტეხი მომენტი იმ ყველაფრისთვის, რაც მისტერიებში უნდა ქუხდეს. თუმცა ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სინამდვილეში ყველა ასეთი მოვლენისთვის არსებობს ასევე სხვა კანონებიც, რომლებიც გადაიკვეთება მთავარ კანონებთან. აქედან გამომდინარე ჩვენ გვესმის, რომ ამ დროს ემთხვევა უდიდესი გამოცხადებების ამოსავალი პუნქტი, რომ ეს დრო ხელსაყრელი იყო ისეთი პიროვნების გამოჩენისთვის, როგორიცაა იულიანუს აპოსტატი, რომელიც ოდესღაც ხელდასხმული იყო ელევსინის მისტერიებში. შემდეგ მან თავის სამშვინველზე ზემოქმედების საშუალება მისცა იმას, რაც ვლინდებოდა როგორც ფორმის სულების გამოცხადება. თუმცა ყოველთვის საჭიროა დაახლოებით ოთხასი წელი, სანამ მოქმედებს რომელიმე მძლავრი ზეგავლენის პირველი შეტევა. შემდეგ იწყება მოქცევა, შემდეგ ნაკადები იწყებენ, ასე ვთქვათ, გაყოფას. ამიტომ, რასაც მაშინ ბუნების მოვლენების მიღმა ხედავდნენ როგორც სულიერს, ის მოქმედებდა ისე, რომ სულიერი დაივიწყეს და შეინარჩუნეს მხოლოდ ბუნების მოვლენები. ეს არის სწორედ ჩვენი თანამედროვეობა, ხოლო ტიხო ბრაგე იყო ერთ-ერთი უკანასკნელი, ვინც გარეგნული ბუნებისმეტყველების მიღმა სულიერი მოიხელთა. სწორედ ტიხო ბრაგეა ასეთი გასაოცარი პიროვნება იმიტომ, რომ იგი გარეგნულ ასტრონომიას იმდენად კარგად ფლობდა, რომ აღმოაჩინა ათასამდე ვარსკვლავი და ბევრი სხვა რამეც, ამასთან საკუთარ სამშვინველში ატარებდა დიადი ძალების სულიერ მოქმედებას ისე, რომ მართლაც შეძლო მთელი ევროპის გაოცება, როცა გაბედულად იწინასწარმეტყველა სულთან სულეიმანის სიკვდილი. ჩვენ ვხედავთ, რომ ბუნების სპირიტუალური შემეცნებიდან, რომელიც იწყება 1250 წლიდან და რომელიც ჩვენ წინაშე გარეგნულად წარმოჩნდება ისეთ მოაზროვნეში, როგორიცაა აგრიპა ნეტესჰეიმელი, თანდათანობით გამოიყო-

ფა ის, რაც მხოლოდ მოგვიანებით ხდება ბუნების გარეგნული მოვლენა, მაშინ, როცა შინაგანი, სულიერი, დავანებულია იმ იდუმალ ნაკადში, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, როგორც როზენკროიცერობა. შემდეგ ორივე ნაკადი აგრძელებს დინებას.

აღსანიშნავია, რომ ეს გამიჯვნა თვით პიროვნების შიგნითაც ვლინდება. ჩვენი გერმანული მოძრაობის დაახლოებით დასაწყისში მე თქვენი ყურადღება მივაპყარი იმისკენ, როგორ ვლინდება XV საუკუნის ერთ პიროვნებაში ის, რაც აქ გრძელდება როგორც სპირიტუალური მოძრაობა, რომელიც ჯერ კიდევ დაკავშირებულია ბუნების გარკვეულ შემეცნებასთან, შემდეგ კი როგორ უკუაგდებენ სპირიტუალურს და სიცოცხლეს აგრძელებს წმინდა გარეგნული. ჩვენ შეგვიძლია, ამას თვალყური მივადევნოთ *ნიკოლაუს კუზანელის** პიროვნებაზე დაკვირვებით. თქვენ თუ მხოლოდ კითხულობთ მას, – ის კი შეიძლება არა მარტო წაიკითხო, – მაშინ უკვე კითხვის მეშვეობითაც ირკვევა, რომ მისი ღრმა სულიერი კვლევა ჯერ კიდევ დაკავშირებული იყო ბუნების გარეგნულ ცოდნასთან, განსაკუთრებით, თუ მას გამოსახავენ მათემატიკურ ფორმებში. რამდენადაც მას ესმოდა, რაოდენ რთული იყო ამის მიღწევა ისეთ დროში, რომელიც სულ უფრო მეტად და მეტად ისწრაფვის გარეგნული მეცნიერულობის მიმართულებით, ამიტომ მსოფლიო ისტორიული თავმდაბლობიდან მან თავის ნაწარმოებს უწოდა „მეცნიერული უცოდინარობა“, „Docta ignorantia“. ცხადია, ამით მას იმის თქმა კი არ სურდა, რომ იგი არის განსაკუთრებულად სულელი ადამიანი, არამედ მას სურდა, გამოეხატა, რომ ყველაფერი, რისი თქმაც მას შეუძლია, ძევს იმაზე მაღლა, რაც ამიერიდან განვითარდება, როგორც წმინდა გარეგნული მეცნიერულობა. თუ ამას გამოვხატავთ დღეს ჩვეულად ქცეული სიტყვით, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მეცნიერული

უცოდინარობა“ არის ზემეცნიერულობა. შემდეგ, როგორც თქვენ იცით, ის კვლავ დაიბადა, – ამასთან ამ შემთხვევაში ძალიან მალე, – როგორც ნიკოლაუს კოპერნიკი. იგივე არსება, რომელიც იყო ნიკოლაუს კუზანელში, შემდგომში მოქმედებდა ნიკოლაუს კოპერნიკში. აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ პერიოდებში ადამიანურმა ორგანიზაციამ იმდენად წინ წაიწია ფიზიკურის მხრივ, რომ ნიკოლაუს კუზანელის სულიერების მთელ სიღრმეს შეეძლო კოპერნიკში ემოქმედა მხოლოდ ისე, რომ წარმოიქმნა მისი გარეგნული ფიზიკური მსოფლიო სისტემის კონცეფცია. ის, რაც ცხოვრობდა ნიკოლაუს კუზანელში, თითქოსდა გაიფილტრა, სულიერი მოსცილდა და გარდაიქმნა გარეგნულ ცოდნაში. აქ ჩვენ აშკარად ვხედავთ, რაოდენ მოკლე დროში მოუწია მოქმედება 1250 წლის მძლავრ იმპულსს, სადაც მას ჰქონდა დროში თავისი შუაგული. ის, რაც ამ პუნქტში ჩვენს დედამიწაში ჩაიღვარა, თავის ყაიდაზე აგრძელებდა მოქმედებას. ის აგრძელებდა მოქმედებას იმ ორ ნაკადში, რომელთაგან ერთი მატერიალისტურია და გახდება სულ უფრო მატერიალისტური, ხოლო მეორე ესწრაფოდა სულიერებას და განსაკუთრებით აისახებოდა როზენკროიცერობის გამოცხადებაში, რომელიც ყველაზე ინტენსიურად იღვრებოდა სწორედ ამ ამოსავალი პუნქტიდან დაწყებული, თუმცა ის ადრეც მზადდებოდა.

ამდენად, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ გვაქვს, ასე ვთქვათ, თითქოსდა დროის პერიოდი, ხანგრძლივობით ექვსი, შვიდი, რვა ათასი წელი, როცა მიწიერი განვითარება გადის ისტორიული ფაქტების მნიშვნელოვან ციკლს, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საკაცობრიო განვითარება. ასეთი ციკლები ასევე იკვეთება სხვებთან, ვინაიდან პერიოდულად ჩვენს მიწიერ განვითარებაზე ზემოქმედებენ სრულიად განსხვავებული ძალები. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ერ-

თმანეთისგან გავყოფთ ამ ძალებს, როცა ჩვენ უკეთ გავიგებთ ცალკეულ ძალებს და გავაკონტროლებთ, როგორ ეწყობიან ისინი ერთმანეთს, მაშინღა შევძლებთ, თანდათანობით გავიგოთ, როგორ ხორციელდება მოვლენები დედამიწაზე. ყველა ასეთი ძალებითა და ასეთი კანონზომიერებებით მიდის კაცობრიობა წინ და ამით არის განპირობებული კაცობრიობის წინსვლა. თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენს ასწლეულში მეორე ნაკადად ჩართულია მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტი, რაზეც მითითებულია როზენკროიცერულ *დრამა-მისტერიაში „ხელდასხმის კარიბჭე“**: – ახალი ხილვა ეთერულ სამყაროში და ქრისტეს გამოცხადება ეთერულ სამყაროში. მაგრამ ეს სხვა ნაკადს განეკუთვნება. ახლა მე უფრო მეტს ვსაუბრობ ძალებზე, რომლებიც ზემოქმედებენ ისტორიული პროცესების ვრცელ საფუძველზე.

ჩვენ თუ გვსურს, სრულად გავიგოთ ისტორიული პროცესი, მაშინ საჭიროა ასევე გავითვალისწინოთ, რომ განვითარების ასეთი საკვანძო პუნქტები ყოველთვის უკავშირდება ციურ მნათობთა განსაზღვრულ მდგომარეობას და რომ 1250 წელს ჩვენი დედამიწის ღერძს ეკავა ასევე გარკვეული მდებარეობა, ასე რომ, ე.წ. ეკლიპტიკის პატარა ღერძს ჰქონდა განსაკუთრებული მდებარეობა დედამიწის ღერძთან მიმართებით. ჩვენ თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდება, განპირობებულია უდიდესი ციური მიმართებებით, მაშინ უკვე გარეგნულ, კლიმატურ პირობებშიც შეგვიძლია დავინახოთ, როგორ ხდება სპეციალიზირებული და როგორ ხდება მისი დიფერენცირება დედამიწის ფარგლებში. იმის წყალობით, რომ კოსმოსიდან გარკვეული სახით მოქმედებენ ძალები, ეს განაპირობებს იმას, რომ დედამიწის გარშემო ჩვენ გვაქვს ცხელი სარტყელი, შემდეგ ზომიერი, შემდეგ ცივი სარტყელი. ეს შეიძლება გავიგოთ როგორც მაგალითი, თუ როგორ ვლინდება ფიზიკურ პლანზე ის,

რაც სულიერი პროცესის წყალობით ხორციელდება გამომდინარე მზისგან და სხვა პროცესებისგან, მაგრამ ეს კვლავ და კვლავ ჯერ კიდევ დიფერენცირდება თავად დედამიწის ფარგლებში: კლიმატი იცვლება, როცა ცხელ ზონაში ჩვენ საქმე გვაქვს დაბლობებთან, ან მთებთან, ვინაიდან მთებში, ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება ძალზე ციოდეს. ამიტომ ერთსა და იმავე ტემპერატურულ განედზე კლიმატური პირობები გავრცელებულია სრულიად განსხვავებულად, თუ ამ მოვლენებს განვიხილავთ აფრიკაში ან ამერიკაში. სულიერ განვითარებაშიც არსებობს რაღაც ისეთი, რაც საშუალებას იძლევა, შევადაროთ ასეთი სახის დიფერენციაციები ისე, რომ სინამდვილეში იმ პერიოდებში, როცა ვარსკვლავების კონსტელაციის წყალობით მთელ დედამიწაზე შესაძლოა გამეფებული იყოს სრულიად განსაზღვრული ხასიათი, იწყება მოდიფიკაციები ადამიანების სულებსა და სამშვინველებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ზოგჯერ ნამდვილად, შესაძლებელი უნდა იყოს შორეულ საგნებსა და მოვლენებზე ზრუნვა.

წარმოიდგინეთ, რომ ბრძნული მსოფლიო მმართველობა, – ამას, ცხადია, ვამბობ მხოლოდ შედარებისთვის, – უნდა დაფიქრებულიყო, ასე ვთქვათ, ათასწლეულებით ადრე შემდეგზე: აჰა, არსებობს სამშვინველების ჯგუფი, მე უნდა მოვამზადო ისინი, რომ მათ შეეძლოთ მომდევნო ინკარნაციაში შეასრულონ ესა თუ ის ამოცანა; აქ უნდა შეიქმნას ურთიერთკავშირები ისე, რომ ადამიანების ამ პატარა ჯგუფს, რომელთაც განიცადეს რაღაც სრულიად განსაზღვრული და რომლებიც ერთად განსხეულდნენ ერთ ბეწო დედამიწაზე, განეცადათ რაღაც ისეთი, რაც ამ დროისთვის უმნიშვნელო ჩანს. მაგრამ, როცა მზერას მიაპყრობ იმას, ამ შეზღუდულ სივრცეში თავმოყრილი ადამიანები თავის მომდევნო ინკარნაციაში როგორ იფანტებიან სხვადასხვა მხარეს, და იმასაც, რაც მათ ამ

ვიწრო სივრცეში გამოცდილების სახით მიიღეს, რომელსაც ისინი მოგვიანებით ახორციელებენ მთელი კაცობრიობისთვის, მაშინ ეს ყველაფერი სხვა სახეს იძენს. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რომ იმ დროებში, როცა კაცობრიობის საერთო ხასიათი წარმოჩნდება სრულიად განსაზღვრულად, კულტურის ცალკეულ ნაწილებში ვლინდება რაღაც ისეთი, რაც იწვევს გაოცებას და სრულიად განსხვავდება ამ საერთო ხასიათისგან. მე მსურს, მივუთითო რაღაცა ამის მსგავსზე, რამდენადაც ის ძალიან ახლოსაა ჩვენს დროსთან.

სტრასბურგის მახლობლად შტაინტალეში ცხოვრობდა *ობერლინი**. მასზე მუდმივად მიუთითებდა გერმანელი ფსიქოლოგი და მკვლევარი *შუბერტი**. ობერლინი იყო ძალზე თავისებური პიროვნება და იგი სამშვინველებზე თავისებურად მოქმედებდა. ის იყო ნათელმხილველი, – ამაზე მე შემიძლია მხოლოდ მიგითითოთ, – და მას შემდეგ, რაც მან შედარებით ადრე დაკარგა მეუღლე, სინამდვილეში, ის ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ შეეძლო მეუღლის ამ ინდივიდუალობასთან ეცხოვრა, როგორც ცოცხალთან. და აი, იგი დროდადრო აღნიშნავდა, რა ხდებოდა იქ ზემოთ, სადაც ცხოვრობდა მისი მეუღლე; მას ეს შეჰქონდა ცის რუკაზე და შემდეგ აჩვენებდა ადამიანებს, რომლებიც იყვნენ მის გარშემო, ასე რომ, არსებობდა მთელი გაერთიანება, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ პროცესში, რასაც ჰქვია ობერლინის ცხოვრება მის გარდაცვლილ მეუღლესთან. უცნაური და უადგილოა, რომ XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე არსებობს რაღაც ამის მსგავსი. მაგრამ თქვენ თუ გაითვალისწინებთ იმას, რაც მე გითხარით, მაშინ ამის აზრსაც დაინახავთ. ხოლო მოვლენები, რომლებიც ეხსნებოდა ობერლინს, ყველაზე უმნიშვნელოვანესი იყო იქიდან, რაც ამ სფეროში ხდებოდა უახლოეს დროში. მე თავს ნებას მივცემ თქვენი ყურადღება

მივაპყრო ჩვენ ხელთ არსებულ შესანიშნავ კულტურულ-ისტორიულ ნაშრომზე, რომელიც აშუქებს ობერლინის ამ გარემოებას, – ეს არის *ფრიც ლინჰარდის** რომანი. თქვენთვის ის გახდება ძალზე მომხიბვლელი საკითხავი, რომელიც ეხება არა მარტო ამ პასტორის პიროვნებას, არამედ მაშინდელი კულტურის სხვა მოვლენებსაც. ასეთი მოვლენებიდან, რომელთაც უმთავრესად ვერ აფასებენ და შემთხვევითობად მიაჩნიათ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, როგორ ერთვება ჩვენს განვითარებაში მსგავსი შემთხვევა, როგორ შეუძლია მას იმოქმედოს ადამიანურ განვითარებასთან საერთო კავშირში. ვინაიდან ადამიანები, რომლებიც ასე ერთად არიან შეკრებილნი, რომლებიც შემოჯარულნი არიან ერთი პიროვნების გარშემო, რომელიც მოქმედებს როგორც მათი ხელმძღვანელი, ასეთი ადამიანები მოწოდებულნი არიან მომდევნო ინკარნაციაში თავის თავზე აიღონ გარკვეული ამოცანები.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, – და დღეს მე მსურდა თქვენთვის ამის შემომეთავაზება, – როგორ არის დაკავშირებული, ასე ვთქვათ, სამყაროს სივრცეებიდან უდიდესი მაკროკოსმოსური ზემოქმედება იმასთან, რაც შეიძლება მოხდეს ყველაზე უმნიშვნელო სივრცეში. განსაკუთრებით საინტერესო ხდება ეს მოვლენები, როცა მათ აკავშირებ სხვა კანონებთან, განვითარების ისეთ უდიდეს საკვანძო პუნქტებთან, როგორიც იყო 1250 წელი. მაშინ ადამიანურ სამშვინველზე ზემოქმედება იყო ყველაზე ძლიერი, ამის შემჩნევა კი უფრო რთულია, ვიდრე კონტინენტების რყევა. ატლანტიდის კატასტროფის დროს ფორმის სულები ყველაზე ნაკლებად მოქმედებდნენ ადამიანურ სამშვინველზე. ამიტომ მაშინ, ასე ვთქვათ, მოქმედებდნენ უმცროსი იერარქიები. ზოგადად ასეა განაწილებული იერარქიული არსებების სხვადასხვა კლასის მოღვაწეობა. მნიშვნელოვანია, ჩვენ გვესმოდეს, რომ ამ ციკ-

ლურ მოძრაობებში ისევ და ისევ ჩადებულია აღ-
მასვლისა და დაცემის კანონები. რაღაც მსგავსზე მე
მივუთითე, როცა ვთქვი, რომ 1250 წელს ხდებოდა შე-
ტევა, რომ შემდეგ დადგა დაცემის დრო, რომელიც
გამოვლინდა წმინდა მატერიალისტურ ნაკადში. ჩვენ
შეგვიძლია, რაღაც მსგავსი ხშირად შევნიშნოთ. საინ-
ტერესოა, დავინახოთ, ციკლურად როგორ მეორდება
აღმასვლა და დაღმასვლა კაცობრიობის ისტორიაში.

მეექვსე ლექცია

შტუტგარტი, 1911 წლის 1 იანვარი

გუშინ მე თქვენი ყურადღება მივაპყარი იმაზე, საკა-
ცობრიო განვითარების მსვლელობისას როგორ შემო-
დიან სრულიად სხვადასხვა ისტორიული ძალები.
ამის წყალობით, ასევე ერთი მძლავრი ნაკადის მეო-
რესთან შერწყმის წყალობით, წარმოიქმნებიან, –
გარკვეულ კულტურულ მიმართებაში, – როგორც აღ-
მასვლის, ასევე დაცემის პერიოდები. ეს ხდება ასე,
როცა ძველი კულტურა ჯერ კიდევ უკუიქცევა, როცა
ძველი კულტურა, ასე ვთქვათ, გადადის გარეგნულში,
მაშინ ნელა და თანდათანობით მზადდება ის, რამაც
უნდა აამოქმედოს უფრო გვიანდელი კულტურა, რა-
მაც არსებითად უნდა გააცოცხლოს, წარმოშვას უფ-
რო გვიანდელი კულტურა. აქედან გამომდინარე, რო-
გორც წესი, ჩვენ შეგვიძლია, კაცობრიობის კულტუ-
რული ცხოვრების მსვლელობა წარმოვიდგინოთ სქე-
მატურად შემდეგნაირად: თავიდან ჩვენ ვხედავთ, გა-
ურკვეველი სიღრმეებიდან როგორ ხორციელდება
ადამიანური კულტურის აღმასვლა გარკვეულ უმაღ-
ლეს წერტილამდე, შემდეგ ვხედავთ, როგორ მინავ-
ლდება ეს კულტურული ცხოვრება უფრო ნელა, ვიდ-
რე ამოდიოდა. მოცემული კულტურული ეპოქის მიერ
მოტანილი შემდგომშიც დიდხანს ცოცხლობს, შეეზ-
რდება სხვადასხვა მომდევნო დინებას, სახალხო
კულტურას და იკარგება, როგორც დაიკარგება ნაკა-
დი, რომელიც ზღვაში კი არ იღვრება, არამედ იშლე-
ბა დაბლობზე. სანამ ის იშლება, მზადდება ახალი
კულტურა, რომელიც, ასე ვთქვათ, ძველი კულტურის
დაისის დროს ჯერ კიდევ შეუმჩნეველი იყო, რომ
შემდეგ, თავის მხრივ, დაიწყოს საკუთარი განვითარე-
ბა, თავისი აღმასვლა და ხელი შეუწყოს მსგავსი ან
ასეთივე სახით კაცობრიობის წინსვლას. ჩვენ თუ
გვსურს, წარმოვიდგინოთ კულტურული განვითარება,

რომელიც დამახასიათებელია ყველაზე მნიშვნელოვანი თვალსაზრისით, მაშინ შეგვიძლია ვიგრძნოთ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს განვითარება, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანი სახით ვლინდებოდა ზოგადსაკაცობრიო, „მე“-ს მოქმედება „მე“-ში. ამას ადგილი ჰქონდა ძველ საბერძნეთში, როგორც ჩვენ ვაჩვენეთ. ხოლო ჩვენ თუ მას განვიხილავთ, მაშინ აქ შეიძლება განსაკუთრებულად გაგვეხსნას, რამდენად დამახასიათებლად მიედინება კულტურა; ვინაიდან ის, რაც ხორციელდებოდა სამ წინარე კულტურაში, და ისიც, რაც ამას მოსდევს, სულ სხვა სახით მოდიფიცირდება იმით, რომ იმყოფება ადამიანის გარეთ. ამიტომ, რაც თავად ადამიანში ძევს, რითაც ადამიანი, ასე ვთქვათ, ზემოქმედებს სამყაროზე, ყველაფერში, რაც ზეგრძნობადი ძალებიდან ყველაზე ადამიანურად გამოიხატება მასში, ეს ჩვენ მოგვეცა შუა, მეოთხე კულტურულ პერიოდში.

თუმცა საბერძნეთთან დაკავშირებით ჩვენ ახლა საჭიროა ვთქვათ ასევე შემდეგი. მას წინ უსწრებდა მესამე პერიოდი; ის ჩაქრა და სანამ ის მინავლდებოდა, მზადდებოდა – ბერძნული. ამდენად, ბაბილონის კულტურის დასასრულისთვის, რომელიც აღმოსავლეთიდან იღვრებოდა დასავლეთზე, ევროპის ამ პატარა სამხრეთის ნახევარკუნძულზე, რომელსაც საბერძნეთს ვუწოდებთ, ჩაიდო თესლი იმისა, რომელიც უნდა ჩადებულიყო კაცობრიობაში, როგორც ახალი სიცოცხლის ნაკადი. მართალია, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ ბერძნულმა ცხოვრებამ ასახა წმინდა ადამიანური, ის, რაც ადამიანს შეუძლია მთლიანად იპოვოს თავის თავში და გამოხატოს ყველაზე მნიშვნელოვანი აზრით, თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მოვლენებს მომზადება არ სჭირდებათ. ასევე, რასაც ჩვენ ვუწოდებთ წმინდა ადამიანურს, ის თავიდან ადამიანებს უნდა მისცემოდათ ზეგრძნობადი ძალების მიერ მისტერიების მეშვეობით, მსგავსად იმისა, როგორც

ატარებენ თავის თავში იმ, კიდევ უფრო მაღალ თავისუფლებას, რომელიც უნდა მომზადდეს მეექვსე კულტურული ეპოქისთვის, და როგორც მას გადასცემენ ზეგრძნობად სამყაროებში საკაცობრიო განვითარების შესაბამისი წინამძღოლები.

ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ; იქ, სადაც საბერძნეთი წარმოჩნდება გარეგნული დაკვირვების წინაშე ისე, თითქოს მასში ყველაფერი წარმოიქმნება მხოლოდ წმინდა ადამიანურისგან, საბერძნეთმა უკვე მოიტოვა უკან ის ეპოქა, როცა ის იმყოფებოდა მაღალი სულიერი არსებების სწავლებათა ზეგავლენის ქვეშ. სწორედ ამ სულიერმა არსებებმა მისცეს მას შესაძლებლობა ამაღლებულიყო თავის წმინდა ადამიანურ სიმაღლემდე. ამიტომაც, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ ბერძნულ კულტურას, თუ მას თვალს მივადევნებთ უკუმიმართულებით, ის იკარგება ისტორიამდელი დროის სიღრმეებში, როცა ბერძნული კულტურის საფუძვლის სახით მისტერიათა ტაძრებში იქმნებოდა უძველესი სიბრძნის მემკვიდრეობა, რაც შემდეგ გრანდიოზული სახით გადაიტანეს პოეტურ ფორმაში ჰომეროსმა და *ესქილემ**. მაშასადამე ის, რაც ამ მიუწვდომელ სურათ-ხატებში ასე დიდებულად წარმოჩნდება ჩვენ წინაშე, საჭიროა განვიხილოთ ისე, რომ ეს ადამიანები, მართალია, თავის სამშვინველში გადაამუშავებდნენ რაღაც ისეთს, რაც მათში იყო მთლიანად მშვინვიერი შინაარსი, მთლიანად „მე“-ს მოქმედება „მე“-ში, მაგრამ რაც თავიდან ჩადებული იქნა ამ სამშვინველებში მაღალი არსებების მიერ წმინდა სატაძრო ცენტრებში. ამიტომაც არის წარმოუდგენლად ღრმა, წარმოუდგენლად დიადი ის, რაც ცოცხლობს ჰომეროსისა და ესქილეს ქმნილებებში. მაგრამ ესქილეს ეს ქმნილებები არ უნდა ავიღოთ *ვილამოვიცის** თარგმანებიდან. უნდა გვესმოდეს, რომ მთელი სიდიადე იმისა, რაც ცოცხლობდა ესქილეში, ჯერ კიდევ არ არის ამოწურული არც ერთ თანამედ-

როვე ენაში და რომ ესქილეს გაგებისკენ მავალი ყველაზე ცუდი გზაა ის, რომლითაც მიდიოდა ზემოხსენებული თანამედროვე მთარგმნელი.

ბერძნული კულტურის არსის წინათგრძნობა ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, როცა ამ ბერძნულ კულტურას განვიხილავთ ღრმა მისტერიალური სიწმინდეების საფუძველზე. იმის გამო, რომ ზეგრძნობადი სამყაროს ცხოვრების საიდუმლოებები ზოგიერთი ადამიანური უნარით გადაეცემოდათ ბერძენ მხატვრებს, ბერძნულმა პლასტიკამ შეძლო მარმარილოსა და ბრინჯაოში ხორცი შეესხა იმისთვის, რაც თავდაპირველად ტაძრების საიდუმლოებები იყო. ისიც, რასაც ჩვენ ვხედავთ ბერძნულ ფილოსოფიაში, ნათლად გვაჩვენებს, რომ საუკეთესო, რაც კი შეეძლო ამ ბერძნულ ფილოსოფიას მოეცა, იყო მხოლოდ ინტელექტში გადატანილი, განსჯით გაგებული მისტერიათა უძველესი სიბრძნე. რაღაც ამდაგვარი სიმბოლურად გამოიხატება, როცა გვეუბნებიან: დიადმა *ჰერაკლიტემ** თავისი შრომები ბუნებაზე ძღვნად მიიტანა დიანა ეფესელის ტაძარში. ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა შემდეგს: ის, რისი თქმაც შეძლო მან, გამომდინარე საკუთარი „მე“-ს მოქმედებიდან „მე“-ში, ეს გადმოსცა ისე, რომ მას ეს ძღვნად უნდა მიეტანა წინარე ეპოქის სულიერ, სპირიტუალურ ძალებთან, რომლებთანაც თავის კავშირებზე თავად უწყოდა. ამ თვალსაზრისიდან ჩვენ გავიგებთ პლატონის უმნიშვნელოვანეს გამონათქვამს, რომელმაც ბერძნებს მისცა ესოდენ ღრმა ფილოსოფია და მაინც იძულებული გახდა ეთქვა, რომ მისი დროის მთელი ფილოსოფია არაფერია სულიერი სამყაროების სამეფოებიდან წინაპრების მიერ მიღებულ უძველეს სიბრძნესთან შედარებით. არისტოტელესთან კი ყველაფერი წარმოჩნდება ჩვენ წინაშე ლოგიკურ ფორმაში, და ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას: ეს არის უძველესი სიბრძნის აბსტრაჰირებული მონაპოვარი, გადატანილი მთელი ცოცხალი

სამყაროების ცნებებში. მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე დგას, ასე ვთქვათ, ძველი ნაკადის უკანასკნელ ბჭეებთან, და არისტოტელეში ჯერ კიდევ სუნთქავს უძველესი სიბრძნის მონაპოვრის ნაწილი. მის ცნებებში, მის იდეებში, რომლებიც მართალია აბსტრაქტულია, მაგრამ მათში ჯერ კიდევ შეიძლება განვასხვავოთ გამოძახილი იმ სრულყოფილი ჟღერადობისა, რომელიც ისმოდა ტაძრებიდან და ნამდვილად ინსპირირებდა არა მარტო ბერძნულ სიბრძნეს, არამედ ბერძნულ ხელოვნებას, მთელ ბერძნულ ხალხურ ხასიათს. სწორედ ეს არის ყოველი ასეთი აღმავალი კულტურის თავისებურება, რომ ის მოიცავს არა მარტო ცოდნას, არა მარტო ხელოვნებას, არამედ მთელ ადამიანსაც ისე, რომ მთელი ადამიანი გამოხატულებაა იმისა, რაც მასში სიბრძნის სახით, სულიერის სახით ცხოვრობს. ჩვენ თუ წარმოვიდგენთ, როგორ ამოიზიდება, – სანამ ბაბილონის კულტურა ჯერ მხოლოდ ჩასვენების პროცესშია, – იდუმალი სიღრმეებიდან ბერძნული კულტურა, მაშინ ჩვენ შევძლებთ სრულად გავიგოთ, რა მისცეს ძველმა ტაძრებმა თავიანთი მოქმედებით ბერძნულ ხასიათს სპარსელებთან ომის ეპოქაში. ვინაიდან ჩვენ ვხედავთ სპარსელებთან ამ ომებში, საბერძნეთის გმირები, მგზნებარედ აღფრთოვანებულნი ყოველივე იმით, რაც მათ მიიღეს თავიანთი მამებისგან, როგორ აღუდგებიან წინ ნაკადს, რომელიც, ასე ვთქვათ, დაცემული აღმოსავლური დინების სახით მოემართება მათკენ. ის, რასაც ნიშნავს ბერძნების ეს მაშინდელი წინააღმდეგობა, როცა ბერძნული ტაძრების სიბრძნე, როცა ძველი ბერძნული მისტერიების მოძღვრები სპარსელებთან ომის გმირების სამშვინველებში იბრძოდნენ აღმოსავლეთის დეკადანსური კულტურის წინააღმდეგ, ბაბილონური კულტურის წინააღმდეგ იმ სახით, როგორიც შემდეგ გადაიღეს ის გვიანდელმა სპარსელებმა, რასაც ეს ნიშნავს, ამის მოხელთება

ადამიანურ სამშვინველს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა ეს სამშვინველი თავის თავს შეეკითხება: რა დაემართებოდა სამხრეთ ევროპას და მასთან ერთად მთელ შემდგომდროინდელ ევროპას, თუ საბერძნეთის პატარა ქალაქი არ მოიგერიებდა აღმოსავლეთიდან უზარმაზარი ფიზიკური მასის ასეთი ძალის შემოტევას? იმით, რაც მაშინ ბერძნებმა განახორციელეს, ჩაიდო მარცვალი მთელი შემდგომი განვითარებისთვის, რაც ევროპულ კულტურაში ხდებოდა და ხდება თვით ჩვენს დრომდე.

ისიც კი, რაც აღმოსავლეთში განვითარდა იმ პროცესებისგან, რაც შემდეგ დასავლეთიდან აღმოსავლეთში ჩაიტანა უკან ალექსანდრემ, – თუმცა ისეთი მეთოდით, რომელიც გარკვეული მიმართებით არ შეიძლება გამართლებული იყოს, – თვით ესეც შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაცემისთვის განწირული, – თავად საკუთარ ფიზიკურ ძალებთან დაკავშირებითაც, – მოიცილეს იმით, რაც ბერძნების სამშვინველებში ცხოვრობდა, როგორც მგზნებარე ენთუზიაზმი ტაძრების საუნჯესთან მიმართებით. ჩვენ თუ ამას გავიგებთ, მაშინ დავინახავთ, შემდგომში როგორ მოქმედებდა არა მარტო ჰერაკლიტეს მოძღვრება ცეცხლზე, *ანაქსაგორას** დიადი იდეები და *თალესის** ყოვლისმომცველი აზრები, არამედ ის ნამდვილი სწავლებები, რომელიც ისტორიამდელ საბერძნეთში ჰქონდათ ტაძრის სიბრძნის მცველებს. ამას ჩვენ შევიგრძნობთ როგორც სულიერ ძალთა მიღწევას, რომლებმაც საბერძნეთს მოუტანეს ის, რაც მისთვის უნდა მოეტანათ. ჩვენ ამ ყველაფერს შევიგრძნობთ იმ ბერძენი გმირების სამშვინველებში, რომლებიც წინ აღუდგნენ სპარსელებს სხვადასხვა ბრძოლაში. ასე უნდა ვისწავლოთ ისტორიის შეგრძნება, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ვინაიდან ჩვეულებრივ, რაც ჩვენ გვეძლევა ისტორიის სახით, ეს არის მხოლოდ ცარიელი იდეური აბსტრაქცია და ისიც უკეთეს

შემთხვევაში. იმის დაკვირვება, რაც გვიანდელ ეპოქაში მოქმედებს უფრო – ადრინდელისგან, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა უბრუნდები იმას, რაც შესაძლოა ათასწლეულების განმავლობაში ეძლეოდათ ადამიანურ სამშვინველებს და რამაც შემდეგ, გარკვეულ დროს, შეიძინა რეალური ფორმები. რაში იყო მიზეზი იმისა, რომ ამ ამაღლებისას ტაძრების უძველეს საგანძურებს შეეძლოთ ბერძნებისთვის მიეცათ ესოდენ დიადი რამ? ეს მდგომარეობდა ტაძართა ამ საგანძურების უნივერსალურ, ყოვლისმომცველ, სხვა ყველაფრისგან ხელუხლებელ ხასიათში. ეს იყო რაღაც, რაც მოცემული იყო როგორც დასაბამისეული, რასაც შეეძლო მთელი ადამიანის აღვსება, და რაც ფლობდა, ასე ვთქვათ, უშუალოდ წარმმართველ ძალას.

აქ ჩვენ მივადექით ყველაზე მნიშვნელოვანს იმ კულტურებისთვის, რომლებიც იმყოფებიან აღმასვლის მდგომარეობაში თავიანთ უმაღლეს წერტილზე. ამ კულტურებში ყველაფერი, რაც ცოცხალია, მოქმედებს ადამიანში, – სილამაზე, სათნოება, სასარგებლო, მიზანშეწონილი, რისი განხორციელება და რეალიზებაც სურს ადამიანს ცხოვრებაში, – და ყველაფერი ისე ჩანს, როგორც უშუალოდ სიბრძნისგან, სულიერისგან წარმოქმნილი. ამდენად, სიბრძნე თავის თავში შეიცავს სათნოებას, სილამაზეს, ყველაფერს დანარჩენს. როცა ადამიანი განმსჭვალულია, ინსპირირებულია ტაძრების სიბრძნით, მაშინ ყველაფერი დანარჩენი თავისთავად გამოდის; აღმავალ ეპოქებში ასეთი ხდება გრძნობა. ხოლო იმ მომენტებში, როცა კითხვები, შეგრძნებები იყოფა, მაგ., როცა, საკითხი სიკეთეზე ან მშვენიერზე ხდება დამოუკიდებელი ღვთაებრივ წინარე საფუძველზე საკითხთან მიმართებით, მაშინ იწყება დაცემის დრო. ამიტომ, თუ წინა პლანზე წამოწეულია ის, რომ წმინდა სულიერის გვერდით მართებთ განსაკუთრებული ზრუნვა ამა თუ

იმ საკითხზე, რომ მთავარია ესა თუ ის, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ვცხოვრობთ დაცემის დროში. როცა შევწყვეტთ ნდობას სულიერისადმი, და ვერ მივხვდებით, რომ მას შეუძლია თავისი თავიდან შვას ყოველივე აუცილებელი საკაცობრიო ცხოვრებისთვის, მაშინ ერთიანი კულტურული ნაკადები, რომლებიც აღმასვლისას ქმნიან ერთიანობას, ცალკეულ ნაკადებად იყოფიან. ამას ჩვენ ვხედავთ, როცა ბერძნულ ცხოვრებაში ერთმანეთში ირევა ინტერესები, რომლებიც გადიან სიბრძნისა და სულიერი აღფრთოვანების ფარგლებს გარეთ; ამას ჩვენ დავინახავთ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ასევე ბერძნული ცხოვრების ჩვენთვის საინტერესო ნაწილში, და უშუალოდ არისტოტელეს შემდგომი პერიოდის სულიერ ცხოვრებაში. მაშინ კითხვის გვერდით: რა არის ჭეშმარიტი? – რომელშიც ჩადებულია კითხვა: რა არის სიკეთე და მიზანშეწონილი? – ეს ბოლო კითხვა დამოუკიდებელი ხდება. აქ იბადება კითხვა: როგორი უნდა იყოს ჩვენი ცოდნა, რომ შევძლოთ გავხდეთ ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში აღწევს პრაქტიკულ მიზანს? და ჩვენ ვხედავთ დაცემის ეპოქაში როგორ ვითარდება მიმდინარეობა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სტოიციზმს. პლატონთან და არისტოტელესთან სიბრძნეში ამავე დროს ჩადებული იყო სიკეთეც; ყველანაირი სწრაფვა სიკეთისკენ წარმოქმნებოდა მხოლოდ სიბრძნისგან. სტოიკოსები სვამენ კითხვას: რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ ცხოვრებისთვის, ცხოვრებისეული პრაქტიკისთვის იყოს ბრძენი, მიზანმიმართული და მართებულად მცხოვრები ადამიანი. პრაქტიკული ცხოვრებისეული მიზნები შეერევა იმას, რაც ოდესღაც იყო ჭეშმარიტებით უნივერსალური აღფრთოვანება.

ეპიკურეიზმში კიდევ რაღაც ემატება, რომელიც ვლინდება იმაში, რომ ადამიანები სვამენ კითხვას: ინტელექტუალურად როგორ უნდა ვიყო მე მოწყობილი, რომ ეს ცხოვრება მიედინებოდეს უფრო მეტი სიხარულით, შინაგანად ჰარმონიულად? ამ კითხვაზე თალესი, პლატონი, თვით არისტოტელემდე, უპასუხებდნენ: ეძიე ჭეშმარიტება და ის მოგანიჭებს შენ უდიდეს ნეტარებას, რაც არის ყველანაირი სიყვარულის ჩანასახი. მაგრამ ახლა ამ კითხვას გამოყოფენ ჭეშმარიტებაზე კითხვისგან და წარმოიქმნება დაცემის ნაკადი. ესაა ის, რასაც უწოდებენ სტოიციზმს და ეპიკურეიზმს, – ისინი დაღმავალი ნაკადებია. მათ შედეგად ყოველთვის თან სდევს ის, რომ ჭეშმარიტება ადამიანებისთვის ხდება საეჭვო, რომ იგი კარგავს ყველანაირ ძალას. ამიტომ დაცემის ეპოქაში სტოიციზმთან და ეპიკურეიზმთან ერთად ვლინდება სკეპტიციზმიც, რომელიც მიდრეკილია იმისკენ, რომ ეჭვი შეიტანოს ჭეშმარიტებაში. და თუ ეჭვებისკენ მიდრეკილმა სკეპტიციზმმა, სტოიციზმმა და ეპიკურეიზმმა გარკვეული დრო იმუშავეს, მაშინ ადამიანი, რომელიც საბოლოოდ მაინც ჭეშმარიტებისკენ ისწრაფვის, თავს გრძნობს, ასე ვთქვათ, სამყაროს სამშვინველიდან ამოგდებულად და თავის საკუთარ სამშვინველში მიგდებულად. ამ დროს ის გარშემო იყურება და ამბობს: ახლა არ არის ის მსოფლიო ეპოქა, როცა კაცობრობაში იღვრება იმპულსები, უშუალოდ სულიერ ძალთა განუწყვეტლივ მოქმედი ნაკადების წყალობით, და მაშინ ადამიანი დაკავებულია თავისი საკუთარი შინაგანი ცხოვრებით, საკუთარი სუბიექტით. ეს ჩვენ გვხვდება ბერძნული ცხოვრების შემდგომი დინებისას ნეოპლატონიზმში, იმ ფილოსოფიაში, რომელსაც მეტად უკვე აღარ აქვს კავშირი გარეგნულ ცხოვრებასთან, რომელიც თავის თავში იხედება და ცალკეული ადამიანის მისტიკური აღმასვლით მიმართულია ჭეშმარიტებისკენ. ასე გვაქვს ჩვენ აღმავალი და დაღმავალი საფეხურებრივი კულტურა. და ის, რაც აღმასვლისას გამომუშავდა, ნელა და თანდათანობით იფანტება და ქრება, სანამ დაახლოებით 1250 წლიდან არ დაიწყება, ცხადია, არც თუ იოლად შესამჩნევი, მაგ-

რამ ამის გამო არანაკლებ დიადი ინსპირაცია კაცობრიობისა, რაც მე გუშინ გარკვეული მიმართებით უკვე დავახასიათე, და რომლის დაისიც, დაწყებული XVI საუკუნიდან, ახლა ჩვენ გვაქვს. ვინაიდან ამ დროიდან, არსებითად, ჭეშმარიტების შესახებ საკითხთან ერთად კვლავ ვლინდება ყველა სპეციალური საკითხი. მაშინ კვლავ მკვიდრდება თვალსაზრისი, რომელსაც სურს საკითხი სიკეთეზე, გარეგნულ მიზანშეწონილობაზე გამოყოს ჭეშმარიტებაზე ერთი დიადი საკითხისაგან. იმ დროს სულიერად წინ წასული პიროვნებები, რომლებიც იმყოფებოდნენ 1250 წლის იმპულსების ზეგავლენის ქვეშ, მთელ საკაცობრიო მისწრაფებებს ხედავდნენ ჭეშმარიტების ფარგლებში, ახლა კი ჩვენ ვხედავთ, როგორ ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი თვალსაზრისით ცხოვრების პრაქტიკული საკითხების პრინციპულად გამოყოფა უშუალოდ ჭეშმარიტებაზე საკითხებისაგან. და ახალი დაცემის ეპოქის კარიბჭესთან, იმ ეპოქის, რომელიც სულიერი ცხოვრებისთვის ნიშნავს ქვევითკენ სწრაფვას, ამ ეპოქის კარიბჭესთან დგას *კანტი**. თავისი „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში იგი გარკვევით ამბობს: ჭეშმარიტებისკენ სწრაფვისას საჭირო იყო, მიმეთითებინა მის მიჯნაზე, რათა გამეთავისუფლებინა ადგილი იმისათვის, რა სურს პრაქტიკულ რელიგიას. აქედან მომდინარეობს მკაცრი გაყოფა პრაქტიკულ გონებასა და თეორიულ გონებას შორის. პრაქტიკულ გონებაში ღმერთის, თავისუფლების, უკვდავების პოსტულატები მთლიანად დაყვანილია სიკეთემდე. ხოლო თეორიულ გონებაში – ყველანაირი შესაძლებლობის დანგრევა იმის შემეცნებისთვის, რომ მოხვდე რომელიმე სულიერ სამყაროში. ასე ყალიბდება მოვლენები მსოფლიო ისტორიაში. ცხადია, ჭეშმარიტებისკენ ჩვენი დროის მისწრაფებები კიდევ დიდხანს იხეტიალებს კანტის ნაკვალევზე. მაგრამ, როცა ჩვენი ნამდვილი სპირიტუალური მიმდინარეობიდან მიეთითება შემეცნების უნარის გაფართოებაზე, შემეცნების ამ უნარის თავის თავზე ისეთ ამაღლებაზე, რომლის წყალობითაც შემეცნებას შეუძლია სულიერ სამყაროებში შეღწევა, მაინც შესაძლებელი იქნება კიდევ დიდხანს ისმოდეს ყველა მხრიდან: „დიახ, მაგრამ კანტი ამბობს...!“. მსგავს ანტითეზებში ნამდვილად მიმდინარეობს ადამიანის ისტორიული განვითარება. ხოლო ის, რაც ინსტინქტურად თავს იჩენს როგორც წინათგრძნობა, ვლინდება იმაში, რაც არის მხოლოდ მაია, მაგრამ რასაც იღებენ ჭეშმარიტებად, და რაც მაიას ამ ნაკადით იღვრება, მეტწილად მიზანშეწონილია კაცობრიობის ინსტინქტისთვის. ვინაიდან ძალზე საინტერესოა, რომ კაცობრიობის განვითარების დაღმასვლაც თვით ბერძნულ-ლათინურ ეპოქამდე და ჩვენ მიერ მხარდაჭერილი აღმასვლაც ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ გარკვეულ წინათგრძნობებში, რომლებიც სახალხო ინსტინქტებიდან გამომდინარე ეძლეოდათ პრაქტიკული ცხოვრებისთვის.

როგორ უნდა ეაზროვნათ იმ ადამიანებს, რომლებიც ამას გრძნობდნენ, როცა ისინი ქრისტიანობამდელ ეპოქაში კაცობრიობის ისტორიის დიდ მოწინავე ფიგურებს თვალს მიაპყრობდნენ? ან უმჯობესია, ითქვას, – ბერძნულ ეპოქაში როგორ უნდა შეეხედათ მათზე, ვინც ჩვენ დავახასიათეთ, როგორც ზენა იერარქიების იარაღი? თავად ბერძნებსაც ჯერ კიდევ უნდა ეთქვათ თავიანთი თავისთვის: ეს ჩვენამდე მოვიდა ადამიანების მეშვეობით, რომლებშიც იღვრებოდა ზეგრძნობადი ღვთაებრივი ძალები. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა უძველესი ეპოქის ცნობიერებაში ცხოვრობს შემდეგი: მოწინავე პიროვნებები თვით გმირების ფიგურებამდე, მეტიც თვით პლატონამდეც, ღმერთების ძეებად იყვნენ მიჩნეულნი; ეს ნიშნავს, რომ ისტორიაში წინა პლანზე გამოსული პიროვნებების უკან ადამიანები ხედავდნენ ღვთაებრივს, როცა მზერას მიაპყრობდნენ შორეულ წარსულს, როცა ისინი ძალზე

შორეულ წარსულში იხედებოდნენ. ხოლო იმას, რაც ვლინდება პლატონში და გმირთა ფიგურებში, ისინი ხედავდნენ ამას დაშვებულს (დედამიწაზე) და მეტიც ღვთაებრივი არსებებისგან შობილს. მაშინ წარმოედგინათ, რომ ღმერთის ძეები შეუღლდებოდნენ ადამიანურ ქალიშვილებთან, რათა სულიერი ჩამოეტანათ ფიზიკურ პლანამდე. იმ ძველ დროებში ადამიანები ხედავდნენ ღვთის ძეებს, ადამიან-ღმერთებს, ანუ მათ, რომლებიც თავისი არსებით ღვთაებრივს უკავშირდებოდნენ. პირიქით იმ მომენტში, როცა ბერძნებმა იგრძნეს, რომ ახლა მათ შეუძლიათ ილაპარაკონ „მე“-ს მოქმედებაზე „მე“-ში, ე.ი. იმაზე, რაც ძევს ადამიანური პიროვნების ფარგლებში, მათ საუბარი დაიწყეს თავიანთ უზენაეს წინამძღოლებზე, როგორც შვიდ ბრძენზე და ამით აღნიშნეს ის, რაც ღმრთის ძეებისგან წმინდა ადამიანურად იქცა.

ბერძნული ეპოქის შემდგომ ეს რად უნდა ქცეულიყო ხალხის ინსტინქტში? მაშინ საჭირო იქნებოდა იმის გამოხატვა, რასაც ადამიანი გამოიმუშავებდა აქ ფიზიკურ პლანზე, და – იმისიც, როგორ აჰქონდა ეს მთელ მის ნაყოფებთან ერთად სულიერ სამყაროში. ამდენად, თუ ადრე შეიგრძნობდნენ: აუცილებელია ფიზიკურზე ადრე სულიერის დანახვა, ხოლო ადამიანის ფიზიკურისა – როგორც მისი ჩრდილის; თუ ბერძნულ ეპოქაში ბრძენთ ხედავდნენ, ასე ვთქვათ, მცხოვრებთ „მე“-ს „მე“-ში, მაშინ ბერძნული ეპოქის შემდგომ აუცილებელი იყო, დაენახათ პიროვნებები, რომლებიც ცხოვრობდნენ ფიზიკურ პლანზე და მხოლოდ ამის შემდეგ ესისხლხორცებიან სულიერს იმის მეშვეობით, რაც ცოცხლობს ფიზიკურში. ეს ცნება განვითარდა გარკვეული ინსტინქტური ცოდნიდან. როგორც ბერძნულამდელ ეპოქას ჰყავდა ღმერთების ძენი, ხოლო ბერძნებს – ბრძენნი, ასევე ბერძნების შემდგომ ხალხებს ჰყავთ წმინდანები, რომლებიც სულიერი ცხოვრებისკენ ადიან ფიზიკურ პლანზე მიღ-

წეულის მეშვეობით. აქ ხალხურ ინსტინქტში ცხოვრობს რაღაც ისეთი, რაც ისტორიულად მაინც წინ სწევს კაცობრიობას.

ჩვენ თუ ამას გავიგებთ, მაშინ ის, რაც ცხოვრობს ამ ეპოქებში, მუდმივად გაანათებს ცალკეულ ადამიანურ სამშვინველებში, და ჩვენ გავიგებთ, როგორ უნდა მოხდეს ჯგუფური კარმის მოდიფიცირება იმის წყალობით, რომ ადამიანები ამავდროულად წარმოადგენენ იარაღსაც ისტორიული განვითარების მსვლელობისას. მაშინ ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ აკაშაქრონიკა გვაჩვენებს: *ნოვალისში**, მაგ., ჩვენ გვმართებს დავინახოთ რაღაც აღმავალი ძველ *ელიამდე**. ეს არის ინკარნაციების ძალზე საინტერესო თანმიმდევრობა. აქ ჩვენ ვხედავთ, როგორ ამოტივტივდება ელიაში წინასწარმეტყველური ელემენტი, ვინაიდან ებრაელების მისია იყო იმის მომზადება, რაც მოგვიანებით უნდა მოსულიყო. ისინი ამას ამზადებდნენ პატრიარქებით დაწყებული, მოსეს ფიგურის გავლით, წინასწარმეტყველებისკენ გადასვლის მეშვეობით. მაშინ, როცა აბრაამში ჩვენ ჯერ კიდევ ვხედავთ, როგორ გრძნობს ებრაელი თავის თავში, საკუთარ სისხლში ღმერთის მოქმედებას, ელიაში ჩვენ ვხედავთ გადასვლას აღტაცებისკენ სულიერ სამყაროებში. ყველაფერი თანდათანობით მზადდება. ელიაში ცხოვრობს ინდივიდუალობა, რომელიც უკვე უძველეს დროებში აღივსება იმით, რაც მომავალში უნდა მოვიდეს. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ინდივიდუალობა უნდა ემსახუროს იმას, რომ გახდეს იარაღი ქრისტეს იმპულსის გაგების მოსამზადებლად. ჩვენ ვხედავთ, რომ ელიას ინდივიდუალობა კვლავ იბადება იოანე ნათლისმცემელში. ის არის უზენაესის იარაღი. მასში ცხოვრობს ინდივიდუალობა, რომელმაც იარაღად აქცია იოანე ნათლისმცემელი. მაგრამ აუცილებელი იყო ელიას მაღალი ინდივიდუალობა, რომ შემდგომში ასეთ იარაღად ემსახურა.

ჩვენ ვხედავთ, რომ მოგვიანებით ეს ინდივიდუალობა აღმოჩნდა გამოსადეგი იმისთვის, რომ ფორმებში, რომლებიც შესაძლებელი იყო მხოლოდ ატლანტიდის შემდგომი მეოთხე კულტურული პერიოდის გავლენით, ჩაღვრილიყო ის, რასაც მომავალში უნდა ემოქმედა. რა გასაოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ეს ინდივიდუალობა კვლავ ჩნდება *რაფაელში** და ფერწერაში საბერძნეთის გასაოცარ ფორმებთან აერთიანებს იმას, რამაც ყველა დროში უნდა იმოქმედოს როგორც ქრისტიანობის იმპულსმა. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, როგორ ეკიდება ამ ენტელექიის ინდივიდუალური კარმა გარეგნულ ინკარნაციას. გარეგნულ განსხეულებას მოეთხოვება, რომ რაფაელში გამოიხატოს იმ დროის ზოგიერთი ძალა; დროის ამ ძალებისთვის გამოსადეგია ელია-იოანეს ინდივიდუალობა. მაგრამ ეპოქას შეუძლია, ასეთ ძალას მისცეს მხოლოდ სუსტი ფიზიკური სხეული, ამიტომაც კვდება რაფაელი ადრე.

საკუთარი არსების სხვა მხარე ამ ინდივიდუალობამ უნდა გამოავლინოს მაშინ, როცა ცალკეული მიმდინარეობები კვლავ დაიშალა. ამ დროს ის კვლავ ჩნდება როგორც ნოვალისი. როგორც ვნახეთ, ნოვალისში თავისებური სახით უკვე ნამდვილად ცხოვრობს ის, რაც ჩვენ ახლა გვეძლევა სულისმეცნიერების მიერ. ასეთი სხარტი მსჯელობები ასტრალური სხეულის მიმართებაზე ეთერულ და ფიზიკურ სხეულთან, ასევე ღვიძილსა და ძილზე, არ მოუცია არავის, თუ არ ჩავთვლით სულისმეცნიერებას, გარდა ნოვალისისა – ხელახლა აღმდგარი რაფაელისა. ყველა ეს მოვლენა ჩვენ მიგვანიშნებს, რომ ინდივიდუალობები წარმოადგენენ კაცობრიობის განვითარების სწრაფად მიმდინარე ნაკადების იარაღს. როცა ვაკვირდებით საკაცობრიო განვითარებას, ვაკვირდებით იმის იდუმალ მონაცვლეობას, რაც ისტორიაში ხორციელდება, ჩვენ

შეგვიძლია შევიგრძნოთ, რა ცოცხლობს მასში უღრმესი სპირიტუალური ძალებისაგან.

უფრო ადრინდელი შესამჩნევი სახით გადადის უფრო გვიანდელში. ზოგიერთ თქვენგანს მე უკვე ვუთხარი, რომ შესაძლებელია კონსტატაცია მოვახდინოთ გასაოცარი ისტორიული პერსპექტივისა *მიქელანჯელოდან* გალილეისკენ** გადასვლაში. ერთმა ძალზე გონიერმა ადამიანმა, – დაიმახსოვრეთ, მე არ ვამბობ, რომ აქ საქმე ეხება რეინკარნაციას, აქ არის ისტორიის მოძრაობა, – ყურადღება მიაქცია იმას, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, რომ წმინდა პეტრეს ტაძრის გასაოცარ არქიტექტონიკაზე თვალის შევლებით ჩვენ ვხედავთ, როგორ შეიტანა ადამიანურმა სულმა მასში ის, რასაც იგი უწოდებს მეცნიერებას მექანიკაზე. დიახ, წმინდა პეტრეს ტაძრის ამ გრანდიოზულ ფორმებში გამოსახულია ხორცშესხმული იდეები მექანიკისა, რომელიც შეეძლო ადამიანურ გონებას მოეცა, ამავე დროს გადატანილი ყოფილიყო მიქელანჯელოს ბრწყინვალე, გრანდიოზულ იდეებში. წმინდა პეტრეს ტაძრის ხედს თუ როგორ შეუძლია ზემოქმედება, ეს ჩანს მრავალფეროვან აღწერებში და ვინც, თუნდაც, უმნიშვნელოდ განიცადა ის, რაც განიცადა ვენელმა არქიტექტორმა ნატტერმა, ამას აუცილებლად იგრძნობს. ის მეგობართან ერთად მიდიოდა წმინდა პეტრეს ტაძრისკენ და ტაძარს ჯერ ვერ ხედავდნენ; უეცრად მისმა მეგობარმა დაინახა, როგორ შეხტა თითქოს უგონო მდგომარეობაში ნატტერი და წამოიძახა: მეშინია! სწორედ იმ მომენტში დაინახა მან წმინდა პეტრეს ტაძარი. შემდეგ მან ვერ შეძლო ამის გახსენება. რაღაც ამდაგვარის განცდა ხომ ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია, თუ იგი დაინახავს რაიმე ესოდენ გრანდიოზულს. და აი, ერთმა მეტად გონიერმა ადამიანმა, პროფესორმა *მიულნერმა** თავის, როგორც რექტორის, სიტყვაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მექანიკური იდეების უდიდესი შემ-

ქმნელი გალილეი ინტელექტუალურად ასწავლიდა კაცობრიობას იმას, რაც მიქელანჯელომ უკვე ჩადო წმინდა პეტრეს ტაძრის სივრცობრივი ფორმის აგებულებაში. ასე რომ, გალილეის იდეებში ჩვენ წინაშე ინტელექტუალურად წარმოჩნდება ის, რაც როგორც მექანიკა, როგორც ადამიანური მექანიკა გამოკრისტალებულია წმინდა პეტრეს ტაძარში. ამავე დროს მსმენელის გასაოცრად ამავე პროფესორმა ამ ლექციაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მიქელანჯელოს გარდაცვალების დღე ემთხვევა გალილეის დაბადების დღეს. ეს ნიშნავს, რომ ინტელექტუალური იდეები, რომლებიც გალილეიმ ინტლექტუალურად გამოხატა როგორც მექანიკა, ამოტივტივდა პიროვნებაში, რომელიც დაიბადა იმ ადამიანის გარდაცვალების დღეს, რომელმაც ეს იდეები მანამდე სივრცეში შეიტანა. ამდენად, საჭიროა ვიკითხოთ: მიქელანჯელოს მეშვეობით ვინ ჩააშენა წმინდა პეტრეს ტაძარში მექანიკა, რომელიც შემდგომში კაცობრიობამ მიიღო გალილეის მეშვეობით?

თქვენ თუ ამ აფორისტული და ცალკეული აზრების მეშვეობით, რომლებიც აქ გადმოვეცით კაცობრიობის ისტორიულ განვითარებასთან მიმართებით, თუკი მათი ერთიანობით თქვენს გულებში წარმოიქმნება იმის გრძნობა, როგორ მოქმედებენ ისტორიაში ნამდვილი, რეალური სულიერი ძალები თავიანთი იარაღების მეშვეობით, მაშინ თქვენ შესაფერისად აღიქვით აქ გადმოცემული. მაშინ ოკულტურ-ისტორიული განხილვიდან ამოსულ ამ გრძნობას შეიძლება ვუწოდოთ სწორი, დროში ჩამოყალიბებული გრძნობა, წინსვლა დროში, რომელიც შეიძლება ჩვენს გულებში წარმოიქმნას. და დღეს, დროის შემობრუნების ამ ერთ-ერთ უმცირეს პუნქტში, უპრიანი იქნება, მედიტაცია მივმართოთ დროში ადამიანური და ღვთაებრივი წინსვლითი მოძრაობის ამგვარ გრძნობაზე. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თუ თითოეული თქვენგანის

გული მოისურვებდა, – დროში ოკულტურ წინსვლით მოძრაობაზე მეცნიერების გადატანის ეს გრძნობა, – შეგრძნებაში მიეღო ქმნადობისთვის, ადამიანურ წინსვლით მოძრაობაში მონაწილეობისთვის, რომელშიც ჩვენ ვართ ჩართულნი, თუკი თითოეული თქვენგანის სამშვინველი მოისურვებდა, მიეღო ეს როგორც ცოცხალი გრძნობა, მაშინ ამ გრძნობაში, ასევე ყველა თქვენგანის სამშვინველში შეიძლებოდა ეცოცხლა საახალწლო სურვილს. ამ ციკლის ბოლოს მე ვისურვებდი ეს საახალწლო სურვილი ჩაიდოს თქვენს სამშვინველებში. იმ ყველაფერს, რაზეც აქ ვისაუბრეთ, შეხედეთ, როგორც რაღაც ისეთს, რაც უნდა დაგეხმაროთ, გახდეს ამოსავალი პუნქტი დროის გრძნობის განვითარებისთვის. გარკვეული თვალსაზრისით, დაე, სიმბოლო იყოს ის, რომ მცირედში დროის ერთი მონაკვეთიდან მეორისკენ გადასვლა ჩვენ გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ჩვენს სამშვინველებში მოქმედების საშუალება მივცეთ იდეებს, რომლებიც მოიცავენ დროში მსგავს გადასვლებს.

შენიშვნები

რუდოლფ შტაინერის ლექციების ციკლის: „ოკულტური ისტორია“, ქართული თარგმანი შესრულებულია 1992 წელს გამოცემულ ტექსტის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება 1911/12 წლის პირველ გამოცემას.

ციკლის საერთო სათაური ეკუთვნის თავად რუდოლფ შტაინერს.

გვ...

5. *ცალკეულ სამუშაო ჯგუფებში*: შდრ. რუდოლფ შტაინერის- GA 109/111 და GA 124.

8. *შობის დღესასწაულთან დაკავშირებულ ლექციაში*: „ზაფხულის ნაბუნიობა, ქრისტეშობის სიმბოლოები და მსოფლიო ისტორიის თანახმიანობა ანთროპოსოფიულ წარმოდგენებთან“ GA 125.

9. *პლატონი*, (427-347)

9. *სოკრატე*, (470-399)

9. *თალესი*, (დაახ. 624-546).

9. *პერიკლე*, (დაახ. 495-429).

10. *თვით გმირულ ეპოქამდე*: საბერძნეთის გმირები (ჰერაკლე, თესეი და სხვ.), რომლებმაც სახელი გაითქვეს ლეგენდარული გმირობებით (ამით აღნიშნულია მისტერიებში ხელდასხმის საფეხურების გავლა); მათ განსაზღვრეს ეპოქის ხასიათი, რომელიც დასრულდა ისტორიის არენაზე ბერძნების გამოჩენით – ტროას ომში (1194-1184 წწ. ახალ წელთაღრიცხვამდე).

12. *ერეკი*: ასე ეწოდება გილგამეშის ქალაქს ბიბლიაში, 1 მოსე 10, 10, ძველად ერეკი-ურეკი. ლურსმულში – ურუკი.

ეაბანი: თანამედროვე დასახელება – *ენქიდუ*.

13. *ბიბლიურ სცენას იოანეს სახარებიდან*: იოანე 8, 3-11. იესო და სიძვაში ბრალდებული.

14. *ქსისუტროსი*: (Xisuthros) - ბერძნული ფორმა შუმერული სახელისა ზიუსუდრა, ეპოსის აკადურ ვერსიაში-უტნაპიშტიმი. (ასევე: ნოე – ბიბლიაში, მანუ – ინდურ ტრადიციაში).

16. *„იდუმალთმეტყველების ნარკვევი“*: იხ. ქართული თარგმანი (2009 წ.).

17. *ალექსანდრე დიდი*, (356-323).

მთლიანად პიროვნებაა - რუდოლფ შტაინერი განასხვავებს ცნებებს პიროვნება (Persönlichkeiten) და ინდივიდუალობა (Individualität). ახალ დროში დამკვიდრებული ეს სიტყვები მომდინარეობს ლათინური სიტყვათხმარებიდან და დასავლეთ ევროპული ენების შესაბამისი სიტყვები შეიცავს სწორედ ლათინურ ფუძეს. ანტიკური ხანის თანამედროვე მცოდნე გ. ს. კნაბე (Knabe) ამ ორ ცნებას შორის განსხვავებას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „. . . ფრანგული personne და კიდევ უფრო მკაფიო ფორმით personnalite, ინგლისური personality ნიშნავს სწორედ პიროვნებას მის საზოგადოებრივ გამოვლინებებსა და მიღწევების ასპექტში. სიტყვების მთელი ეს ოჯახი მოდის ეტრუსკული წარმოშობის სიტყვიდან persona, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა „მსახიობის ნიღაბს“, „ადამიანის გარეგანი საზოგადოებრივი გამოვლინებების ერთობლიობას. . .“; სიტყვა „ ინდივიდუალობა“ შედგება ლათინური ზმნის divido (ვყოფ) და უარყოფითი პრეფიქსისგან in და ეტიმოლოგიზირებულია ისე, როგორც „გა-*ნუ*-ყოფელი“, ანუ ბირთვი, რომელიც შემდგომ დაყოფას არ ექვემდებარება. ის რჩება ყველანაირი გარეგანი მანიფესტაციის შემდეგ და ახასიათებს ადამიანს მის განუმეორებლობაში, მის ინტიმურ არსში“.

არისტოტელე, (384-322).

20. *თეოფილოსი*, (Theophilos, 345-412) ალექსანდრიის პატრიარქი.

კირილოსი, (Kyrillos, 412-444) თეოფილოსის მემკვიდრე, ალექსანდრიის პატრიარქი.

22. *ფერეკიდე სიროსიდან*, (584-499)

22. *თეონი*: მათემატიკოსი, ასწავლიდა IV საუკუნის მეორე ნახევარში „მუზეუმში“ (ფილოსოფიური აკადემია), ალექსანდრიაში.

24. *ჰიპათია*, (380-415) ფილოსოფოსი და მათემატიკოსი.

სინეზიუსი, (დაახ. 370-413) – ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი, ჰიპათიას მოწაფე, მოგვიანებით პტოლემაის ეპისკოპოსი.

27. *რანკე*, ლეოპოლდ, ფონ (1795-1886) – პროტესტანტული მიმართულების გერმანელი ისტორიკოსი, პრუსიის ოფიციალური ისტორიოგრაფი.

28. *იოან გოტფრიდი, ჰერდერი*, (1744-1803) – გერმანელი მოაზროვნე, რელიგიური მოღვაწე და ლიტერატურის კრიტიკოსი. ძირითადი ნაშრომია; „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისთვის“, (1784-1791).

გოთჰოლდ ეფრაიმ ლესინგი, (1725-1781) გერმანელი მოაზროვნე, დრამატურგი და მხატვრული კრიტიკოსი. რუდოლფ შტაინერს მხედველობაში აქვს მისი წიგნიდან „საკაცობრიო მოდგმის აღზრდა“ (1780წ.), დასკვნითი პასაჟი: „ . . . ის გზა, რომლითაც საკაცობრიო მოდგმა მიემართება თავისი სრულყოფილებისკენ, თავიდან უნდა გაიაროს თითოეულმა ადამიანმა, ზოგმა ადრე, ზოგმა გვიან.

გაიაროს ერთი ცხოვრების განმავლობაში? განა შეუძლია ადამიანს ერთი ცხოვრების განმავლობაში იყოს გრძნობადად აღმქმელი ებრაელი და მცხოვრები ქრისტიანის სულისკვეთებით? განა შეუძლია მას ერთი ცხოვრების განმავლობაში გასცდეს ერთისა და მეორის ფარგლებს?

არა, ცხადია, არ შეუძლია! მაშინ თითოეული ადამიანი რატომ არ უნდა იმყოფებოდეს ამ სამყაროში ერთზე მეტად?

იქნებ, იმიტომაც არის ეს ჰიპოთეზა ესოდენ ღიმილისმომგვრელი, რომ ის ყველაზე ძველია? იმიტომ ხომ არა, რომ ადამიანის განსჯამ მაშინვე მოიპოვა იგი, სანამ სასკოლო სოფისტიკა მასში დაბნეულობასა და სისუსტეს შეიტანდა? რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მეც გადამიდგამს ის ნაბიჯები საკუთარი სრულყოფილებისკენ, რომლის განხორციელებაც ადამიანებს შეუძლიათ მიწიერი სასჯელისა და ჯილდოსთვის?

მეორე შემთხვევაში კი ყველა ის ნაბიჯი, რომელთა განხორციელებაშიც ასე გვეხმარება ჩვენ ის, რომ გვაქვს იმედი მარადიულ საზღაურზე?

და რატომ არ შეიძლება მე დავბრუნდე იმდენჯერ, რამდენიც არის ჩემთვის განკუთვნილი იმისთვის, რომ შევიძინო ახალი ცოდნა და ახალი ჩვევები. განა მე მაშინვე მიმაქვს თან იმდენი, რომ დაბრუნება, მართლაც და, არ ღირდეს შრომად?

ამიტომ ხომ არა? ან იმიტომ ხომ არა, რომ მე მავიწყდება აქ საკუთარი წინარე ყოფნის შესახებ? სიკეთე მე, თუ ამის შესახებ ვივიწყებ. ჩემს წინარე ცხოვრებაზე მოგონება მე მხოლოდ ხელს შემიშლიდა, სათანადოდ მესარგებლა აწმყოთი. და განა ის, რაც მე ახლა უნდა დავივიწყო, ჩემ მიერ მარადიულადაა დავიწყებული? ან იმიტომ ხომ არა, რომ ამით მე დავკარგავდი ბევრ დროს? დავკარგავდი, მაგრამ, მაინც მე რა შემიძლია, გავუშვა ხელიდან? განა მე მონიჭებული არა მაქვს მარადისობა?“.

28. *ფრიდრიხ ჰებბელი* (Hebbel, 1813-1863) – გერმანელი პოეტი და დრამატურგი. ჩანაწერი მის დღიურში (№ 1335): „სამშვინველის გარდასხეულებაზე სწავლების თანახმად, შესაძლებელია, რომ პლატონი კვლავ ზის სკოლის მერხთან და ითმენს დასჯას იმის გამო, რომ არ ესმის პლატონი“.

29. *სალომონ რაინახი*: „ორფეოსი“. პარიზი 1909წ.

31. *ორლეანელი ქალწული*, (დაახ. 1410-1431).

32. *მეფე კარლი,* კარლი VII, (1403-1461) საფრანგეთის მეფე.

33. *ანატოლი ფრანსი*, (1844-1924) – ჟაკ ანატოლი ტიბაულტის ფსევდონიმი. იხ. მისი „ჟანა დარკის ცხოვრება“. პარიზი 1917წ.

34. *გიფრიორერი, აუგუსტ ფრიდრიხი* – Gfrörer, (1803-1861).

34. *წერილის*: პერსივალი, ბოლნამიულკის მფლობელი (იგივე boulainviliesi), 21 ივნისი 1929, მოყვანილია გიფრიორერის წიგნის მიხედვით „წინარე ქრისტიანობის ისტორია“. თავი III. შტუტგარტი, 1838.

36. *სკოტ ერიგენი,* (დაახ. 810-877) – იოანეს სკოტ ერიგენი.

37. *კარლ მელოტი*, (823-877) – დასავლეთ ფრანკების მეფე.

39. *იმანუელ კანტი*, (1724-1804).

42. „*სისხლი სრულიად განსაკუთრებული წვენია*“, – ციტატა გოეთეს დრამიდან „ფაუსტი“, სათაურად გამოყენე-

ბული ლექციისთვის: რუდოლფ შტაინერი 25 ოქტომბერი 1906 წ. (გამოიცა ცალკე 1907 წ. GA 55).

47. *სამშვინველის მოგზაურობა ხელდასხმის მოსაპოვებლად*: რუდოლფ შტაინერის მიერ 1923 წ. 28 დეკემბერს (GA 233) წაკითხული ლექციის თანახმად, გილგამეშმა საკმაოდ გრძელი გზა განვლო, რათა შემდგარიყო სამშვინველის ეს შინაგანი მოგზაურობა: მისტერია, რომელშიც მან მიიღო თავისებური სახის ხელდასხმა, მდებარეობდა გმირის სამშობლოდან შორს, ბურგენლანდის ოლქში, თანამედროვე ავსტრიის სამხრეთ-აღმოსავლეთით (შტაინერის მითითება).

49. *ახლახან გამოვიდა წიგნი*: წიგნის ავტორი და დასახელება დაუდგენელია.

55. *ეს მოვლენები ცნობილია აპოკალიფსზე ციკლიდან*: „იოანეს აპოკალიფსი“, 12 ლექციისაგან შემდგარი ციკლი, წაკითხული რუდოლფ შტაინერის მიერ 1908 წლის 17-30 ივნისი (GA 104)

62. *რიჰარდ ვაგნერი*, (1813-1883)

63. *ედუარდ ჰანსლიკი*, (1825-1904), ტრაქტატი „მუსიკალურ-მშვენიერზე“, ლაიპციგი, 1854წ.

66. *ალბრეხტ დიურერი*, (1471—1528).

67. *ჰიპათია კვლავ ჩნდება*: ჰიპათიის უფრო გვიანდელი ინკარნაციის ამ გამონათქვამს განსაკუთრებულ შუქს ჰფენს ჩანაწერი, რომელიც რუდოლფ შტაინერის ხელით არის გაკეთებული თავისი ჩანაწერების წიგნაკში (არქ. №523), სადაც შენიშვნებს შორის, რომელიც აშკარად განეკუთვნება ინკარნაციებს, ჰიპათიის სახელის გვერდით მიწერილია ალბერტ დიდის (1193-1280) სახელი. დორნახის 1992 წლის გამოცემის შენიშვნებიდან.

68. *ელენე პეტერს ასული ბლავატსკაია*, (1831-1891). ამონარიდები წიგნიდან „საიდუმლო დოქტრინა“ მოყვანილია ლექციაში, ლაიპციგის გერმანული გამოცემის მიხედვით.

74. *არისტოტელე ამჟღავნებდა მისტერიათა უძველეს საიდუმლოებებს...* იხ. არისტოტელეს ტრაქტატი „პოეზიის ხელოვნებაზე“.

76. *წაიკითხეთ პლატონთან*: იხ. პლატონის „ფედონი“.

82. *ფრიც მაუტნერი*, (1849-1923) მწერალი, ჟურნალისტი, რუდოლფ შტაინერი მას ახსენებს ლექციების ციკლში „შემთხვევა, განგება და აუცილებლობა“, (GA 163).

89. *ვილჰელმ ფლისი*, (1858-1928) – ბერლინელი ექიმი, შრომები: „Der Ablauf des Lebens“, ლაიპციგი 1906, და „Vom Leben und Vom Tode“, იენა 1909.

90. *ფლისის ერთ-ერთი მოწაფე...* რუდოლფ შტაინერი იყენებს ციტატებს ჰანს შლიპერის წიგნიდან: „Der Rhythmus des Lebendigen“. იენა 1909.

93. *იულიანუს აპოსტატი* (განდგომილი), (331-363) – რომის იმპერატორი (361-363).

94. *ელევსინის მისტერიებში*: იხ. რუდოლფ შტაინერის წიგნი „ქრისტიანობა როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები“.

98. *ტიხო ბრგე*: (1546-1601).

99. *ნიკოლას კოპერნიკი*: (Nikolaus Kopernikus-1473-1543).

99. *იოან კეპლერი*: (1571-1630).

105. *ზარატუსტრა*: იხ. რუდოლფ შტაინერი – „ეზოთერული სკოლის მასალები“. (GA 264).

106. *ამშასპანდები*: – იხ. რუდოლფ შტაინერის ლექციების ციკლები (GA101 და GA149).

107. *იზადი*: – ასევე იზარდსი, იზარადსი; ავესტადან – *იაზატები* - „თაყვანისცემის ღირსნი“. იხ. რუდოლფ შტაინერის ციკლები (GA 101 და GA 60).

116. *1250 წელი*: იხ. ასევე რუდოლფ შტაინერის: „ადამიანისა და კაცობრიობის სულიერი წინამძღოლობა“, GA 15, და ლექცია კიოლნში 1911 წ. 21 იანვარი (GA 130).

117. *აგრიპა ნეტესჰეიმელი*: (Agrippa Von Neettesheim-1486-1535) – ექიმი, ფილოსოფოსი, ასტროლოგი. ჰენრიჰ კორნელი, ავტორი ტრაქტატისა „იდუმალი ფილოსოფია“ და სხვ.

119. *ნიკოლაუს კუზანელი*: (Nikolaus Cusanus, 1401-1464) – გამოჩენილი მოაზროვნე და საეკლესიო მოღვაწე, კარდინალი (1448), შრომების ავტორი; იხ. ასევე რუდოლფ შტაინერის ლექცია, ჰაიდელბერგში, 1909 წ. 21 იანვარი (GA 141).

121. *დრამა-მისტერიაში „ხელდასხმის კარიბჭე“*: რუდოლფ შტაინერის პირველი დრამა-მისტერია (1910), მისი ოთხი დრამა-მისტერიიდან. (GA 14)

123. *იოჰან ფრიდრიხ ობერლინი*: (1740-1826) – სოფლის პასტორი, ფილანთროპი, მისტიკოსი.

123. *გოტჰილფ ჰაინრიხ ფონ შუბერტი*: (1780-1860) – მისი წიგნი ობერლინის შესახებ გამოვიდა 1832 წელს.

124. *რომან ფონ ფრიც ლინჰარდი*: (Fritz Lienhard) იხ. მისი რომანი „ობერლინი“, შტუტგარტი, 1920, მეორე გამოცემა.

128. *ესქილე*: (525-456).

128. *ულლრიხ ფონ ვილამოვიც-მაულენდორფი*: (1848-1931) – იგულისხმება მის მიერ თარგმნილი ბერძნული ტრაგედიები. (1923-1926წწ.)

129. *ჰერაკლიტე*: (დაახ. 544-483).

131. *ანაქსაგორა*: (500-428).

131. *თალესის:* (624-547).

135. *კანტი*: – იხ. „წმინდა გონების კრიტიკა“, 1787.

138. *ნოვალისი, ელია*: ელია, იოანე ნათლისმცემელი, რაფაელი, ნოვალისი. იხ. რუდოლფ შტაინერის ლექციების ციკლი: „კარმული კავშირების ეზოთერული მიმოხილვა“, ტ. IV. (GA 238).

139. *რაფაელ სანტი*: (1483-1520).

140. *მიქელანჯელო ბუონაროტი*: (1475-1564).

140. *გალილეო გალილეი*: (1564-1642).

140. *ჰაინრიხ ნატერი*: (Natter, 1846-1892), მოქანდაკე.

მინაწერი მოხსენებებისთვის

რუდოლფ შტაინერის ავტობიოგრაფიიდან
„ჩემი ცხოვრების გზა“
(*1925წ. თავი 35*)

ჩემი ანთროპოსოფიული მოღვაწეობიდან გამომდინარეობს ორი შედეგი; პირველი არის ჩემ მიერ გამოქვეყნებული წიგნები, მეორე კი მოზრდილი წყება ლექციათა კურსებისა, რომლებიც თავიდან ჩაფიქრებული იყო კერძო ნაბეჭდის სახით და მხოლოდ თეოსოფიური საზოგადოების, მოგვიანებით კი ანთროპოსოფიული საზოგადოების წევრებს შორის გასავრცელებლად. ეს იყო ლექციების დროს მეტ-ნაკლებად კარგად გაკეთებული სტენოგრაფიული ჩანაწერები, რომელთა გასწორებაც მე არ შემეძლო დროის ნაკლებობის გამო. ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა ზეპირად ნათქვამი სიტყვა, ასეთადვე დარჩენილიყო. თუმცა წევრებს სურდათ ლექციები ნაბეჭდი სახითაც ჰქონოდათ. ასე მოგვარდა ეს საქმე. მე რომ მქონოდა მათთვის გადახედვის შესაძლებლობა, მაშინ არ იქნებოდა იმის საჭიროება, რომ გაგვეკეთებინა შეზღუდვა – „მხოლოდ წევრთათვის“. ახლა კი უკვე წელიწადზე მეტია, რაც ეს შეზღუდვა მოიხსნა.

. . . ვისაც სურს თვალი მიადევნოს ჩემს შინაგან ბრძოლასა და მუშაობას იმისათვის, რომ თანამედროვე ცნობიერების წინაშე წარმედგინა ანთროპოსოფია, მან უნდა ისარგებლოს ჩემ მიერ გამოქვეყნებული შრომებით, რომლებშიც მე ვიკვლევდი იმას, რაც არის ჩვენი დროის მისწრაფებები. მათში გადმოცემულია ის, რაც ჩემს „სულიერ ჭვრეტაში“ სულ უფრო მეტად აისახებოდა და რაც იქცა ანთროპოსოფიის შენობად.

აქ თავი იჩინა ძლიერმა სურვილმა, მოესმინათ სახარების და საერთოდ ბიბლიის შესახებ რაიმე ცნობები ანთროპოსოფიული თვალსაზრისით. მათ სურდათ ამ კურსებში მოესმინათ კაცობრიობისთვის ბოძებული გამოცხადებების შესახებ.

. . . იმ დროს, როცა მიმდინარეობდა დახურული კურსები ამ მოთხოვნილებათა მიხედვით, ამას დაემატა სხვა სირთულე. ლექციებს ესწრებოდნენ მხოლოდ ის წევრები,

რომლებიც უკვე იცნობდნენ ანთროპოსოფიის დაწყებით კურსს. მათთან, როგორც ანთროპოსოფიის სფეროში ერთგვარად დაწინაურებულ ადამიანებთან, საუბარი შეიძლებოდა. ეს დახურული ლექციები ისე იკითხებოდა, რომ მათი გადმოცემა იმავე ფორმით შეუძლებელი იყო ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილ თხზულებებში.

დახურულ წრეებში მე უნდა მელაპარაკა საგნებსა და მოვლენებზე, რომელთაც სულ სხვა ფორმა უნდა მიეღოთ, თუ ისინი იმთავითვე გასაჯაროებისთვის იქნებოდნენ განკუთვნილნი.

. . . ამ ორგვარობაში, საჯარო და კერძო ნაწერებში, ძევს ის, რაც ორი სხვადასხვა საფუძვლიდან წარმოიქმნა.

არსად არაფერი თქმულა ისეთ, რაც უშუალოდ შენების პროცესში მყოფი ანთროპოსოფიის შედეგი არ ყოფილა. შეუძ-ლებელია საზოგადოების წევრთა წანამძღვრებსა თუ აკვიატებულ შეგრძნებებთან დაკავშირებით რაიმე დათმობებზე საუბარიც კი. ვინც ამ კერძო ნაბეჭდებს კითხულობს, მას შეუძლია მთელი გრძნობით მიიღოს ის, როგორც ანთროპოსოფიის სათქმელი. ამიტომ, შესაძლებელი გახდა, ვინაიდან ბევრი იყო ამის გამო წუხილი, რომ დაუფიქრებლად უარი გვეთქვა არსებულ ვითარებაზე და ეს ნაბეჭდები მხოლოდ წევრთა წრეში გაგვევრცელებინა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემ მიერ გადაუხედავ ნაწერებში შეიძლება შეცდომები იყოს გაპარული.

. . . ამგვარი კერძო ნაბეჭდების შესახებ მსჯელობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც იცის, თუ რა არის ამგვარი მსჯელობის წინაპირობა. ამ ნაბეჭდთა უმრავლესობისთვის ეს წინაპირობა არის ადამიანისა და კოსმოსის შესახებ ანთროპოსოფიული შემეცნება, რამდენადაც მისი არსი გადმოცემულია ანთროპოსოფიაში, და ასევე ის, რაც „ანთროპოსოფიის ისტორიის“ სახით მოცემულია სულიერი სამყაროდან მოპოვებულ უწყებებში.

ასოციაცია „კოგიტო“ გამოსაცემად ამზადებს

რუდოლფ შტაინერი

„მსოფლიო ისტორია“.
GA №233

რუდოლფ შტაინერი

„ხელდასხმულის ცნობიერება“.
GA №243

რუდოლფ შტაინერი

„ახალი სულიერება და ქრისტეს განცდა
მეოცე საუკუნეში“.
GA №200

დაბეჭდილია:
„კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ -
სტამბაში, ძმები უბილავების 8